ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 75-ე წელიწადი

№056 (12735) 10 მარტი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




## ბორისამ წითელი ვარსკვლავი დაამარცხა

ცინცაძეს სნაიპერობა სანიკიძემ აართვა » 12

# დაღდასმულები

## რაც ხდებოდა და რაც ამის მერე მოხდება...

## რა ვიფიქროთ სიონი-ოლიმპის მატჩზე? » 2

## ცხადაძემ გრიგალავა გამოიძახა

» 2






## რას ფიქრობენ ფაბიო კანავარო და რაფაელ ბენიტესი

ლივერპული-რეალის წინ » 7

# დაელოდეთ ლიგისთვის

## ექსპერიმენტების მოლოდინში » 6



### სერიოზული რყევები შალკეში: მიულერი დაითხოვეს

რა ხდება ჩვენებთან? » 10



### რონალდოს გოლმა ხალხი გადარია

ფენომენის ხმაურიანი დაბრუნება » 10

### ორი ცვლილება რუმინეთის წინ

ერთა თასი » 13

ქართული ფეხბურთი

## რაც ხდებოდა და რაც ამის მერე მოხდება...

# დალდასმულებში

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ორი წრე მიილია და ერთიღა დარჩა. დადგა დრო, როცა ყველა და ყველაფერი უნდა ამოქმედდეს, რაც კლუბის, მისი მესვეურის, მწვრთნელისა თუ ფეხბურთელის არსენალშია. ეს არსენალი დიდი ვერ იქნება, რადგან საქართველოში და, შესაბამისად, მის ფეხბურთში მასშტაბები დიდი არ არის. მაგრამ რაღაც უნდა მოხდეს - ჩემპიონატის დასრულებას ხომ ოდენ ერთი წრე უკლია...

აგერ, წინა ტურში ბოლნისის „სიონმა“ რუსთავის „ოლიმპთან“ შინ 0:1 რომ წააგო, დიდად უცნაური მატჩი გამოდგა - მიზეზთა გამო „სიონს“ 9 (!) ფეხბურთელი დააკლდა და ცხადია, წააგებდა. ქვემოქართლური დერბიო - იყო მცდელობა, ასეთად დახატულიყო ეს მატჩი, მაგრამ კეთილშობილურმა განზრახვამ ვერ გაამართლა და ვერც გაამართლებდა, რადგან ჭეშმარიტ დერბის თავისი ფილოსოფია სჭირდება, რაც ძვირი სანახავია ქართულ ფეხბურთში, ალბათ იმიტომ, რომ აქ მასშტაბები პატარაა. თუმცა, ვინძლო, მხოლოდ მასშტაბებში არ იყოს საქმე - დერბი თუ ნამდვილი არ არის, დერბი ვერ იქნება.

არის ასეთი აზრიც - ქვეყანა რეგიონული პრინციპით მოეწყოს, ყველა რეგიონმა იყოლიოს ასე თუ ისე ნორმალური გუნდი და ბურთიც ისე გაგორდება, რომ ჩვენს სტადიონებზე ფეხბურთის ხმები გაჩნდება.

მანამდე კი გვაქვს ერთი ისეთი რეგიონი, რომელსაც ორი გუნდი ჰყავს უმაღლეს ლიგაში - ქვემოქართლური „სიონი“ და „ოლიმპი“. ორივეს ნაყოჩაღარი აქვს - საქართველოს ჩემპიონი „სიონიც“ გამხდარა და „ოლიმპიც“. მდიდარი მხარე გამოდგა ქვემო ქართლი, ორი ჩემპიონი გამოჭედა... „სიონიცა“ და „ოლიმპიც“ ამ დროისთვისაც ისეთი გუნდები არიან, ლიდერებს კუდში რომ მისდევენ...

მაგრამ დერბი? რა აქვთ გასაყოფი „სიონსა“ და „ოლიმპს“? საიდან უნდა აღმოცენდეს მათი დიდი დაპირისპირება? აქ უკვე იწყება თავსატეხი, იმაზე ძლიერიც კი, როგორიც ფულის შოვნის წინა პერიოდმა იცის. „სიონმაც“ და „ოლიმპმაც“ უკვე იშოვეს ფული უმაღლეს ლიგაში ნორმალურად ცხოვრებისთვის, მაგრამ თავსატეხი მაინც დარჩა. ერთი რეგიონი და, ფაქტობრივად, ერთი პროტექტორი სახელისუფლებო წრიდან - ასეთ შემთხვევაში დერბი ვერ გამოვა - ან ერთი ჩვეულებრივი შეხლა, ან კიდევ...

ეჭვიან ბავშვებს უყვებოდნენ ასეთ სიბრძნეს - კაცი ცერა თითს გაიჭრის, ნეკას თუ საჩვენებელს, ხომ ერთნაირად სტკივაო? ჰოდა, დედასაც ასე ერთნაირად უყვარს ყველა შვილიო. ახლა კი დროა, ეჭვიან ქომაგს, ჟურნალისტსა თუ მოხელეს შეუთხზან ისეთი სიბრძნე, რომლითაც დასაჯერებელი იქნება ის ამბავი, რომ „სიონისა“ და „ოლიმპის“ პროტექტორს ორივე გუნდი ერთნაირად უყვარს. ანუ, მივადექით კიდევ ერთ თავსატეხს: ფეხბურთი სპორტია და აქ ერთმა მეორეს უნდა აჯობოს, ერთი მეორეს ინტერესს ყოველთვის გადაკვეთს და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს - ან ერთი, ან მეორე. და პროტექტორიც ირჩევს - დღეს ამის ჯერია და ამიტომ მეორემ უნდა დაუთმოს. ამ ეჭვის ალბათობას ქმნის ლოგიკა და კიდევ ის ცხრა ფეხბურთელი, ერთ მატჩში რომ აკლდა პროტექტორის ერთ-ერთ ფავორიტს.



გახსოვთ „კალჩოპოლის“ სკანდალი იტალიაში რომ იფეთქა? კორუფციის ტექნოლოგიები დაიხვეწა და მსაჯები უკვე იმაზე გადავიდნენ, რომელი ფეხბურთელი როდის გაეფრთხილებინათ, რათა ზუსტად ის მატჩები გამოეტოვებინათ, როგორც ჩაფიქრებული იყო.

„სიონს“ „ოლიმპთან“ 7 (!) დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი არ ჰყავდა. მიდი და დაუმტკიცე, რომ რუსთაველებთან ნაღდ თამაშში არ წააგო, რომ „ოლიმპს“ უფრო სჭირდებოდა გამარჯვება, რადგან ამ მატჩამდე ის ლიდერებთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე „სიონი“ და ამიტომაც მოიგო...

მესამე წრე იწყება და ყველა მთელი ძალით ამოქმედდებაო, ვთქვით და მგონი, ამას მაინც არ სჭირდება დამტკიცება ფარული ჩანაწერებითა თუ მოწმეების დაკითხვით. ოღონდ, კლუბების გარდა, ფეხბურთის ფედერაციაც და პროფლიგაც თუ არ გააქტიურდა, სხვანაირად არ ივარგებს. არ გახსოვთ შარშანდელი ვიშვიში, საეჭვო თამაშების ნუსხა სამართალდამცავებს გადავეცით და არავის არაფერი შერჩებაო...

გამოვიდა აქედან რამე? არაფერი, მაგრამ იქნებ, ახლა გამოვიდეს; იქნებ, ახლა მაინც შეიქმნას ვილაცის დასჯის პრეცედენტი; იქნებ, ახლა მაინც დაგვაჯერონ ფედერაციამ და პროფლიგამ, რომ ნეგატივის მოსპობა შეუძლიათ... თუ არა და, დაღდასმულებივით დავრჩებით, შევეგუებით იმას, რაც ხდებოდა და რაც ამის მერე მოხდება...

**დავით თავართქილაძე**

U21

# ცხადაძემ გრიგალავა გამოიძახა

## გრიგალავა: დიდი მადლობა ცხადაძეს, უზომოდ ბედნიერი ვარ!



გია გრიგალავა

**კახა ცხადაძემ** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში **გია გრიგალავა** მიიწვია. ეს მან გუშინ, გადაცემა „გოლში“ სტუმრობისას განაცხადა. მასთან ერთად, ცხადაძემ კიევის „დინამოს“ დუბლებში მოთამაშე მარცხენა მცველი **ლაშა თოთაძეც** მიიწვია. ეს ფეხბურთელები 19-19 წლისანი არიან. რუსეთის პრემიერლიგის კლუბ „მოსკვას“ მოთამაშე გრიგალავა უნივერსალია - დაცვის ცენტრშიც თამაშობს, ორივე ფლანგზეც და ნახევარდაცვაშიც. რაც შეეხება თოთაძეს, ის ნელ-ნელა უახლოვდება კიეველთა ძირითად შემადგენლობას. ასე რომ, ცხადაძის დაინტერესება სრულიად ბუნებრივია.

თუკი თოთაძის მიწვევა მოსალოდნელი იყო, გრიგალავას რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებში აქვს ნათამაშები, ბოლოს იქაურ ახალგაზრდულ გუნდშიც იწვევდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრებში მიწვევის იმედად, რუსებს უარი უთხრა.

ცოტა ხნის წინათ ის ამსტერდამის „აიაქსში“ ვარჯიშობდა. ჰოლანდიელებს თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი დატოვება, მაგრამ გრიგალავამ ნახევარი წლით დუბლებში თამაში არ ისურვა და „მოსკვას“ წინადადებას დათანხმდა. გიას გუშინ გადაცემის შემდეგ დავუკავშირდით...

**- გია, ახლახან, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა კახა ცხადაძემ განაცხადა, რომ ნაკრებში ხარ მიწვეული...**

- მართლა?! დიდი მადლობა კახა ცხადაძეს, უზომოდ ბედნიერი ვარ! ძალიან კარგი ამბავი მითხარით... ამ დღეს დიდი ხანია ველოდი!

**- ადრინდელი ინტერვიუებიდან რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს ნაკრებში თამაში აღარ გსურდა...**

- არა, ნამდვილად მინდოდა! თქვენმა ზარმა ისე გამახარა, სიტყვებით გადმოცემა მიჭირს. გინახავთ ქართველი, საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაში რომ არ სურდეს?!

**- ცხადაძემ ნაბიჯი გადადგა, ახლა მოქალაქეობის საკითხი შენი მოსაგვარებელია...**

- ყველაფერს გავარკვევ, რა და როგორ უნდა გავაკეთო... ალბათ, ოფიციალური მიწვევაც მომივა და კლუბის მესვეურებს საქმის კურსში ჩავაყენებ.

**- საქართველოს მოქალაქეობას მიიღებ?**

- იურიდიულ საკითხებში ვერ ვერკვევი. ამაში საქართველოც უნდა დამეხმაროს. იმედია, ამ საკითხის მოგვარება არ გაჭირდება.

**ალექსანდრე გრიგალავა**, ფეხბურთელის მამა, ქუთაისის „აიას“ ყოფილი მორაგბე უზომოდ ბედნიერია ცხადაძის გადაწყვეტილებით: „დიდი ხანია ვოცნებობ, რომ ჩემს შვილს თავისი სამშობლოს ნაკრებში ეთამაშა. ქართველად ვზრდიდი, თავადაც საქართველოსთვის ვთამაშობდი და მიხარია, რომ კახა ცხადაძემ ჩემი ვაჟი საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნია“.



ლაშა თოთაძე

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXII ტურის მიმოხილვა

# საფეხბურთო სტუმართმოყვარეობა

მეორე წრის, ანუ „ზამთრის ეტაპის“ გამარჯვებულიც გამოვლინდა - „ვიტ ჯორჯიამ“ ამ სეზონში უკვე მეორე არაოფიციალური ტიტული გაიფორმა. პირველი კი მაშინ იყო, „შემოდგომის ჩემპიონი“ რომ გახდა და ორი წრის გამარჯვებულს, უმთავრესი ეტაპილა დარჩა სანუკვარი მიზნის მისაღწევად. ერთი შეხედვით, ყველაფერი ლოგიკურია - **რამაზ მუმლაძის** გუნდი ჩემპიონატის დაწყებიდან შესაშურ სტაბილურობას ინარჩუნებს და პირველი და მეორე წრის გამარჯვებულიც შემთხვევით არ გამხდარა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემპიონატის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთხელ დამარცხდა და ახლა მთავარია, თუ რამდენად გაუძლებს უახლოესი მდევრისგან „შევიწროებას“. უახლოესი მდევარი კი, რალა თქმა უნდა, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია - „დინამოსთვის“ ხომ ჩემპიონობის გარდა ნებისმიერი სხვა შედეგი წარუმატებლობად ფასდება. მთელი მეორე წრის განმავლობაში „დინამო“ კვალდაკვალ მიჰყვებოდა ერთპიროვნულ ლიდერს „ვიტ ჯორჯიას“ და... კონკურენტის წაფორხილების იმედადაც იყო; ლოკალური მიზანი მიღწეულია - **რაინერ ცობელის** გუნდმა ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა და მესამე და გადამწყვეტი ეტაპის წინ ჩემპიონატს უფრო მეტი ინტრიგა შეჰმატა. ჰო, რაც არ აკლია ჩვენს ჩემპიონატს, ინტრიგა და დაძაბულობაა, თორემ ფეხბურთის დონითაც ვერ ვიტრაბახებთ, გულშემატკივრებიც ვერ შემოგვიტყუებია სტადიონებზე და ჩვენი მოედნების მდგომარეობა ხომ საერთოდ ვერანაირ კრიტიკას უძლებს.

სხვათა შორის, თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, აღმოჩნდება, რომ მეორე წრეში ყველაზე მეტი ქულა (25) „დინამომ“ დააგროვა - რაინერ ცობელის გუნდმა ათი შეხვედრიდან რვა მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. 24 ქულა მოაგროვა „ვიტ ჯორჯიამ“ - რამაზ მუმლაძის გუნდმა შვიდი მატჩი მოიგო და სამიც ფრედ ითამაშა. ისე კი, მეორე წრე დაუმარცხებლად მხოლოდ ორმა გუნდმა - „ვიტ ჯორჯიამ“ და „ოლიმპმა“ განვლო. **ვარლამ კილასონიას** გუნდსაც ისეთივე მაჩვენებელი აქვს, როგორიც „ვიტ ჯორჯიას“ - შვიდი გამარჯვება და სამი ფრე.

ახლა კი, ალბათ, დროა, მეორე წრის უკანასკნელ ტურზე ვისაუბროთ; მით უფრო, რომ ოცდამეორე ტურში სტუმრებმა გაილაღეს და ხუთიდან ოთხი მატჩი სწორედ მათი გამარჯვებით დასრულდა. მასპინძელთაგან ერთადერთი, მხოლოდ „სპარტაკი“ არ დამარცხებულა; თუმცა **სერგო გაბელაიას** გუნდისთვის ფრესა თუ წაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარც ჰქონდა - „სპარტაკს“, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. არანაკლებ მოტივირებული იყო მეტოქეც - „მესხეთი“ ხომ კვლავაც სახიფათო ზონაში იმყოფება. თუმცა, **კობა თედიაშვილის** გუნდმა, ბევრისთვის მოულოდნელად, ჩემპიონატში გამოცხადებული შესვენების მერე საჭირო ქულების მოგროვება დაიწყო. მოულოდნელადო, იმიტომ ვამბობთ, რომ გუნდი მეორე ეტაპის დაწყებას, ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა. ერთ ან ორკვირიან შეკრებას ვინ ჩივის, მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელები ზედ მეორე ეტაპის დაწყების წინ დაიმატა. ყველაფერ ამის მიუხედავად, ჩემპიონატის განახლების მერე „მესხეთმა“ ხუთი შეხვედრა ჩაატარა და აქედან მხოლოდ ერთში დამარცხდა (ისიც „ვიტ ჯორჯიასთან“). აი, „სპარტაკის“ მდგომარეობა კი კვლავაც საგანგაშოა: რა თქმა უნდა, პირველ ეტაპთან შედარებით გუნდმა თამაშის ხარისხიც და შედეგიც გამოასწორა, მაგრამ საქმეს ჯერ ვერ შველის.

კვლავ დამარცხდა „მგლები“; თანაც, **ბესიკ შეროზიას** მართლაც საინტერესო გუნდმა მეორე ეტაპი ერთობ წარუმატებლად დაიწყო - ოთხ მატჩში სამი წაგება და ერთი ფრე. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ პერიოდში „მგლებს“ საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან უწევდა დაპირისპირება. აი, ახლა, ერთი თვის განმავლობაში ამ გუნდს ბევრად უფრო იოლი თამაშები ელოდება და რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ „მგლები“ შედეგს ბევრად გააუმჯობესებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ერთპიროვნულ ლიდერთან „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრაში მასპინძლებს მეტად სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ - **ვალტერ გუჩუა** და **როინ ონიანი** „მგლების“ ლიდერები და მართლაც შეუცვლელი ფეხბურთელები არიან. თუმცა ეს სულაც არ აკნინებს სტუმართა გამარჯვებას - ოპტიმალური შემადგენლობით მოასპარეზე „ვიტ ჯორჯიამ“, როგორც სჩვევია, აკადემიურ სტილში დაამარცხა ყველასათვის უხერხულ მეტოქედ მიჩნეული მასპინძელთა გუნდი. ამ შეხვედრაში გოლები „ვეტერინართა“ ლიდერებმა - **ლუკა რაზმაძემ** და **ჯაბა ლიპარტიამ** გაიტანეს. სამწუხაროდ, კვლავაც გრძელდება „ვიტ ჯორჯიას“ საუკეთესო ბომბარდირის **ვახტანგ კვარაცხელიას** უგოლო სერია. იმედი დავიტოვოთ, რომ ეს ახალგაზრდა ფორვარდი სულ მალე კვლავაც შეგვახსენებს თავს ჩვეული შედეგიანობით. აი, **გიორგი მერებაშვილს** კი მართლაც ველარავინ აჩერებს - ტური არ გავა, „დინამოსა“ და, საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა გოლი არ გაიტანოს. ეგ კი არა, ხან „დუბლით“ მოიწონებს ხოლმე თავს, ხანაც - „ჰეტთრიქით“! გასაგებია, რომ „დინამოს“ ამ ტურში მეტად სუსტი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ რაინერ ცობელის გუნდი აუტსაიდერთან შეხვედრაში მაქსიმალური მობილიზებით გამოვიდა და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში გადაწყვიტა. მერებაშვილის გარდა აქტიური თამაშით გამოირჩეოდნენ „დინამოს“ განაპირა ნახევარმცველებიც - **შოთა კაშია** და **ოლეგ გველესიანი**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ერთდროულად ორი კონკურენტი (**ალექსანდრე კოშკაძე, შოთა ლომია**) ჰყავს და ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებისთვის სამივეს სერიოზული ბრძოლა მოუწევს.

„დინამოსთან“ წაგებულ მატჩს თუ არ ჩავთვლით, მეორე ეტაპზე „ზესტაფონის“ ასპარეზობა ჩინებულად უნდა შეფასდეს. მნიშვნელობა არა აქვს, შინ თამაშობს თუ სტუმრად - **გია გეგუჩაძის** გუნდი ყველა მატჩში მაქსიმალური შედეგის მისაღწევად იბრძვის. თანაც, როგორც წესი, „ზესტაფონს“ აქცენტი სწრაფ გოლზე აქვს გაკეთებული; აი, უკანასკნელ ტურში „ლოკომოტივთან“ როგორც იყო: მერე ხომ უკვე თამაშიც სტუმართათვის სასურველი სცენარით წარიმართა. ისე, კარგა ხანია, ერთ მატჩში ამდენი სახიფათო მომენტი აღარ გვინახავს: ორივე გუნდის მეკარეებმა (ამავდროულად - კაპიტნებმაც), **გიორგი ლომაიამ** და **ზურაბ მამალაძემ** არაერთხელ გამოამჟღავნეს საკუთარი რეაქცია, განსაკუთრებით ლომაიამ, ვინც მეორე ტაიმში ლამის მარტოდმარტო უმკლავდებოდა სტუმართა იერიშებს. აქტიური იყო **გიორგი კახელიშვილიც**, თუმცა „ლოკომოტივის“ მარჯვენაფლანგელს პარტნიორებისგან აშკარად მეტი მხარდაჭერა სჭირდებოდა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი, უდავოდ, „ზესტაფონის“ თავდამსხმელი **ნიკა გელაშვილი იყო!** იმის გარდა, რომ „დუბლი“ შეასრულა და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა, გელაშვილმა, საერთოდაც, შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა! ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ გარჯა დავუფასეთ და ოცდამეორე ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დავასახელეთ!

დაბოლოს, ტურის უკანასკნელ მატჩზეც: რუსთავის „ოლიმპმა“ წაუგებელი სერია კვლავაც გააგრძელა ისევე როგორც ბრძოლა მესამე ადგილისათვის, აქედან გამომდინარე, ხვალინდელი „ოლიმპი“-„ზესტაფონის“ შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევს. სამწუხაროდ, მოლოდინი, რომ ქვემოქართლური დერბი დაძაბულ და საინტერესო პაექრობაში ჩაივლიდა, არ გამართლდა. უფრო ზუსტად, სატურნირო თვალსაზრისით უფრო მეტად მოტივირებულმა „ოლიმპმა“ შეძლო „სიონის“ სტუმრად დამარცხება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლნისელებს ძირითადი შემადგენლობის ერთდროულად შვიდი ფეხბურთელი აკლდა...

**გია ტუხაშვილი**

XXII ტურის სიმბოლური ნაკრები

მწვრთნელი: რამაზ მუმლაძე (4) (ვიტ ჯორჯია)

გ. ლომაია (7) (ლოკომოტივი)

აქუბარდია (მგლები)

დ. ლომაია (5) (ვიტ ჯორჯია)

შ. კაშია (3) (დინამო)

ლეკიშვილი (2) (მესხეთი)

კახელიშვილი (4) (ლოკომოტივი)

გველესიანი (3) (დინამო)

ბენაშვილი (3) (ზესტაფონი)

ლიპარტია (5) (ვიტ ჯორჯია)

მერებაშვილი (6) (დინამო)

გელაშვილი (5) (ზესტაფონი)



10.03. ბორჯომი.

ბორჯომი. ვიტ ჯორჯია

არბიტრი: ლ. სილაგავა;
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ზვ. ერქვანია;
მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი
დისკვალიფიკაცია: არავინ

10.03. თბილისი. ამერი. 15:00

გაგრა დინამო

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი;
ასისტენტები: ზ. ხუციშვილი, ზ. ბერულავა;
მეოთხე მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი
დისკვალიფიკაცია: არავინ

11.03. თბილისი მ. მესხი. 15:00

ლოკომოტივი მესხეთი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი;
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი;
მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
დისკვალიფიკაცია: ფოფხაძე (ლოკომოტივი), ზვ. ჩხეტიანი (მესხეთი)

11.03. რუსთავი. ფოლადი. 15:00

ოლიმპი ზესტაფონი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია;
ასისტენტები: ზ. ფიფია, ლ. თოდრია;
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია
დისკვალიფიკაცია: გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (ზესტაფონი)

11.03. ზუგდიდი ცენტრალური. 15:00

მგლები სიონი

არბიტრი: მ. ურუშაძე;
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ბ.ჭიჭინაძე;
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი
დისკვალიფიკაცია: ჯოჯუა, ა. ბაჯელიძე, ხუხია (სამივე მგლები)

სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 20 | 13 | 6 | 1 | 34-12 | 45 |
| 2. დინამო | 20 | 14 | 2 | 4 | 45-15 | 44 |
| 3. ზესტაფონი | 20 | 12 | 3 | 5 | 26-14 | 39 |
| 4. ოლიმპი | 20 | 9 | 9 | 2 | 23-11 | 36 |
| 5. სიონი | 20 | 7 | 8 | 5 | 22-17 | 29 |
| 6. ლოკომოტივი | 20 | 8 | 3 | 9 | 24-21 | 27 |
| 7. მესხეთი | 20 | 5 | 8 | 8 | 15-25 | 22 |
| 8. მგლები | 20 | 5 | 4 | 11 | 17-27 | 19 |
| 9. გაგრა | 20 | 4 | 4 | 12 | 14-34 | 16 |
| 10. სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 18-35 | 13 |
| 11. ბორჯომი | 20 | 2 | 6 | 12 | 16-43 | 12 |

შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 30-7 | 28 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 18-7 | 21 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 7 | 0 | 3 | 15-6 | 21 |
| 4. ოლიმპი | 10 | 5 | 5 | 0 | 12-2 | 20 |
| 5. ლოკომოტივი | 10 | 5 | 0 | 5 | 12-8 | 15 |
| 6. გაგრა | 10 | 4 | 3 | 3 | 11-12 | 15 |
| 7. მგლები | 10 | 4 | 1 | 5 | 10-9 | 13 |
| 8. სიონი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-10 | 13 |
| 9. მესხეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| 10. ბორჯომი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-17 | 7 |
| 11. სპარტაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-18 | 6 |

სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 3 | 0 | 16-5 | 24 |
| 2. ზესტაფონი | 10 | 5 | 3 | 2 | 11-8 | 18 |
| 3. დინამო | 10 | 5 | 1 | 4 | 15-8 | 16 |
| 4. ოლიმპი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-9 | 16 |
| 5. სიონი | 10 | 4 | 4 | 2 | 10-7 | 16 |
| 6. ლოკომოტივი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 7. მესხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 5-15 | 9 |
| 8. სპარტაკი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-17 | 7 |
| 9. მგლები | 10 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |
| 10. ბორჯომი | 10 | 1 | 2 | 7 | 8-26 | 5 |
| 11. გაგრა | 10 | 0 | 1 | 9 | 3-22 | 1 |

ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 11 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 8 |

ტურის მწვრთნელი

რამაზ მუმლაძე



# ამ ყველაფერს წლების განმავლობაში ვქმნიდით

## მუმლაძისთვის ორი წრის მოგება არაფერია, მთავარი ბრძოლა ახლა იწყებაო...

**რამაზ მუმლაძე და კომპანია წინსვლას აგრძელებს. ზუგდიდში რთული შეხვედრის მოგების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ" პირველობა შეინარჩუნა, თუმცა ჩემპიონ „დინამოს" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. ამ გუნდებს შორის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის...**

**ახლა განვლილ ტურზე ვილაპარაკოთ. „ლელომ" უქმეების საუკეთესო მწვრთნელად „ვიტ ჯორჯიას" თავკაცი რამაზ მუმლაძე დაასახელა. „მგლებთან" ზუგდიდში 2:0 მოგება პატარა საქმე არ არის. ვიტელებმა მებრძოლი ხასიათი, კლასი და გამარჯვებისთვის საჭირო ყველა თვისება გამოავლინეს. მოდით, მუმლაძის ნააზრევს გავეცნოთ...**

**- ბატონო რამაზ, კიდევ ერთხელ დასახელდით ტურის მწვრთნელად...**

- ამ სეზონში უკვე მეხუთედ თუ მეექვსედ დამასახელეთ ტურის მწვრთნელად და, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ძალიან მახარებს.

**- „მგლებთან" იოლად ვერავინ იგებს. არ მგონია, ზუგდიდიდან 3 ქულა ერთი ხელის მოსმით წამოგელოთ...**

- ერთი შეხედვით, თითქოს იოლად მოვიგეთ, სინამდვილეში კი, ურთულესი მატჩი გადავიტანეთ. ჯერ ერთი, ზუგდიდელები ყველასგან განსხვავებულ, აგრესიულ, შემტევ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ. მეორეც - მათ ბევრი მაყურებელი ჰყავთ და ეს მხარდაჭერა, ბუნებრივია, გუნდზე სასარგებლოდ მოქმედებს. მსგავსი ფუფუნება ყველა გუნდს არ აქვს... თუმცა მთავარი პრობლემა მაინც უხარისხო მოედანი იყო - საშინელი საფარი, ჭაობივით, ფეხი რომ გეფლობა და წვიმის დროს ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. თავად „მგლების" მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ თქვა - ასეთ მოედანზე ფეხბურთის თამაში შეუძლებელიაო.

**- გამოდის, რომ ზუგდიდში რალაც ფეხბურთისმაგვარი ითამაშეთ...**

- გასაგებია, რომ მთელი აქცენტი ორთაბრძოლებზე გადავიტანეთ. ამასთან, ზუგდიდელები შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და ჩვენ სწორედ ეს ფაქტორი გამოვიყენეთ. „ჩაკეტილი" ფეხბურთი რომ ეთამაშათ, აი მაშინ კი გაგვიჭირდებოდა გადაადგილება. დაცვაში ჩამჯდარი გუნდის წინააღმდეგობის დაძლევა მაინც გაცილებით რთულია.

**- „ვიტ ჯორჯია" მეორე წრის ჩემპიონიც გახდა...**

- ...და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს!

**- რატომ? ცუდია?**

- არა, უბრალოდ, მთავარია, ბოლოს რომელ ადგილს დავიკავებთ. ერთი წუთით წარმოიდგინეთ - მოცურავე თავიდან რომ დაწინაურდეს და ზედ ფინიშთან რომ დაიხრჩოს, გაიხსენებს ვინმე, რომ თავიდან სწორედ ის ლიდერობდა? ამიტომაც მთავარია, ფინიშთან პირველი ვინ მივა. მოკლედ, მარტივადაა ყველაფერი. ჩემთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ საბოლოოდ შედეგი და არა თავდაპირველი წარმატება. სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ჩემთვის ორი წრის ჩემპიონობა არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ სასიხარულო ფაქტია. ეს გუნდის სტაბილურობასა და სიძლიერეზე მიუთითებს.

**- თქვენი აზრით, რა ფაქტორები განაპირობებს „ვიტ ჯორჯიას" ლიდერობას?**

- პირობები და საქმის სწორი ორგანიზაცია. ძალიან კარგი პირობები გვაქვს საიმისოდ, რათა გუნდი გაძლიერდეს. ზამთარ-ზაფხულს უცხოეთში მშვენიერ შეკრებებს ვატარებთ, ყოველ წრეს ახალი ეკიპირებით ვიწყებთ, რაც, მერწმუნეთ, ფეხბურთელების ფსიქოლოგიასა და თავდაჯერებულობაზე ძალიან კარგად მოქმედებს. თითქოს ნიუანსია, მაგრამ - ძალიან მნიშვნელოვანი. ხელფასები და პრემიები დროულად რიგდება, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე. „ვიტ ჯორჯიას" საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სავარჯიშო პირობები აქვს. უკეთესით მხოლოდ თბილისის „დინამომ" შეიძლება მოიწონოს თავი, და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი ბაზა გააჩნია, თორემ სხვა მხრივ ჩვენი გუნდი საქართველოში საუკეთესოა. ამ ერთადერთ ნაკლს, ბაზისა და სტადიონის არქონასაც მალე გამოვასწორებთ და „ვიტ ჯორჯია" კიდევ უფრო სოლიდური კლუბი გახდება. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ საერთო ჯამში, კარგი პირობები გუნდის თითოეული წევრის განწყობაზე დადებითად მოქმედებს.

**- სტადიონი და ბაზა ახსენეთ. იქნებ, უფრო მეტი თქვათ ამ თემაზე...**

- მალე მცხეთაში, ჩვენს სტადიონზე, უახლესი თაობის ხელოვნურსაფრიანი მოედანი დაიგება, სტადიონიც მოწესრიგდება და საუკეთესო პირობები გვექნება.

**- სტადიონის რეკონსტრუქცია როდის დამთავრდება?**

- ალბათ, ზაფხულისთვის. თუმცა ამაზე კლუბის ხელმძღვანელობა უფრო დეტალურ პასუხს გაგცემთ. მე კი ის მიხარია, რომ კარგ საფარზე ვითამაშებთ.

**- არსებობს რაიმე ფაქტორი, რომელიც თქვენს წინსვლას ხელს შეუშლის?**

- ხელისშემშლელი ფაქტორები რომ არსებობდეს, პირველ ადგილზე ვერც ვიქნებოდით. ყველაფერი ლოგიკურია, მათ შორის, ჩვენი ლიდერობაც.

**- „ვიტ ჯორჯიაზე" ამბობენ, მისი ძალა ერთსულოვნებაშიაო, თუმცა ეს აუტსაიდერებშიც შეიძლება იყოს. თქვენი აზრით, კიდევ არ გამოარჩევს გუნდს?**

- ისევ და ისევ ერთსულოვნება და კლასი! ეს მართლა ერთი ოჯახია. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა იოლი არ იყო. გუნდი და ეს ატმოსფერო წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. სტაბილური გარემო ფეხბურთელებსაც გადაედოთ და საბოლოოდ, შედეგებზეც აისახა. აქ ბევრი ისეთი ნიუანსია, რაც კლუბის შენებას ეხება. მე კიდევ ერთი ფაქტორი შემიძლია დავასახელო - „ვიტ ჯორჯია" ერთ რომელიმე ფეხბურთელზე დამოკიდებული გუნდი არ არის. შეიძლება, სეზონის შემდეგ გუნდიდან ერთი ან ორი ლიდერიც კი წავიდეს, მაგრამ ეს შედეგებს მაინცდამაინც არ ეტყობა. ასეთი რამ ყველგან არ ხდება. რაც მთავარია, მეგობრობა საქმეში ხელს არ გვიშლის, პირიქით, ასე უფრო შეკრულები და ძლიერები ვართ.

**- ისე კი, არ გინდათ გყავდეთ ფეხბურთელი, რომლის წასვლაც გუნდს დაეტყობა? ანუ გამორჩეულად ნიჭიერი და ინდივიდუალისტი - ვარსკვლავი!**

- ასეთ ფეხბურთელზე უარს ვინ იტყვის?! ისეც არ გაიგოთ, თითქოს ინდივიდუალისტებს ვერ ვიტან. ფეხბურთი თუ გიყვარს, შეუძლებელია ინდივიდუალისტების წინააღმდეგი იყო. მეორე გუნდი და მთელი ჩვენი სასელექციო ჯგუფი სწორედ გამორჩეული ტალანტების აღმოჩენასა და აღზრდას ემსახურება. სხვათა შორის, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი იზრდება, რომელთა დიდი იმედი მაქვს. „ვიტ ჯორჯია" სწორედ ძლიერ ინდივიდუალისტებს ზრდიდა - მარცვალაძე, გელაშვილი, იმედაშვილი... ჩვენი სასელექციო სისტემა იმდენად კარგად არის აწყობილი, რომ ასეთ მოთამაშეებსაც კი შემცვლელებს ვუძებნიდით და დღესაც ვუძებნით...

**მერაბ მამულაშვილი**

ტურის ფეხბურთელი

ნიკა გელაშვილი

# პენალტზე წავედი, მაგრამ სიმულაცია არ ყოფილა

## ზესტაფონის მეგოლეს ურჩევნია, მეწყვილე ჰყავდეს



ნიკა გელაშვილმა გიორგი ლომაიასა და ნიკა გუშარაშვილს რეტი დაასხა

**მან ორი გოლი გაიტანა და კიდევ არაერთი საგოლე მომენტი შექმნა, მეტოქის დაცვა დააწიოკა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარეს ორი გოლი გაუტანა... ტურის ფეხბურთელადაც ის დავასახელეთ - ნიკა გელაშვილი, რომელმაც გოლებმაც „ზესტაფონს" „ლოკომოტივთან" სტუმრად მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოაგებინა.**

**ის ნამდვილი თავდამსხმელია - სწორედაც თავს ესხმის მოწინააღმდეგეს და მუდამ საგოლედაა შემართული. სწრაფია და სიჩქარეს რომ აკრეფს, მცველისთვის გვერდის ავლა კარგად გამოსდის. "ზესტაფონამდე" „ვიტ ჯორჯიასა" და თელავის „კახეთში" უთამაშია, იყო ახალგაზრდული ნაკრების წევრიც, ერთი პერიოდი უცხოეთში აპირებდა თამაშს და ბელგიაშიც იყო წასული, მაგრამ...**

**მოკლედ, მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს ტურის ფეხბურთელთან. გელაშვილთან საუბარი, ცხადია, „ლოკომოტივთან" მატჩით დავიწყეთ...**

- მადლობის მეტი რა მეთქმის?! რაც შეეხება მატჩს, ცუდი მინდორი იყო და ამის გამო მწვრთნელის დავალება მხოლოდ ნაწილობრივ თუ შევასრულეთ.

**- და რა დაგავალათ გია გეგუჩაძემ?**

- მაღალ ტემპში უნდა გვეთამაშა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აგვეტანა ბურთი შეტევაში, ფეხბურთელები მუდმივ მოძრაობაში უნდა ყოფილიყვნენ... მაგრამ უკვე გითხარით, რომ ასეთ უხარისხო მოედანზე მწვრთნელის ყველა დავალებას ვერ შევასრულებდით, უბრალოდ შეუძლებელი იყო...

**- პირველი გოლი შენ მიერ მოპოვებული პენალტით გაიტანე. ისე ჩანდა, თითქოს გიორგი ლომაიასთან ორთაბრძოლისას არბიტრს 11-მეტრიანი გამოსტყუე...**

- სიმულაცია არ ყოფილა, თორემ რა დასამალია - პენალტზე ნამდვილად წავედი. კუთხე მახვილდებოდა და ამიტომაც გადავწყვიტე ასე.

**- „ზესტაფონში" მწვრთნელი სეზონის პირველი ეტაპის ბოლოს შეიცვალა - რა გეზი აქვს აღებული გია გეგუჩაძეს, რა არის მთავარი, რის შეცვლასაც აპირებს?**

- მეტი აქცენტია გადატანილი შეტევაზე. გეგუჩაძე უფრო შემტევ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას.

**- რაც სეზონი განახლდა, „ზესტაფონმა" ერთის გარდა ყველა თამაში მოიგო, მხოლოდ გადადებულ შეხვედრაში დამარცხდა - „დინამოსთან" 0:2. ეთანხმები აზრს, რომ „დინამომ" იმ შეხვედრაში აშკარად უკეთ ითამაშა?**

- მეორე ტაიმის პირველ წუთებზე აშკარა საგოლე მომენტი მქონდა და რომ გამეტანა, არავინ იცის, რა მოხდებოდა. დასარტყმელ პოზიციაზე რომ გავედი, „დინამოს" მეკარე ოვონო უკვე დაწოლილი იყო, შორეულ კუთხეში უნდა დამერტყა, მაგრამ ვერ მოვახერხე და სადაც მეკარე იყო, იქ დავარტყი, თან სუსტად. პირველ გოლამდე „დინამოს" არანაირი უპირატესობა არ ჰქონია, მერე კი მართლაც ავირიეთ...

**- „ზესტაფონმა" შუასასეზონო შეკრებაზე ორი ტაქტიკური განლაგება დაამუშავა: 4-4-2 და 4-3-3. შენ რომელ სქემაში უფრო კომფორტულად გრძნობ თავს?**

- თამაში უფრო მაშინ მიადვილდება, როცა თავდასხმაში მეწყვილე მყავს. ასეთ დროს ბურთისთვის ერთი ფორვარდი „გამოდის", მეორე კი მის ზურგსუკან იხსნება, ხოლო როცა ერთი ცენტრფორვარდით და ორი გარემარბით თამაშობ, თამაში შენგან უნდა გაიხსნას.

**- და როცა „ლოკომოტივთან" 4-4-2 განლაგებით ითამაშეთ, შენ და ლევან მელქაძეს, შენს მეწყვილეს, რა ფუნქციების შესრულება გეკისრებოდათ?**

- მეტწილად ისე იყო, რომ ბურთისთვის მელქაძე „გამოდიოდა", მე კი მის ზურგსუკან ვიხსნებოდი. ამ ყველაფერმა გაამართლა, სამი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი მქონდა.

**- „ზესტაფონის" წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა „ლოკომოტივის" დაცვის ლიდერის შეცდომებმაც. ნიკა გუშარაშვილი ყოველთვის სტაბილურობით გამოირჩეოდა, ამ შეხვედრაში კი...**

- მისგან ასეთ შეცდომებს არ ველოდი, რადგან გუშარაშვილი მართლაც კარგი მცველია.

**- „ზესტაფონი" ახლა მესამე ადგილზეა და არცთუ მცირედით ჩამორჩება „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს". რამდენად რეალურია თქვენი საჩემპიონო ამბიციები? ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიასთვის" ჯერაც ვერ მოგიგიათ, ხოლო „დინამო" მხოლოდ ერთხელ, პირველ წრეში დაამარცხეთ, მერე კი თასსა და სუპერთასზე წააგეთ...**

- საქართველოს ჩემპიონატში არ მეგულება გუნდი, „ზესტაფონმა" რომ ვერ მოუგოს. ჩვენს მოედანზე თამაში ყველას უჭირს, რადგან ჩვენ ძალიან ბევრი და კარგი გულშემატკივარი გვყავს. ჯერ არაფერია დასრულებული. ვფიქრობ, ჩემპიონის ბედი ბოლო ტურამდე გაურკვეველი იქნება.

**- ქომაგის გარდა, „ვიტ ჯორჯიასთან" და „დინამოსთან" „ზესტაფონს" კიდევ რა უპირატესობა აქვს?**

- თუ მწვრთნელის დავალებას შევასრულებთ და ჩვენს თამაშს ვითამაშებთ, „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" დამარცხება უნდა მოვახერხოთ. მართალია, მიმდინარე სეზონში ამ გუნდებთან უარყოფითი ბალანსი გვაქვს, მაგრამ ჩვენი ჯერიც ხომ უნდა მოვიდეს?!

**- „ზესტაფონი" სათასო ბატალიებს გამოეთიშა, რაც ალბათ გაგიადვილებთ ბრძოლას ჩემპიონობისთვის...**

- სამწუხაროა, რომ თასისთვის აღარ ვიბრძვით, თუმცა ერთი მიზანი რომ გაქვს, მართლაც უფრო ადვილია მისი მიღწევა.

**- ითქვა, რომ ამ სეზონში „ზესტაფონისთვის" ჩემპიონობა კატეგორიული მიზანი არ იქნება...**

- კლუბის პრეზიდენტისგან ასეთი მოთხოვნა მართლაც არ ყოფილა, მაგრამ ჩემპიონობა თავად ჩვენი, ფეხბურთელების სურვილია. „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოსთან" ქულათა სხვაობა დიდი ნაღდად არ არის.

**- „დინამოს" ერთ-ერთ უპირატესობაზე ყველა ამახვილებს ყურადღებას - ამ გუნდს ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, მარტოს რომ შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ლაპარაკია გიორგი მერებაშვილზე...**

- მიმაჩნია, რომ „ზესტაფონისთვის" ეს გადამწყვეტი არ იქნება. ვერავინ იტყვის, რომ ჩვენმა გუნდმა მერებაშვილი ვერ ამოკეტა... ისე კი, გიორგი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია საქართველოში. ასეთი ინდივიდუალისტი ეროვნულ ჩემპიონატში სხვა არ მეგულება.

**- მოსამზადებელი პირობების მხრივ, „ზესტაფონი" საქართველოში საუკეთესო, ალბათ, ვერ არის. ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ალბათ არა გადამწყვეტი...**

- „ზესტაფონში" ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ გუნდი კარგად მოემზადოს. უამინდობის შემთხვევაში ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვვარჯიშობთ, ფეხბურთელები სასტუმრო „ალპედეში" ვცხოვრობთ, ხოლო როცა თბილისში გვაქვს თამაში, ან ნაკრების ბაზაზე ვჩერდებით, ან რომელიმე ნორმალურ სასტუმროში. „ზესტაფონი" ბაზასაც იშენებს, რომელიც, ალბათ, ერთ წელიწადში იქნება მზად.

**- როდის იქნება „ზესტაფონი" ოპტიმალურ ფორმაში? შეკრებაგამოვლილმა გუნდმა სასურველ ფორმას უკვე მიაღწია?**

- უკვე კარგ ფორმაში ვართ. შეიძლება ითქვას, ახლა უფრო უკეთ ვართ მომზადებულები, ვიდრე პირველ ეტაპზე.

**- სანამ „ვიტ ჯორჯიადან" „ზესტაფონში" მიხვიდოდი, ბელგიაში იყავი ჩასული. ლაპარაკი იყო რამდენიმე გუნდზე, მათ შორის - „ბრიუგეზეც". ბელგიური ვარიანტი აქტუალური აღარ არის?**

- „ზესტაფონთან" კონტრაქტი კიდევ 4 წლით მაკავშირებს. ბელგიურ ვარიანტს რაც შეეხება, ის არ ამოქმედებულა და ასე ვთქვათ, ჩემოდნებზე არ ვზივარ. ამ ეტაპზე, აქედან წასვლაზე არ ვფიქრობ.

**დავით თავართქილაძე**

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

### აღმოსავლეთი. XIX ტური

**გაგრა 2-ნ/დინამო 1:1**

1:0 ფილია (24), 1:1 ღვთისავრიშვილი (65)

გაგრა: ხომერიკი, ჭანკვეტაძე, კილაძე, ტეტუნაშვილი, გედენიძე, თუხარელი (66. ფანცხავა), მოსიაშვილი, ფილია, ჯარმელაშვილი, ჩხაიძე (80. ოქრიაშვილი), ნავერიანი (66. სართანია).

*სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, სეფიაშვილი, ჭაავა, მარგიანი.*

*მთავარი მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე.*

ნ. დინამო: სეფიაშვილი, ზ. ხიზანიშვილი, დაბრუნდაშვილი, ტოსტიაშვილი, გ. დარასელია, ღვთისავრიშვილი, გურაბანიძე, ჩუთლაშვილი (65. მათნაძე), ა. კალაძე, მიქელაძე (78. კობახიძე), ლაპარტყავა (81. ქემუხტაშვილი).

*სათადარიგოები: სეხნიაშვილი, ედიშერაშვილი, ავაქოვი, გაბრიჩიძე.*

მთავარი მწვრთნელი: რეზო ბარამიძე

გაფრთხილება: ზ. ხიზანიშვილი, მათნაძე, ა. კალაძე.

გაძევება: ზ. ხიზანიშვილი.

არბიტრი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სიონი-ვიტ ჯორჯია 2 0:1**

0:1 სვანიძე (13)

სიონი 2: ბობლიაშვილი, ლ, ჩხეტიანი, პატარქალიშვილი, ალვლიანი (75. კ. ასათიანი), გიორბელიძე, უგრეხელიძე, გაბრიჭიძე, უგულავა, ბუბუტეიშვილი, მ. ოქროპირიძე (82. ალფაიძე), გიგინეიშვილი (46. რუხეიშვილი).

*სათადარიგოები: კახნიაშვილი, ჯ. უგულავა, ქობულაძე, ჭაველაშვილი.*

*მთავარი მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი*

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, გოგიაშვილი (4. ცხოვრებაძე), ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, ვეკუა, იოსელიანი, ვასაძე, ზ. დათუნაშვილი, როსტიაშვილი (80. ხოკერაშვილი), სვანიძე.

*სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ერაძე, გ. ლობჟანიძე, მაღრაძე.*

*მთავარი მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი*

გაფრთხილება: გიორბელიძე

არბიტრი: ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**დილა-ჩიხურა 2:1**

1:0 ბარამიძე (6), 2:0 ფალოძე (30), 2:1 მიქაძე (46).

დილა: კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, შარანგია, მინდიაშვილი, ჩიხრაძე, სორდია, ქარდავა (64. ცერცვაძე), ბეგლარიშვილი, ბარამიძე, ფაილოძე (65. ანდღულაძე), იჩქითი (69. გ. მეტრეველი).

*სათადარიგოები: მაისურაძე, თოდუა, მაჭავარიანი, დაჩანიძე.*

*მთავარი მწვრთნელი: პაატა მეტრეველი*

ჩიხურა: დოლაძე, როგავა, რ. ბარაბაძე, დოლონაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ქამუშაძე (67. ივანიშვილი), ჩიკვაიძე (62. ბ. პეტრიაშვილი), ზ. ნოზაძე (66. ჭილლაძე), მიქაძე, ლ. კობახიძე.

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ენუქიძე, ცარციძე.*

*მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე*

გაფრთხილება: ფაილოძე, ჩიხრაძე, სორდია, დოლონაძე, მიქაძე, ანდღულაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 18 | 13 | 2 | 3 | 37-12 | 41 |
| 2. ამერი | 18 | 12 | 4 | 2 | 30-7 | 40 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 17 | 10 | 5 | 2 | 27-6 | 35 |
| 4. დინამო 2 | 17 | 9 | 6 | 2 | 26-12 | 33 |
| 5. დილა | 17 | 7 | 5 | 5 | 23-14 | 26 |
| 6. სიონი 2 | 17 | 5 | 4 | 8 | 22-40 | 19 |
| 7. თბილისი | 17 | 5 | 3 | 9 | 25-28 | 18 |
| 8. გაგრა 2 | 18 | 5 | 3 | 10 | 27-39 | 18 |
| 9. კახეთი | 17 | 2 | 5 | 10 | 9-28 | 11 |
| 10. ნ/დინამო | 17 | 1 | 7 | 9 | 17-31 | 10 |
| 11. ჰერეთი | 17 | 7 | 6 | 10 | 12-38 | 9 |

**მომდევნო ტური**

**11 მარტი**

თბილისი-გაგრა 2

**12 მარტი**

ვიტ ჯორჯია 2-კახეთი

ერეთი-დილა

ჩიხურა-დინამო 2

ნ/დინამო-სიონი 2

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი XVIII ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი 2-ალაზანი | 0:0 |
| ლიახვი-ალგეთი | 5:2 |
| ნ/დინამო-ბორჯომი 2 | 3:0 |
| ლოკომოტივი 2-დუშეთი | 2:1 |
| იმედი-ერთობა | 3:0 |
| ამერი 2-სამგორი | 3:2 |
| 35-ე სკოლა-ჰერეთი | 3:2 |
| IBSU-ზოოვეტი | 7:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი 2 | 18 | 12 | 3 | 3 | 43-22 | 39 |
| 2. დუშეთი | 18 | 12 | 2 | 4 | 39-17 | 38 |
| 3. ამერი 2 | 18 | 12 | 2 | 4 | 37-13 | 38 |
| 4. სპარტაკი 2 | 18 | 11 | 3 | 4 | 48-22 | 36 |
| 5. გარეჯი | 18 | 10 | 2 | 6 | 30-19 | 32 |
| 6. 35 ს.ს. | 18 | 9 | 4 | 5 | 32-28 | 31 |
| 7. I.B.S.U. | 18 | 9 | 1 | 8 | 38-33 | 28 |
| 8. იმედი | 18 | 7 | 5 | 6 | 25-25 | 26 |
| 9. ჰერეთი 2 | 18 | 8 | 1 | 9 | 38-30 | 25 |
| 10. ლიახვი | 18 | 7 | 4 | 7 | 32-31 | 25 |
| 11. სამგორი | 18 | 6 | 6 | 6 | 31-28 | 24 |
| 12. ერთობა | 18 | 7 | 2 | 9 | 24-41 | 23 |
| 13. ბორჯომი 2 | 18 | 7 | 1 | 10 | 23-37 | 22 |
| 14. ალგეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 22-41 | 18 |
| 15. არაგველები | 18 | 4 | 5 | 9 | 19-27 | 17 |
| 16. ზოოვეტი | 18 | 4 | 2 | 12 | 22-41 | 14 |
| 17. ალაზანი | 18 | 3 | 3 | 12 | 11-33 | 12 |
| 18. ნ. დინამო 2 | 18 | 3 | 3 | 12 | 14-40 | 12 |

## ჭაბუკთა ლიგა

### 1991-92 წწ. XIV ტური

| | |
|---|---|
| გაგრა-სპარტაკი | 1:0 |
| მგლები-ოლიმპი | 2:1 |
| ბორჯომი-ლოკომოტივი | 3:2 |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 3:0 |
| დინამო-მესხეთი | 6:0 |
| U16-სიონი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 17 | 14 | 0 | 3 | 54-26 | 42 |
| 2. დინამო | 17 | 13 | 2 | 2 | 58-14 | 41 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 17 | 11 | 1 | 5 | 27-14 | 34 |
| 4. მგლები | 17 | 10 | 2 | 5 | 39-29 | 32 |
| 4. ზესტაფონი | 17 | 10 | 1 | 6 | 40-20 | 31 |
| 6. ნაკრები U16 | 17 | 10 | 1 | 6 | 55-26 | 31 |
| 7. სპარტაკი | 17 | 7 | 4 | 6 | 29-20 | 25 |
| 8. ლოკომოტივი | 17 | 5 | 1 | 11 | 20-44 | 16 |
| 9. ოლიმპი | 17 | 4 | 3 | 10 | 38-47 | 15 |
| 10. ბორჯომი | 17 | 4 | 3 | 10 | 22-42 | 15 |
| 11. სიონი | 17 | 4 | 1 | 12 | 20-46 | 13 |
| 12. მესხეთი | 17 | 0 | 1 | 16 | 12-88 | 1 |

### 1993-94 წწ. XIII ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-გაგრა | 0:0 |
| ოლიმპი-მგლები | 1:1 |
| ლოკომოტივი-ბორჯომი | 1:0 |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| მესხეთი-დინამო | 0:8 |
| ამერი-სიონი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 17 | 16 | 1 | 0 | 34-4 | 49 |
| 2. ამერი | 17 | 12 | 2 | 3 | 43-17 | 38 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 17 | 11 | 4 | 2 | 35-16 | 37 |
| 4. ზესტაფონი | 17 | 8 | 3 | 6 | 25-23 | 27 |
| 5. მგლები | 17 | 7 | 4 | 6 | 35-22 | 25 |
| 6. გაგრა | 17 | 6 | 5 | 6 | 24-24 | 23 |
| 7. ლოკომოტივი | 17 | 6 | 3 | 8 | 27-19 | 21 |
| 8. სპარტაკი | 16 | 6 | 3 | 7 | 18-24 | 21 |
| 9. ოლიმპი | 17 | 5 | 4 | 8 | 22-31 | 19 |
| 10. ბორჯომი | 16 | 3 | 5 | 8 | 13-32 | 14 |
| 11. მესხეთი | 17 | 1 | 2 | 14 | 9-70 | 5 |
| 12. სიონი | 17 | 1 | 2 | 14 | 8-38 | 5 |

### 1995-96 წწ. XII ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-გაგრა | 0:1 |
| ოლიმპი-მგლები | 1:0 |
| ლოკომოტივი-ბორჯომი | 2:1 |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 2:2 |
| მესხეთი-დინამო | 2:3 |
| ამერი-სიონი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 47-7 | 43 |
| 2. გაგრა | 17 | 10 | 3 | 4 | 34-9 | 33 |
| 3. ზესტაფონი | 17 | 8 | 5 | 4 | 32-21 | 29 |
| 4. ოლიმპი | 17 | 8 | 4 | 5 | 27-21 | 28 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 3 | 6 | 23-22 | 27 |
| 6. მგლები | 17 | 7 | 5 | 5 | 27-19 | 26 |
| 7. დინამო | 17 | 6 | 7 | 4 | 19-16 | 25 |
| 8. ამერი | 17 | 6 | 5 | 6 | 22-22 | 23 |
| 9. ბორჯომი | 17 | 7 | 1 | 9 | 19-16 | 22 |
| 10. სიონი | 17 | 3 | 3 | 11 | 15-39 | 12 |
| 11. სპარტაკი | 17 | 2 | 6 | 9 | 8-29 | 12 |
| 12. მესხეთი | 17 | 0 | 3 | 14 | 2-54 | 3 |

*U17. ელიტრაუნდის წინ* — *მეტოქე*

# იტალია ორი დებიუტანტით

17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის დაწყებამდე ათი დღე დარჩა. ჩვენის ნაკრების მეტოქე იტალიამ შემადგენლობა დაასახელა. პასკუალე სალერნომ პატარა „სკუადრა აძურასთვის" 22 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები - **პერინი** (ჯენოა), **ბარდი** (ლივორნო);

მცველები - **ბენედეტი** (ტორინო), **კამპოლი** (ლაციო), **სინი** (რომა), **ბარალდო** (პიაჩენცა), **ბანიაი** (ფიორენტინა), **კამპორეზე** (ფიორენტინა), **მანინი** (სიენა);

ნახევარმცველები: **დე ვიტისი** (ფიორენტინა), **ნატალინო** (ინტერი), **ფინოკიო** (პარმა), **ფოსატი** (ინტერი), **გამონე** (ბარი), **ჩეკარელი** (ლეჩე), **ვერატი** (პესკარა), **ელ შაარავი** (ჯენოა), **ანიელო** (უდინეზე);

თავდამსხმელები - **ლიბერტაცი** (იუვენტუსი), **დელ'ანიელო** (ინტერი), **ბერეტა** (ალბინოლეფე), **პირასი** (ალბინოლეფე).

ცნობისთვის, ანიელოსა და პირასისთვის ეს პირველი გამოძახებაა. იტალიის 17-წლამდელთა ნაკრები დასკვნით მოსამზადებელ შეკრებას ავსტრიაში გაივლის. სალერნოს გუნდი ელიტრაუნდში უძლიერესი შემადგენლობით გამოვა. საბოლოოდ ის 18 მოთამაშეს შეარჩევს. **გელა შეყილაძის** გუნდი იტალიელ თანატოლებს ელიტრაუნდის ბოლო ტურში, 25 მარტს ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

*ინტერვიუ* — *გიორგი ხიდეშელი*

# ზესტაფონში დაბრუნებას არ ვნანობ

**გიორგი ხიდეშელის პერსპექტივაში ეჭვი არასდროს შეუტანიათ. ჯერ კიდევ 17 წლის გახლდათ, როცა მისი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გამო „თბილისსა" და „ზესტაფონს" შორის ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. უნიჭო ფეხბურთელის გამო ასეთები არ ხდება... თუმცა ბოლო ოთხი წელია, მას ადგილს ხშირად უცვლიან - ჯერ ცენტრალურ მცველად აყენებდნენ, მერე პეტარ შეგრტმა საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებით დატვირთა, გია გეგუჩაძემ კი „ზესტაფონში" მისვლის შემდეგ დაცვის ცენტრში დააბრუნა...**

**- გიორგი, პოზიციის ხშირ ცვლას როგორ შეეგუე?**

- რაც გეგუჩაძემ გააკეთა, ჩემთვის მისაღები იყო. მოსამზადებელ ეტაპზე სამი-ოთხი შეხვედრა საკმაოდ ნორმალურად ვითამაშე, მწვრთნელს მოვეწონე და მას შემდეგ ცენტრალურ მცველად ვთამაშობ. თუმცა სეზონის ბოლოს ის უკეთ შეაფასებს, ამ პოზიციაზე უფრო სასარგებლო ვარ თუ ნახევარმცველად. მთავარია, იშრომო და შენი ნაკლი მაქსიმალურად გამოასწორო.

**- ამ პოზიციაზე ადრეც გითამაშია და წესით, არ უნდა გაგჭირვებოდა...**



- კი, მაგრამ მას მერე მთელი ორწელინადნახევარი გავიდა. ვერ ვიტყვი, რომ გამიჭირდა ძველ ამპლუაში დაბრუნება, მაგრამ ამას გარკვეული სირთულე მაინც ახლდა, რადგან საყრდენ ნახევარმცველობაზე უფრო საპასუხისმგებლო პოზიციაა. გვერდით სევასტი თოდუა და უჩა ლობჟანიძე მყვანან, ისინი საქართველოში გამორჩეული მცველები არიან და ეს საქმეს მიადვილებს. ცენტრალურ მცველს შეცდომის უფლება არ აქვს, ნახევარმცველს კი ზურგს უკან მცველები ჰყავს და მათი იმედი მაინც აქვს, ათიდან ცხრა შემთხვევაში მაინც დააზღვევენ. დაცვის ცენტრში ერთი შეცდომა კი, შეიძლება, გოლად დაგვიჯდეს. მეტი სიფრთხილეა საჭირო.

**- სეზონის დაწყებამდე „ოლიმპში" გადადიოდი. „ზესტაფონში" რატომ დაბრუნდი?**

- რუსთავში ორი ვარჯიში ჩავატარე, მაგრამ რაღაც გაუგებრობა მოხდა. სიმართლე გითხრათ, თავადაც გაურკვევლობაში ვიყავი, გუნდისა და კლიმატის შეცვლაზე ვფიქრობდი... მერე მოხდა ის, რაც ყველამ იცით - დავბრუნდი „ზესტაფონში" და ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ასე მოვიქეცი. გაგვიმართლა ახალგაზრდობას, რადგან ჩვენი მწვრთნელები არა მხოლოდ შედეგებზე, არამედ თითოეული ჩვენგანის წინსვლაზეც ზრუნავენ. ამიტომაც ვამბობ, რომ დაბრუნება შეცდომა არ ყოფილა.

**- რა განსხვავებაა გია გეგუჩაძისა და თემურ მახარაძის მეთოდებს შორის?**

- ორივე მაღალი დონის სპეციალისტია, თუმცა განსხვავებულ ფეხბურთს გვათამაშებენ. მახარაძე ამბობდა, რომ გუნდის შენებას ძლიერი დაცვით იწყებდა, გეგუჩაძე კი შეტევაში უფრო მეტი თავისუფლების მომხრეა. მას მთელი აქცენტი აქტიურ, აგრესიულ ფეხბურთზე აქვს გადატანილი. ბოლო დროს ის ხშირად გვიტარებს ტაქტიკურ მეცადინეობას, მაგრამ მოედანზე მხოლოდ მონახაზით თამაშს არ გვთხოვს, პირიქით, დიდ ყურადღებას აქცევს იმპროვიზაციას. გეგუჩაძე სწორი გზით მიდის. სამი თვეა ერთად ვმუშაობთ და აშკარად ვგრძნობთ პროგრესს, თუნდაც თეორიული, ტაქტიკური თუ სათამაშო დისციპლინის კუთხით. მიხარია, ორ ასეთ მწვრთნელთან ვმუშაობ. მახარაძემაც ბევრი რამ მასწავლა.

**- ექტორ კუპერის ჩამოსვლის შემდეგ ნაკრებში არ გითამაშია...**

- პეტარ შეგრტმა პორტუგალიასა და ესტონეთთან სათამაშოდ გამომიძახა, მაგრამ ტრავმა მივილე და ვერ ვითამაშე. კუპერი ნაკრებში ამ შეხვედრების შემდეგ დანიშნეს, ჰოდა, რაკი იმ ამხანაგურებში ვერ ვითამაშე, ეტყობა არგენტინელმა ამიტომაც აღარ მიხმო. თუმცა იმედგაცრუებული სულაც არ ვარ. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. კუპერი ხშირად დადის თამაშებზე, „სამშაბათობებზეც" გამომიძახა და მჯერა, ადრე თუ გვიან ნაკრებშიც ამიყვანს.

**- ბოლოდროინდელმა არა ერთმა მარცხმა გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა. როგორ ფიქრობ, შესარჩევ ციკლში ახალგაზრდული ნაკრების იმედი უნდა გვქონდეს?**

- ახალგაზრდულში ნიჭიერი ბიჭები მოდიან, ბევრი მათგანი ეროვნულ ნაკრებშიც გადაიყვანეს... დარწმუნებული ვარ - თუ ამ ბიჭებს მიხედავენ, მალე ძლიერი ეროვნული გუნდი ეყოლება. წელანაც ვთქვი - ყველაფერი მართლაც ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გავიზრდებით, როგორ გავაგრძელებთ პროგრესს, ბოლომდე დავიხარჯებით თუ არა მოედანზე... შეიძლება, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შესარჩევი ჯგუფის აუტსაიდერად მიიჩნევენ, მაგრამ ვინ თქვა, რომ მეტოქეები ჩვენზე ძლიერები არიან?

**- 10 მარტს რუსთავის „ოლიმპთან", ალბათ, ჩემპიონატში ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრას ატარებ...**

- ეს თამაში გადაწყვეტს სწორედ მესამე ადგილის ბედს. უეფას თასზე ხომ მხოლოდ სამეულის გუნდი ითამაშებს. აქედან გამომდინარე, „ოლიმპთან" მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. რაც ქულები დავაგროვეთ, რუსთაველებთან წაგებით წყალში არ უნდა გადავყაროთ... ისე, შემდეგ ტურში ბოლნისის „სიონთანაც" პრინციპული თამაში გველის, თანაც გასვლაზე.

**- როგორია პროგნოზი?**

- დიდი სურვილი მაქვს, რომ მოვიგოთ, მაგრამ პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ჯერ ერთი, რომ ეს საქმე არ მიზიდავს, და მეორეც - ფეხბურთში ხშირად ისეთი რამ ხდება, რომ თამაში შეიძლება ნებისმიერი შედეგით დასრულდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

*ლეგიონერი*


ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბრამიძე ამკარშია

28 წლის ვალერი აბრამიძემ, შესაძლოა, კარიერა რუსული პრემიერლიგის კლუბ „ამკარში" გააგრძელოს. მახაჩყალის „ანჟის" ყოფილ ფეხბურთელს პერმულ გუნდში, რუსეთის ჭაბუკთა ნაკრების კაპიტან **ალექსეი პომერკოსთან** ერთად სინჯავენ. პომერკო აბრამიძის კონკურენტი არ არის, ის ნახევარმცველია. ფეხბურთელთა საკითხი 13 მარტამდე უნდა გაირკვეს, ვინაიდან „ამკარს" სწორედ 13 მარტს უსრულდება რუსულ პფლ-ში განაცხადის წარდგენის ვადა. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინათ აბრამიძე პრემიერლიგისავე „ხიმკიში" გადიოდა სინჯებს, მაგრამ... კლუბის შეკრება მოულოდნელად დატოვა. 2002 წლიდან აბრამიძე მოსკოვის „სპარტაკში" გამოდიოდა, შემდეგ კი „ურალანსა" და „ხიმკიში".

## თეთრაძის მარცხი

**ომარ თეთრაძის** „ანჟი" ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. „ქართველთა გუნდმა" სოჭის „ჟემჩუჟინასთან" სპარინგმატჩში 0:1 დათმო. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის - სამი ქართველი ლეგიონერიც, გრიპის ვირუსის გამო ვერ ვარჯიშობდა. ამათგან, **გოჩა ხოჯავამ** გამოჯანმრთელება შეძლო და 73-ე წუთიდან თამაშშიც ჩაერთო. **ოთარ მარცვალაძე** და **ზურაბ არზიანი** კვლავ ავად არიან. **ედიკ საჯაიამ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** შეუცვლელად ითამაშეს, **სანდრო იაშვილი** 71-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ხოლო ორ წუთში ხოჯავასთან ერთად **კახა ალადაშვილიც** გამოჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. განმეორებითი მატჩები

# რანიერის ექსპერიმენტის მოლოდინში

## სადამდე შეუძლია წასვლა მიუნხენურ გიგანტს და გადაწყვეტს თუ არა მომდევნო ორი მატჩი რაფა ბენიტესის ბედს?



სტივ ჯერარდი და ფერნანდო ტორესი: ლივერპულელთა ორი უმთავრესი იმედი მადრიდელებთან მატჩში

### ბაიერნი-სპორტინგი (5:0)

ლისაბონში ხუთი უპასუხო გოლის გატანის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** საზეიმოდ გამოაცხადა: ჩვენმა კლუბმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა და მეოთხედფინალში გააღწიაო. მართალია, განმეორებითი მატჩი წინაა, მაგრამ ძნელია ენაჭარტალა ულის არ დაეთანხმო. რა უნდა მოხდეს, რომ პორტუგალიურმა კლუბმა ბავარიელთა მშობლიურ სტადიონზე ექვსი გოლის შეაგდოს, არც ერთი არ გაუშვას და ორი მატჩის ჯამში მეოთხედფინალში გააღწიოს.

შევთანხმდეთ, რომ ამ დაპირისპირების ბედი პირველსავე რაუნდში გადაწყდა. „ბაიერნი" ნამდვილად მეოთხედფინალშია. ამ ქვეყნად სასწაულები რომც ხდებოდეს, „სპორტინგი" ნამდვილად არ არის იმ დონის კლუბი, რომ ამას შესწვდეს. საკითხავი სულ სხვა რამაა: შეუძლია თუ არა მიუნხენურ გიგანტს ბოლომდე გასვლა და რომის ფინალურ მატჩში თამაში? „ბაიერნი" ყველას აოცებს. ის ძალიან არასტაბილურად თამაშობს. საუცხოო მატჩებს წარმოუდგენლად სუსტად ჩატარებული შეხვედრები ენაცვლება. ამიტომაც, „ბაიერნის" პერსპექტივებზე ბჭობა უმადური საქმეა. ყველაფერს დრო გამოაჩენს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ჩატარებული 7 მატჩიდან მიუნხენელებს ერთიც არ წაუგიათ. ამ ხნის განმავლობაში მათ 17 გოლი გაიტანეს (აქედან 5, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სპორტინგთან" პირველ მერვედფინალში) და მხოლოდ 4 გაუშვეს. შაბათს „ბაიერნმა" მორიგი მეტოქე დაიბრიყვა. მან „ჰანოვერი" გააცამტვერა, 5:1, მაგრამ აბა, ვის მოუბრუნდება ენა, რომ ბუნდესლიგაში მიუნხენელთა ასპარეზობა წარმატებულად შეაფასოს: ზამთრის არდადეგების შემდეგ **იურგენ კლინსმანის** შეგირდებმა 5 თამაში გამართეს, მხოლოდ ერთი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და სამი წააგეს, გერმანიის თასზე კი ლევერკუზენის „ბაიერთან" დამარცხდნენ, 2:4 და გავარდნენ.

ბავარიელებს „სპორტინგთან" განმეორებითი მატჩის წინ საკადრო პრობლემები აქვთ. დაშავებულია **ფრანკ რიბერი**. ის ტერფის ძვალს იტკიებს. აქილევსის მყესის ტრავმა აწუხებს **ლუკა ტონის**. გერმანელი მიმომხილველების მიერ მოწოდებულ სავარაუდო შემადგენლობებში არც ერთია და არც მეორე.

დაშავებულთა სიას კი, ამასობაში, კიდევ ერთი ნახევარმცველი, **ჰამით ალთინთოფი** დაემატა. ის „ჰანოვერთან" მატჩისას დაშავდა და 2-3 კვირიანი დასვენება გამოიწერა. კლუბის პრესსამსახურმა ჰამითის ტრავმასთან დაკავშირებით სიტყვაძუნწი განცხადება გაავრცელა. მასში მხოლოდ ის ეწერა, რომ ალთინთოფი „სპორტინგის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მან შაბათს ბავარიელთა მესამე გოლი გაიტანა და ორიოდ წუთში კოჭი იტკინა. ფეხბურთელი დაუყოვნებლივ შეცვალეს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** ბუტი, ოდო, ვან ბუიტენი, ლუსიო, ლამი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, ზე რობერტო, ოტლი, პოდოლსკი, კლოზე.

**სპორტინგი:** ტიაგო, კანეირა, პოლგა, ტონელი, აბელი, მოუტინიო, როშემბაკი, იზმაილოვი, რომანიოლი, დერლეი, ლიედსონი.

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

### იუვენტუსი-ჩელსი (0:1)

ტურინელებმა ლონდონური შეხვედრა მინიმალური ანგარიშით დათმეს. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ იტალიელებს მომდევნო რაუნდში გასვლის შანსი აღარ აქვთ. მაგრამ გუნდში ტრავმების ეპიდემია მძვინვარებს. **კლაუდიო რანიერის** შესუსტებული შემადგენლობით დიახაც გაუჭირდება „არისტოკრატების" დამარცხება, თანაც მინიმუმ ორი ბურთის სხვაობით.

რანიერი დიდხანს ინანებს იმის გამო, რომ გასულ უქმეებზე, ტურინული დერბისას (1:0), **მოჰამედ სისოკო** ათამაშა. მალელმა ნახევარმცველმა მინდორზე მხოლოდ რამდენიმე წუთი გაატარა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მას ტერფის ძვალი გაეტეხა და ნაადრევად დაესრულებინა სეზონი. „ჩელსისთან" პირველი მატჩისას, **მაურო ხერმან კამორანეზიმ** ნეკნი გაიტეხა და დასვენება გამოიწერა. დღეს ის ვერ ითამაშებს. საეჭვოა გარემარბ **მარკო მარკიონის** ასპარეზობაც. ამ ბიჭს ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. სამაგიეროდ ტრავმები მოიშუშეს ნამყვანმა მცველებმა - **ნიკოლა ლეგროტალიემ** და **ზდენეკ გრიგერამ** და დღეს ძირითადში აპირებენ თამაშს.

რანიერიმ უნდა გადაწყვიტოს, მოედნის ცენტრში გამოცდილი **დანიელ პოულსენი** გაამწესოს, თუ იმედისმომცემი **კლაუდიო მარკიზიო**. პრობლემებია ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზეც. ამიტომ **ჰასან სალიჰამიჯიჩს** ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. იქნებ სწორედ ახლა დადგა დრო, რომ „ქალბატონმა" 4-3-3 სქემა მოსინჯოს. სეზონის წინ, რანიერი ამბობდა, რომ ეს სქემა ამაურის სასტარტოში დაყენების საშუალებას მისცემდა. ამგვარად, არაა გამორიცხული, **ალესანდრო დელ პიეროსა** და **დავიდ ტრეზეგეს** გვერდით, ბრაზილიელმა თავდამსხმელმაც ძირითადში ითამაშოს. ასეთი სქემით ტურინელთა თავდასხმა ლონდონელთა ცენტრალურ მცველებს - **ჯონ ტერისა** და **ალექსს** დიდ თავსატეხს გაუჩენს. პრემიერლიგაში სამი თავდამსხმელით აღარავინ თამაშობს. ინგლისის ჩემპიონატში ერთი ფორვარდი იქცა ნორმად.

„იუვენტუსს" საკუთარ მოედანზე გოლის გაშვების უფლება აღარ აქვს. ამ ვითარებაში სისოკოს გამოკლება დიდი დანაკლისია. მას ფორმაში შესული **დიდიე დროგბას** გაუვნებელყოფა შეეძლო. იტალიელი მიმომხილველების აზრით, 4-4-2 სქემა, რომელსაც რანიერი ყველაზე ხშირად იყენებს, დღევანდელი მატჩისათვის, შესაძლოა, უადგილო აღმოჩნდეს. „იუვენტუსს" ამ სქემით სათამაშოდ, ფეხბურთელები არ ჰყოფნის. ამიტომაც რანიერისაგან თამამ ექსპერიმენტს, მეტისმეტად შემტევი სქემის არჩევას ელიან.

„იუვენტუსის" დამრიგებელმა გულშემატკივრებს მოუწოდა, არ დაიზარონ ტრიბუნების გავსება, რათა მეტოქეს მაქსიმალური დისკომფორტი შეუქმნან. ტურინის „სტადიო ოლიმპიკო", სადაც „ქალბატონი" საშინაო მატჩებს ატარებს, 30 ათას მაყურებელს იტევს. ეს „დელე ალპის" ტევადობაზე ორჯერ ნაკლებია, მაგრამ დიდებული ატმოსფეროს შექმნა 30 ათას მაყურებელსაც შეუძლია. გავიხსენოთ, რომ ჯგუფური ტურნირისას, მადრიდის „რეალმა" „ოლიმპიკოზე" 1:2 წააგო.

**გუუს ჰიდინკის** დანიშვნის შემდეგ „ჩელსიმ" ხუთი მატჩი ჩაატარა და ხუთივე მოიგო. ტურინული მატჩისათვის მზადებას იმ ფაქტმაც ვერ შეუშალა ხელი, რომ შუა კვირაში ლონდონელთა ვარსკვლავი **ეშლი კოული** ნასვამი დააკავეს და განყოფილებაში მიაბრძანეს. გასულ უქმეებზე „არისტოკრატებმა" აუღელვებლად სძლიეს ჩემფიონშიფის „ქოვენთრის" და ბოლო ოთხ სეზონში მესამედ ასოციაციის თასის ნახევარფინალში გავიდნენ. იმ შეხვედრაში კვლავ გამოიჩინა თავი **დიდიე დროგბამ**. მან ბოლო ოთხ შეხვედრაში მესამე გოლი შეაგდო. შედარებისათვის, ჰიდინკის მისვლამდე, დროგბას ამდენი გოლი მთელი სეზონის განმავლობაში ჰქონდა გატანილი.

„ქოვენთრის" წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა **მიკაელ ესიენმა**. ის მოედანზე შვიდთვიანი პაუზის შემდეგ გამოჩნდა. გამოჯანმრთელდა **რიკარდო კარვალიო**. არის დანაკლისიც: საეჭვოა **ნიკოლა ანელკას** ასპარეზობა. მას ფეხის თითი აწუხებს. **პაულუ ფერეირამ** კი მოგეხსენებათ, სეზონი ნაადრევად დაასრულა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** ბუფონი, მელბერგი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, სალიჰამიჯიჩი, პოულსენი, ტიაგო, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე.

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ეშლი კოული, ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი, ესიენი, კალუ (ან ანელკა), დროგბა.

**მსაჯი:** ალბერტო უნდიანო მალენსო (ესპანეთი)

### ლივერპული-რეალი (1:0)

„ლივერპულს" უმძიმესი კვირა ელოდება. მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში მერსისაიდელები ორ პრინციპულ მატჩს გამართავენ. სწორედ ეს მატჩები გადაწყვეტს, თუ რამდენად წარმატებული სეზონი ექნებათ მათ.

დღეს „ლივერპული" „რეალს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზურს შეეცილება, ხოლო მომავალ უქმეებზე ის „ოლდ ტრეფორდზე" ჩავა. „მანჩესტერთან" მატჩში **რაფა ბენიტესის** შეგირდებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ საჩემპიონო ამბიციებს წერტილი დაესმება.

ინგლისელ მიმომხილველებს რომ ჰკითხოთ, ამ თამაშებში გადაწყდება პირადად ბენიტესის ბედიც. თუ „ლივერპული" მიმდინარე სეზონს ხელცარიელი დაასრულებს, ესპანელ მწვრთნელს თანამდებობის დატოვება მოუხდებაო, ვკითხულობთ „დეილი მეილში".

მადრიდული მატჩი ინგლისელთა გამარჯვებით დასრულდა. დღეს „ლივერპულს" ფრეც აძლევს ხელს, მაგრამ ბენიტესი შეგირდებს მოუწოდებს, მხოლოდ მოგებაზე იფიქრონ: „დამღუპველი იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ უკვე მომდევნო ეტაპზე ვართ და იოლი გასეირნება გველის. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ „რეალი" დიდი კლუბია. მადრიდელები ესპანეთის ჩემპიონატში ჩინებულად თამაშობენ. „ბერნაბეუზე" გამარჯვება სასიამოვნო გახლდათ, მაგრამ ახლა მთავარია, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ."

მერსისაიდელთა თავკაცს კარგად მოეხსენება, რომ დღეს „რეალს" დასაკარგი აღარაფერი აქვს, ამიტომ გაცილებით უფრო აგრესიულად ითამაშებს, ვიდრე ორი კვირის წინ მადრიდში. „ლივერპულის" მდგომარეობას საკადრო პრობლემებიც ართულებს - **სტივ ჯერარდმა** და **ფერნანდო ტორესმა** ტრავმები ეს-ესაა მოიშუშეს. ბენიტესი, სავარაუდოდ, კვლავ **ხავიერ მასკერანოს** დაეყრდნობა. ძირითადში ითამაშებს ჰოლანდიელი თავდამსხმელი **დირკ კუიტიც**.

გასულ ექმეებზე „რეალმა" „ატლეტიკოსთან" 1:1 ითამაშა და პრიმერა დივიზიონში მოგებათა 10-მატჩიანი სერია დაასრულა. მადრიდელთა თავკაცი **ხუანდე რამოსი** ამბობს, რომ „ლივერპულთან" მატჩი ფინალის ტოლფასი იქნება. „ატლეტიკოსთან" მატჩში, „რეალს" დისკვალიფიცირებული ცენტრალური მცველი **პეპე** აკლდა. მის არყოფნაში სამეფო კლუბის უკანა ხაზს პრობლემები შეექმნა. **ფაბიო კანავარომ** სუსტი მატჩი ჩაატარა. ესპანელი მიმომხილველების შეფასებით, „რეალს" გაუმართლა, რომ დერბი ფრედ დასრულა და უქულოდ არ დარჩა. „ლივერპულთან" შეხვედრაში პეპე კვლავ ძირითადში ითამაშებს. სენიორ რამოსს იმედი აქვს, რომ დაცვაში შეცდომები აღარ იქნება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, ფაბიო აურელიო, ჩაბი ალონსო, მასკერანო, ჯერარდი, რიერა, კუიტი, ფერნანდო ტორესი.

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, ჰაინცე, რობენი, გაგო, დიარა, მარსელო, რაული, იგუაინი.

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

### პანათინაიკ.-ვილიარეალი (1:1)

„პანათინაიკოსს" ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფის მატჩი 1996 წლის შემდეგ არ მოუგია, ჯგუფური ეტაპი კი, მოგეხსენებათ, ბოლო შვიდ წელიწადში პირველად გადალახა. **ჰენკ თენ კატეს** შეგირდებმა ლიგის წლევანდელი გათამაშება სავალალოდ დაიწყეს, სამაგიეროდ, ბოლო სამი მატჩი მოიგეს და იმდენი მოახერხეს, რომ „ინტერსაც" კი გადაუსწრეს. სწორედ ჯგუფში დაკავებული პირველი ადგილია იმის მიზეზი, რომ ათენურ კლუბს მერვედფინალში შედარებით იოლი მეტოქე, „ვილიარეალი" ერგო და გასვლითი მატჩიც თავისთვის მისაღები შედეგით დაასრულა. მეტოქეთა ბანაკებში არსებული საკადრო პრობლემების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ნილსონი, ვინტრა, გუმასი, სარიეგი, ვავრზინიაკი, კანაგუნისი, სილვა, ჟუნიორი, სპიროპულოსი, მანციოსი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ბრუნო, გოდინი, ფუენტესი, ანხელი, იბაგასა, ეგურენი, სენა, კასორლა, ლორენტე, როსი.

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**შალვა ბიბილაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-რეალი

დღეს „ენფილდზე“ მადრიდის „რეალი“ სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩს გამართავს. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წაგების (0:1) შემდეგ სამეფო კლუბმა უნდა დაამტკიცოს, რომ ნებისმიერი სირთულის ბარიერის გადალახვა შეუძლია და დღესაც, მრავალი პრობლემის ფონზე, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უპირველეს გრანდად რჩება. სიმართლე ითქვას, ესპანელების წარმატების ამ გუნდის გულშემატკივრების დიდ ნაწილსაც არ სჯერა. ამის თქმის უფლებას მადრიდული გაზეთების მიერ ორგანიზებული გამოკითხვების შედეგები გვაძლევს, თუმცა მეოთხედფინალში გასასვლელად გადამწყვეტი სიტყვა ფეხბურთელებმა უნდა თქვან და არა ინჩასებმა. „ენფილდზე“ სამეფო კლუბის ქომაგები არცთუ დიდი რაოდენობით იქნებიან წარმოდგენილი. თუ ფაბიო კანავაროს დავუჯერებთ, გუნდი საბრძოლოდაა განწყობილი და უკან დახევას არ აპირებს. გამოცდილი მცველი უიმედოდ სულაც არ არის. პირიქით, მას სჯერა საკუთარი მეგობრების შესაძლებლობის და შეხვედრის წინ ოპტიმისტურად საუბრობს...

„ლივერპული“ კი „რეალის“ ვიზიტს მშვიდად ელოდება. რაფა ბენიტესი არბელოასა და ტორესის არცთუ სახარბიელო ფიზიკური მდგომარეობის გამო წუხს. პირენეელებმა სრული დატვირთვით ორშაბათსაც ვერ ივარჯიშეს. არადა, სამეფო კლუბთან მათი თამაში მერსისაიდელთათვის ძალიან მნიშვნელოვანია. სენიორ ბენიტესს ახლა ალბათ ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ სტივენ ჯერარდი სრულიად გამოჯანმრთელდა და საბრძოლველად მზად არის. სპეციალისტების ერთი ნაწილი მერვედფინალში პენალტების სერიას ელის. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ „ლივერპულთან“ პენალტების სერიაში ურთიერთობის გარკვევა სარისკო და ფაქტობრივად, წაგებული საქმეა. „წითელებმა“ კლუბის არსებობის განმავლობაში 11-მეტრიანების ჯოჯოხეთი 11-ჯერ გამოიარეს და 10-ჯერ გაიმარჯვეს. პენალტების სერია მათი მარცხით მხოლოდ ერთხელ დასრულდა. ასე რომ, სასურველია, ხუანდე რამოსის ბიჭებმა მიზანს ისე მიაღწიონ, რომ საქმე 11-მეტრიანებამდე არ მიიყვანონ. მოდით, „რეალს“ თავი დავანებოთ და ყურადღება რაფაელ ბენიტესისკენ მივაპყროთ. ესპანელი სპეციალისტი ოპტიმისტურადაა განწყობილი, თუმცა შეგირდებისგან სამეფო კლუბის მაქსიმალურ პატივისცემასა და სიფრთხილეს ითხოვს.

ინტერვიუ ფაბიო კანავაროსთან

# თუ ლივერპულს დავამარცხებთ, თმას გავიზრდი

**- „ატლეტიკოსთან“ საშინაო შეხვედრაში ორი ქულის დაკარგვის შემდეგ ინჩასებს რას ეტყვით?**

- ყოველთვის ვამბობდი, ზედიზედ რაც უფრო მეტ შეხვედრას მოიგებ, წაგებას ან ფრეს მით უფრო მიუახლოვდები-მეთქი. საგანგაშო არაფერი მომხდარა. უნდა ვეცადოთ, რომ ქულები აღარ დავკარგოთ. „ბარსელონას“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოუწევს ჩამოსვლა. დარწმუნებული ვარ, კატალონიელები ქულებს კიდევ დაკარგავენ. მას შემდეგ, რაც საფინალო სასტვენი გაისმა და სახლებში წავედით, „ატლეტიკოსთან“ მატჩი ისტორიის ნაწილი გახდა. ახლა „რეალის“ უკლებლივ ყველა ფეხბურთელი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგასა და „ლივერპულზე“ ვფიქრობთ. მერვედფინალი ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის დასრულებამდე სხვა მატჩებზე უბრალოდ ვერ ვიფიქრებთ.

**- კეთილი, მაშინ, ჩვენც ჩემპიონთა ლიგაზე გადავერთოთ და „ენფილდზე“ გასამართ შეხვედრაზე ვისაუბროთ. პირველი მატჩიდან გამომდინარე, სამეფო კლუბმა რა უნდა შეცვალოს იმისთვის, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეს?**

- ინგლისელებს „ბერნაბეუზე“ „რეალის“ დასამარცხებლად ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. „ლივერპულს“ საკმაოდ მარტივი ტაქტიკა ჰქონდა. საკუთარი საჯარიმოდან გრძელი პასის ჩაწოდება, იმის იმედად, რომ დირკ კუიტი რამეს შეძლებდა. „ენფილდზე“ არნახული მოთმინება უნდა გამოვამჟღავნოთ. სიჩქარე დამღუპველი იქნება. წინასწარ არავინ იცის გოლი შეხვედრის დებიუტში გავა, თუ უკანასკნელ წუთზე. თუ შედარებით მალე შევაგდებთ, „ლივერპული“ იძულებული გახდება, ფეხბურთი ითამაშოს. მათ შეტევაში წასვლა დასჭირდებათ, ეს კი ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება. ვიმეორებ, „რეალმა“ მოთმინება უნდა გამოიჩინოს. მთავარია, დაცვაში შეცდომა არ დავუშვათ, თორემ გოლს რომ გავიტანთ, დარწმუნებული ვარ.

**- ჩემი აზრით, „ლივერპული“ „ენფილდზეც“ ისევე ითამაშებს, როგორც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იასპარეზა. არ გამოვრიცხავ, ბურთი დაგითმონ, სამაგიეროდ ყველა ზონა გადაკეტონ...**

- დიახ, მეც ასეთი სცენარის შეხვედრას ველოდები. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. „ბერნაბეუზე“ 1:0 გამარჯვება მათთვის საუკეთესო შედეგი იყო. ანგარიში მინიმალურია და ჩვენ შეტევის დიდ ცდუნებას გვიჩენს. იძულებული და ვალდებული ვართ, დიდი მატჩი ჩავატაროთ, გოლი ყველა შემთხვევაში გასატანი გვაქვს. ამიტომ ვამბობ, რომ მშვიდად და აუღელვებლად უნდა ვითამაშოთ. საათს არ უნდა ვუყუროთ, არც ანგარიშით დავიტანჯოთ თავი. ჩვეულებრივად უნდა დავიწყოთ და უბრალოდ გვახსოვდეს, რომ გოლი გვაქვს გასატანი. მნიშვნელობა არ აქვს, ამას პირველ წუთზე შევძლებთ, თუ უკანასკნელზე. მთავარია, შევაგდოთ.

**- თქვენ გუნდის ერთ-ერთი ვეტერანი ხართ. ახალგაზრდებს რას ეტყვით? მაგალითად, იგუაინს, სნეიდერს, გაგოს... ისინი ამდენად მნიშვნელოვან დაპირისპირებას, ალბათ, პირველად ატარებენ.**

- ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც „რეალთან“ კონტრაქტს ხელს აწერს, აქ იმისთვის ჩამოდის, რომ დიდი და ძალიან რთული მატჩები ჩაატაროს. თუ ადამიანს მსოფლიოს გენიალურ სტადიონებზე, „ენფილდზე“, „სან სიროზე“ და სხვა დიდ არენებზე თამაშის შანსი ეძლევა, მან ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს და ფეხბურთის თამაშით დაუვიწყარი სიამოვნება მიიღოს.




**- მართლა კარგ ხასიათზე ხართ, თუ ოპტიმიზმი, რომელსაც ახლა აფრქვევთ, ფასადურია და რეალობასთან საერთო არაფერი გააჩნია?**

- მე გულწრფელი ვარ, რადგან გასახდელიდან ყველგან და ყოველთვის მოსაგებად გამოვდივარ. ამისათვის მზად ვარ, მოედანზე ყველაფერი გავიღო. „ლივერპულთან“ მატჩის მოგება რამდენიმე მცირე დეტალზეა დამოკიდებული. დიახ, რაც უფრო დიდია შენი მოწინააღმდეგე, მისი დამარცხება სწორედ მცირე წვრილმანებზე ხდება დამოკიდებული. უნდა გავაცნობიეროთ, რომ სამშაბათის შეხვედრა ძალიან ხანგრძლივი იქნება.

**- როგორ აპირებთ ინგლისური ციხესიმაგრის დანგრევას? სამეფო კლუბმა „ბერნაბეუზე“ თითქმის ყველაფერი სცადა, მაგრამ 90 წუთი საკმარისი არ აღმოჩნდა.**

- წარმატების გასაღები ნახევარდაცვაშია. უნდა ვეცადოთ, რომ თამაში გაიხსნას. მწვავე კონტრიერიშები მოვაწყოთ და ფლანგები აქტიურად გამოვიყენოთ. „ლივერპულის“ ცენტრალური მცველების შეცდომები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. დარწმუნებული ვარ, ისინი შეცდომებს არაერთხელ დაუშვებენ.

**- თუ ფლანგებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, ესე იგი სამშაბათს ყველაზე მეტად რობენი დაგჭირდებათ...**

- არა მარტო რობენი, არამედ ყველა დაგვჭირდება. ვესლი, მარსელო... მოკლედ, აბსოლუტურად ყველა. თუ „ენფილდზე“ გამარჯვება გვინდა, „რეალმა“ ისე უნდა ითამაშოს, როგორც ნამდვილ, ერთმუშტად შეკრულ გუნდს შეშვენის. სხვა გზა არ გვაქვს, იმიტომ, რომ მესისა და კრისტიანო რონალდოს დონის ფეხბურთელები არ გვყავს. ჩვენ იმ მოთამაშეებით უნდა ვიბრძოლოთ, რომლებითაც სამეფო კლუბის შემადგენლობაა დაკომპლექტებული.

**- „ენფილდზე“ ყველაზე დიდ საფრთხეს გულშემატკივრები შეგიქმნიან?**

- ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს ტრიბუნებზე რა ხდება. მთავარია, მოედანზე რას გავაკეთებთ. სამეფო კლუბს ჩემპიონთა ლიგაში არაერთხელ გაუმარჯვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მართლა ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა შეგვიძლია. ისე კი „ლივერპულის“ მხრიდან ყველაზე დიდ საფრთხეს სტანდარტულ მდგომარეობებში ვხედავ, თუმცა არაფრის მეშინია, რადგან ჩვენ პეპე, ჰაინცე და სერხიო რამოსი გვყავს.

**- თუ „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგიდან გამოაგდებთ, რას გააკეთებთ?**

- ერთი წუთი მომეცით, რომ მოვიფიქრო. თუ „ლივერპულს“ დავამარცხებთ, თმას გავუშვებ (იცინის).

**- ესე იგი, თქვენს მეუღლეს „ლივერპულთან“ გამარჯვება ორმაგად გაახარებს. თქვენთვის ყველაზე ცუდი ის არის, რომ თმის მოშვების პირობა დიქტოფონზეა ჩაწერილი.**

- მე სიტყვა არასოდეს გამიტეხავს (იცინის).

ინტერვიუ რაფა ბენიტესთან

# ჩვენ მუდამ გამარჯვებისთვის ვიბრძვით




**- საპასუხისმგებლო და გადამწყვეტი შეხვედრის წინ რაფაელ ბენიტესი როგორ განწყობაზეა?**

- ყოველთვის ვცდილობ, ჩემს საქმეს პროფესიულად მივუდგე. სულ სხვა განწყობა მაქვს, როცა კინოში მივდივარ ხოლმე. ახლა, როცა მადრიდის „რეალს“ ველოდებით, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად მობილიზებული ვარ და განმეორებით მერვედფინალს მაქსიმალური სერიოზულობით ვეკიდები. თუ მაინც და მაინც ის განწყობა გაინტერესებთ, რომელსაც ამ წამს ვგრძნობ, მოგახსენებთ, რომ ოპტიმიზმით ვარ აღსავსე. არაჩვეულებრივი შანსი გვაქვს იმისთვის, რომ ეს დაბრკოლება გადავლახოთ. თუმცა ამავდროულად უნდა განვაცხადო, რომ შეგირდებისგან მეოქის პატივისცემასა და დაფასებას ვითხოვ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთი გოლის გატანით რაიმე გადავწყვიტეთ, ძალიან შემცდარა. „ენფილდზე“ ყველაფერი თავიდან დაიწყება.

**- სენიორ ბენიტეს, ასეა თუ ისე, პირველი თამაში მოიგეთ. თანაც მეტოქის მოედანზე. გასაგებია, რომ „რეალის“ დაუფასებლობა არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, უპირობო ფავორიტები ხართ. ის ერთი გოლი დიდ უპირატესობას განიჭებთ. საინტერესოა, გოლის გათვალისწინებით, გარკვეულ ტაქტიკურ ცვლილებებს ხომ არ ამზადებთ?**

- მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია. „ლივერპული“ ყოველთვის გამარჯვებისთვის გადის მოედანზე. ამჯერადაც ასე იქნება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, იმის მიუხედავად, რომ ფრე ხელს გვაძლევს, ჩემი გუნდი ანგარიშის შენარჩუნებაზე არ იზრუნებს. მოედანზე ახლაც მოსაგებად გავალთ. შესაძლო ტაქტიკურ ცვლილებებს რაც შეეხება, ბუნებრივია, პირველი მერვედფინალური ორთაბრძოლის შემდეგ გარკვეული დასკვნები გამოვიტანე. ამის გათვალისწინებით, ცვლილებებს მართლაც ვამზადებ, მაგრამ დეტალებს, რა თქმა უნდა, არ გაგიმხელთ. ეს პროფესიული საიდუმლოა. არც ხუანდე მეტყვი, რა ჩაიფიქრა და ბიჭებს რა სქემით ათამაშებს.

**- ფერნანდო ტორესი და არბელოა ითამაშებენ?**

- ექიმების საბოლოო დასკვნას ველოდები. ძალიან მინდა, რომ მათ პრობლემა არ შეექმნათ და თამაში შეძლონ. თუ ტორესი და არბელოა ვერ იასპარეზებენ, ეს ჩვენთვის, ცხადია, დიდი დანაკლისი იქნება.

**- როგორ ფიქრობთ, „რეალს“ „ატლეტიკოსთან“ დაკარგული ორი ქულა „ენფილდზეც“ შეახსენებს თავს?**

- არა მგონია. ჩემი აზრით, „ლივერპულისა“ და „რეალის“ დაპირისპირება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას სხვა შეხვედრას არავინ დაუკავშირებს. გარწმუნებთ, სამშაბათს „ატლეტიკო“ სამეფო კლუბის არც ერთ ფეხბურთელს აღარ ემახსოვრება. ეს უბრალოდ, გამორიცხულია.

**- ესპანეთში ხშირად ამბობენ, რომ სამეფო კლუბს დღეს მსოფლიო დონის ვარსკვლავები არ ჰყავს. აი, ისეთი, როგორიც ლეო მესი, კრისტიანო რონალდო და კაკა არიან...**

- ჩემთვის კითხვის ასეთი ფორმულირება სრულიად გაუგებარია. თუ მსოფლიო დონის ვარსკვლავებში მხოლოდ ჩამოთვლილ სამ ფეხბურთელს გულისხმობენ, მაშინ ვარსკვლავები არა მარტო „რეალს“, „ლივერპულსაც“ არ ჰყოლია. მესი „ბარსელონაში“ თამაშობს, რონალდო „მანჩესტერში“, კაკა კი „მილანში“. რა გამოდის, არსებობის და გამარჯვების უფლება მხოლოდ ამ სამ კლუბს აქვს (იცინის)?

**- რა უნდა გახდეს „ლივერპულის“ გამარჯვების წინაპირობა?**

- შემართება, მეტოქის პატივისცემა, სიფრთხილე, გაბედულობა და პროფესიონალიზმი. ჩემს გუნდს არც ერთი კომპონენტი არ აკლია. ასე რომ, განმეორებით მერვედფინალს ოპტიმიზმით განმსჭვალულები ვხვდებით.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ჯოჯოხეთიდან სამოთხეში

## უყვართ კი ულის და კლინსის ერთმანეთი ასე ძალიან?

„ჰანოვერთან“ მოგებული მატჩის შემდეგ (5:1) მთელი საფეხბურთო გერმანია განცვიფრებული მიაჩერდა ტელეკადრს, სადაც ჩანდა, თუ როგორ ეხუტებოდნენ ერთმანეთს „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** და მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი**. ნუთუ დიდი ხანია, რაც „ბაიერნში“ კრიზისული ვითარება აღარ არის? არა, აქ სხვა რამეშია საქმე! კლინსმანის წარმატებულობა პირდაპირპროპორციულად აისახება ჰიონესის ბედნიერებაზე, რადგან სწორედ ულიმ აიღო პასუხისმგებლობა, როცა გუნდის მთავარ მწვრთნელად კლინსი დანიშნა. კლინსმანმა იმედები რომ ვერ გაამართლოს და პირველივე სეზონში პოსტიდან გასაშვები გახდეს, ეს პირველ რიგში სწორედ ჰიონესისა და „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ავტორიტეტზე იმოქმედებს. ამ კადრის შემხედვარე „ბაიერნის“ ქომაგებს კი აუცილებლად ასეთი კითხვა გაუჩნდებოდათ: კლინსი და „ბაიერნი“ - ნუთუ ამ ურთიერთობას ჯერ კიდევ აქვს გაღრმავების შანსი?

*„იურგენმა ძალიან კარგად იცის, რომ შეუძლია, მეც და ზოგადად „ბაიერნს“ 100 პროცენტით გვენდოს. გასულ კვირას რუმენიგეს და მე მასთან საკმაოდ გულახდილი საუბარი გვქონდა და ეს კიდევ ერთხელ განვუმარტეთ. ის ჩვენგან ყოველთვის მიიღებს რჩევებს. ჩვენ მას მხარში ვუდგავართ!“* - აცხადებს ჰიონესი.

არადა, „ლევერკუზენთან“ მარცხის შემდეგ, რომლის გამოც ბავარიელები გერმანიის თასიდან გავარდნენ, კლინსმანი თითქმის ჩემოდნებზე იჯდა (ბუნდესლიგაში გუნდი მეხუთე ადგილზე იყო) და „ჰანოვერთანაც“ რომ წაეგო, ჰიონესს და რუმენიგეს, უბრალოდ, სხვა გზა აღარ დარჩებოდათ, გარდა იმისა, რომ კლინსმანი გაეთავისუფლებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ული ამბობს, იურგენის გათავისუფლების არანაირი საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობდაო, ჩვენი გერმანელი კოლეგები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ „ჰანოვერთან“ წაგება კლინსმანის მიუნხენური ეპოპეის ნაადრევი დასასრული იქნებოდა.

ამ გამარჯვების შემდეგ კი მიუნხენელებმა შვებით ამოისუნთქეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ეს სეზონი „ბაიერნისთვის“ მაინც ცუდად ფასდება (თუნდაც კატასტროფული სტარტის გამო: 7 ქულა 6 თამაშში), ამიერიდან რეკორდმაისტერს მსუბუქი ორი კვირა ელის, იოლი მატჩებით. და აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბავარიელები ლიდერ „ჰერტას“ მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებიან, ჩემპიონთა ლიგაში კი მეოთხედფინალის საგზური განაღდებული აქვთ, რადგან „სპორტინგს“ პირველ მატჩშივე თავბედი აწყევლინეს და ამრიგად, საპასუხო შეხვედრა 100 პროცენტით ფორმალობაა.

*„სატურნირო ცხრილში ჩვენი მდებარეობა დადებითია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც გვინდა, რომ იყოს. უბრალოდ, ვალდებულები ვართ, გავხდეთ გერმანიის ჩემპიონები!“* - ამბობს კლინსმანი, თუმცა მანაც ძალიან კარგად იცის, რომ 5:1 ისეთ გუნდთან, რომელიც ბუნდესლიგაში გასვლით მატჩებში ყველაზე სუსტია, ნამდვილად არ არის სასწაულებრივი გამარჯვება. ფაქტია, რომ კლინსისა და „ბაიერნის“ ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ იურგენი გუნდს გააჩემპიონებს და ჩემპიონთა ლიგაში მინიმუმ ნახევარფინალში გაიყვანს. თუმცა ამ ბოლო მიზნის მიუღწევლობა, შეიძლება, აპატიონ კიდეც.

დაბოლოს, მეტად საინტერესო სტატისტიკა: „ბაიერნმა“ კლინსმანის ხელმძღვანელობით 34 ოფიციალური მატჩი ჩაატარა. ზუსტად ამდენ შეხვედრაში უხელმძღვანელა იურგენმა გერმანიის ნაკრებსაც 2 წლის განმავლობაში. შედეგები კი აბსოლუტურად იდენტურია. კლინსიმ ბუნდესგუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გაიყვანა, რის გამოც მადლობა გადაუხადეს. „ბაიერნისთვის“ კი მესამე ადგილი კატასტროფა იქნებოდა...



სიყვარულის გამოხატვა ბავარიულად: ული ჰიონესი და იურგენ კლინსმანი

| | თამაში | მოგება | ფრე | წაგება | გატ/გაშ |
|---|---|---|---|---|---|
| კლინსი ბუნდესგუნდში | 34 | 20 | 8 | 6 | 81-43 |
| კლინსი ბაიერნში | 34 | 20 | 8 | 6 | 79-43 |

სკანდალი



ვერდერის პრეზიდენტი იურგენ ბორნი

# სერიოზული ეჭვები ვერდერის ბოსზე

## ფეხბურთელის აგენტმა მას 50 000 დოლარი გადაურიცხა

ბრემენის „ვერდერს“ გერმანიაში ყველაზე დაბალანსებული და არასკანდალური გუნდის სახელი აქვს. მაგრამ გასული უქმეების შემდეგ კლუბის პრეზიდენტ **იურგენ ბორნზე**, რომელიც 68 წლისაა, სერიოზული ეჭვები გაჩნდა. არსებობს მოსაზრება, რომ ის ფეხბურთელების ტრანსფერებიდან პირად სარგებელსაც ნახულობს.

საქმე ეხება 2001 წელს განხორციელებულ ტრანსფერს, რომლის შესაბამისად, **რობერტო სილვა** „სპორტინგ კრისტალიდან“ ბრემენში გადავიდა (გარიგება 1.3 მილიონი ევრო დაჯდა). „შპიგელის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბორნს ამ ტრანსფერის შემდეგ სილვას აგენტმა **კარლოს დელგადომ** (რომელიც **კლაუდიო პისაროს** მრჩეველიცაა) 50 000 დოლარი გადაურიცხა. საინტერესო ის არის, რომ ეს თანხა არა ბორნის გერმანულ ანგარიშზე, არამედ მონტევიდეოში გახსნილ ანგარიშზე დაჯდა.

*„ყველაფერი წესისა და კანონის მიხედვით მოხდა. სილვას კლუბს ის თანხა გადავურიცხეთ, რაზეც შევთანხმდით, მე ამ ფულიდან ერთი ცენტიც კი არ ამიღია. რაც შეეხება ბრალდებას, ოდნავადაც არ ვნერვიულობ, რადგან დამნაშავე არ ვარ და ამას დავამტკიცებ კიდეც. დიახ, დელგადოსგან იმ დროს ფული მართლაც მივიღე და ზუსტად 50 000 დოლარი, მაგრამ ეს იყო სესხი, რომელიც კარლოსმა დამიბრუნა. 50 000 დოლარი მას მანამდე ვასესხე,“* - აცხადებს ბრემენული კლუბის პრეზიდენტი.

საიდან მიიღო „შპიგელმა“ ეს ინფორმაცია? საქმე ისაა, რომ დელგადოს ახლა პირადი პრობლემები აქვს. მას მეუღლე **ფიორელა ფორე** შორდება, რომელიც ცნობილი ფოტომოდელია. საქმე დიდ ფულს ეხება. ფიორელა ამტკიცებს, რომ დელგადოს 266 მილიონი დოლარი აქვს და შესაბამისად, 101 მილიონს ითხოვს. დელგადო კი ამტკიცებს, რომ მას მხოლოდ 130 მილიონი დოლარი აქვს. „შპიგელმა“ „ვერდერის“ ბოსისთვის დელგადოს მიერ გადარიცხული თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი სწორედ ფიორელასგან მიიღო!

ბორნი „ვერდერს“ 1999 წლიდან ხელმძღვანელობს და აქამდე სკანდალში არასდროს გახვეულა. ახლა მან პირველ რიგში ბრემენული კლუბის თანამშრომლებს, ზოგადად კი სასამართლოს უნდა დაუმტკიცოს, რომ ან ის 50 000 დოლარი მის ანგარიშზე არ გადარიცხულა (რაც გამორიცხულია, რადგან ერთი მხრივ თვითონვე აღიარებს და მეორე მხრივ, დოკუმენტი არსებობს) ან ამ თანხას სილვას ტრანსფერთან არავითარი კავშირი აქვს და მართლაც დაბრუნებული სესხი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასჯელი ელის. *„ამას თუ ვერ დაამტკიცებს, გამოდის, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ იდიოტები ვიყავით!“* - აცხადებს „ვერდერის“ ერთ-ერთი ფუნქციონერი „ბილდთან“ საუბარში.

*„ბორნს ვენდობი და მჯერა, რომ უდანაშაულოა. „ვერდერი“ სუფთაა,“* - ეს კი ბრემენული გუნდის მენეჯერისა და სპორტული დირექტორის **კლაუს ალოფსის** სიტყვებია.



გამოვიდა ახალი ნომერი

დორტმუნდი

# უმაქნისები ხართ!

## კლოპი თავდამსხმელებს მისდგა

საკმაოდ კარგად ჩატარებული პირველი წრის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიას“ სეზონის მეორე ნახევარში წარმატებების მიღწევა უჭირს. შაბათს ვესტფალიელებმა მიმდინარე სეზონში მეოთხე მარცხი იწვნიეს და მართალია, ჯერაც ყველაზე ცოტა წაგება აქვთ, მაგრამ „შტუტგარტთან“ 1:2-ის შემდეგ „ბორუსია“ ცხრილის შუაში და შესაბამისად, გაურკვეველ ვითარებაშია – როგორც იტყვიან, არც ზემოთაა, არც ქვემოთ. არადა, სეზონის წინ მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** მიზნად მაქსიმუმ ჩემპიონთა ლიგის და მინიმუმ უეფას თასის საგზურის მოპოვებას ისახავდა. იმისათვის, რომ უეფას თასზე გავიდეს, გუნდი ხუთეულში უნდა მოხვდეს (გერმანიის თასიდან „დორტმუნდი“ გავარდნილია), მეხუთე ადგილამდე კი კლოპის სამწყსოს 9 ქულა აშორებს. „შტუტგარტთან“ „ბორუსიას“ ცუდად არ უთამაშია და თუ წააგო, ეს პირველ რიგში თავდამსხმელების ბრალია, რომლებმაც ისევ ძალიან ცუდად ითამაშეს.

*„გარეგნულად ყველაფერი კარგადაა. კარგად ვუტევთ, მომენტების შექმნაც ხელგვეწიფება, გუნდი ცუდად ნამდვილად არ თამაშობს, რაშიც ყველა დამეთანხმება. პრობლემა უბრალოდ იმაშია, რომ ჩვენს ფორვარდებს გოლები ვერ გააქვთ! გვაკლია კაცი, რომელიც მომენტებს გამოიყენებს, გვაკლია ნამდვილი თავდამსხმელი საუკეთესო საგოლე ალღოთი. ასეთი ფეხბურთელი რომ არ გვყავს, ამიტომაც წავაგეთ „შტუტგარტთან“,* - განაცხადა კლოპმა მატჩის შემდეგ.

კლოპი პირველ რიგში **ნელსონ ვალდესს** და **მოჰამედ ზიდანს** უტევს, მერე კი **ალექსანდერ ფრაისაც**, რომელიც მწვრთნელის ხელში ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა და სათადარიგოთა სკამს ხეხავს. „შტუტგარტთან“ ვალდესმა და ზიდანმა ტრადიციულად ბეჯითად ირბინეს, მაგრამ რეალურად თავდამსხმელის მოვალეობებს ვერ ასრულებდნენ. მართალია, ანგარიშის გამათანაბრებელი გოლი პარაგვაელმა გაიტანა, მაგრამ ამან შეცდომაში არ უნდა



იურგენ კლოპი თავისი ფორვარდების უშედეგობით განრისხებულია

შეგვიყვანოს: ეს ვალდესისთვის მიმდინარე სეზონში მხოლოდ მეოთხე გოლი იყო.

ბურთის ფლობის მხრივ „დორტმუნდს“ უპირატესობა ჰქონდა: 54%/46%, მაგრამ საგოლე მომენტებს შვაბები ქმნიდნენ. თუმცა შეცდომა იქნება ისიც, რომ მეორე წრეში „ბორუსიას“ დავრდომა მხოლოდ თავდასხმის უნიათობას დავაბრალოთ. *„განა ნახევარმცველებს გოლების გატანას ვუკრძალავთ?“* - ამბობს „ბორუსიას“ მენეჯერი **მიხაელ ცორკი** და იქვე დასძენს, - *„კოტბუსთან“ შეხვედრის გარდა, მეორე წრეში მუდმივად ძლიერ გუნდებს ვეთამაშებოდით. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მეტი გოლი უნდა გაგვეტანა. დროა, მოგების გემო გავიხსენოთ!“*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჰერთა

# ვორონინის ულტიმატუმი

## უკრაინელი ნახევარ ევროპას უნდა

**ანდრეი ვორონინს** ოქროს ფასი დაედო და რაც დრო გადის, ბერლინის „ჰერტას" უკრაინელი თავდამსხმელი სულ უფრო და უფრო ძვირდება, რადგან მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, შაბათს კი, „კოტბუსს" ჰეთ-თრიკი შეუსრულა და დედაქალაქურ კლუბს ოთხქულიანი უპირატესობით ლიდერობა შეუნარჩუნა. ბოლო 5 თამაშში ვორონინმა 7 გოლის გატანა შეძლო. როგორც იცით, ბერლინში ის არენდის წესით თამაშობს, ისე კი „ლივერპულის" საკუთრებაა. „ჰერტას" მისი კონტრაქტის გამოსყიდვა უნდა, რაც ბერლინელებს ნაღდად ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

„ჰერტა" მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ვორონინის ყიდვას, თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს, რის გამოც უეფა 15 მილიონ ევროს გადაუხდის. მაგრამ უკრაინელი თავდამსხმელი ბერლინულ კლუბს ულტიმატუმს უყენებს. მას ახლავე უნდა იცოდეს, დარჩება თუ არა „ჰერტაში".

*„მინდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მარტის ბოლომდე ვიცოდე, რადგან უკვე უამრავი შემოთავაზება მაქვს. ჩემთვის პირველი პარტნიორი „ჰერტაა" და სხვა გუნდებთან მოლაპარაკებებს არ დავიწყებ. მაგრამ თუ ხელმძღვანელები გადაწყვეტილების მიღებას გააჭიანურებენ, იძულებული გავხდები, სხვა წინადადებები მოვისმინო. უკვე ძალიან მაწუხებენ, მოლაპარაკებების დაწყებას მთხოვენ,"* - აცხადებს ვორონინი.

უკრაინელი შესანიშნავ სეზონს ატარებს, გოლი გოლზე გააქვს და შესაბამისად, მისი ფასიც იმატებს, რის გამოც, შესაძლოა, „ჰერტამ" ვერ შეძლოს იმ თანხის გადახდა, რასაც „ლივერპული" მოითხოვს. მაგრამ ვორონინს ეს არ აინტერესებს, ეს არ არის ჩემი პრობლემაო, - აცხადებს. თუმცა „ჰერტას" პრობლემაა, რადგან უკრაინელს ნახევარი ევროპა ეპატიჟება.

*„ცხადია, არსებობს იმის საშიშროება, რომ ფინანსურად ჩვენზე ძლიერმა გუნდებმა კონკურენცია გაგვიწიონ და დაგვამარცხონ. სანამ არ ვიცით, მოვიპოვებთ თუ არა ჩემპიონთა ლიგის საგზურს, გადაწყვეტილების მიღება ძალიან ძნელია. მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს რისკზე წასვლა და თავგადასავლები ნამდვილად არ გვჭირდება,"* - ამბობს ბერლინელთა მენეჯერი **დიტერ ჰოინესი**.

პაკეტი სახელწოდებით „ვორონინი" „ჰერტას" 13 მილიონი ევრო დაუჯდება, რადგან ანდრეის სამწლიანი კონტრაქტი და წელიწადში მინიმუმ 3 მილიონის მიღება სურს, „ლივერპული" კი ჯერჯერობით მხოლოდ 4 მილიონს ითხოვს, რაც ჯამში სწორედ 13 მილიონი გამოდის. მაგრამ თუ უკრაინელი გოლების გატანას გააგრძელებს, მისი ფასიც გაიზრდება და სხვა კლუბები უფრო უკეთეს პირობებს შესთავაზებენ.



7 გოლი ბოლო 5 თამაშში, ანდრეი ვორონინი შესანიშნავ ფორმაშია

ფაქტია ისიც, რომ ვორონინს ლივერპულში დაბრუნება არ უნდა: *„ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, აფასებენ თუ არა ლივერპულში იმას, რომ კარგ სეზონს ვატარებ და ბევრი გოლი გამაქვს. მე „ჰერტასთვის" გამაქვს გოლები და არა ინგლისელებისთვის. ჩემთვის აბსოლუტურად უმნიშვნელოა, რას ფიქრობენ ჩემზე „ლივერპულის" ბოსები. იქ დაბრუნება არ მინდა! მწვრთნელის ნდობა და სათამაშო პრაქტიკა ყველა ფეხბურთელს ესაჭიროება. „ლივერპულში" ეს ყველაფერი არ მქონდა, „ჰერტაში" კი მაქვს. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ".*

**გოტფრიდ ლენცი**

არსენალი

# ვენგერი არ ელოდა

## ვან პერსი და ადებაიორი ემირეიტსზე რჩებიან

„არსენალის" დამრიგებელი **არსენ ვენგერი ედუარდო და სილვას** თამაშით აღფრთოვანებულია. ერთწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთელის ასეთ ტრიუმფულ დაბრუნებას ალბათ არც არავინ ელოდა. *„სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ ედუარდო ასეთ ფორმაში დაბრუნდებოდა. ეს მას უაღრესად დადებითად ახასიათებს. „ბარნლისთან" შეხვედრაში სამჯერ გავიტანეთ და ერთი ამდენის გატანა კიდევ შეგვეძლო. წინ „რომასთან" ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი გველის ჩემპიონთა ლიგაში. მთავარია, რომ ჩვენი კარის მშრალად შენახვა შევძლოთ,"* - აცხადებს ფრანგი სპეციალისტი.

ინგლისის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში „ბარნლის" წინააღმდეგ დიდი ხნის პაუზის შემდეგ **არსენ ვენგერმა** სამატჩო განაცხადში შეიყვანა **თეო უოლკოტი**, ჯერ კიდევ თინეიჯერი ფეხბურთელი, ვინც 20 წლის 16 მარტს ხდება. შეგახსენებთ, რომ თეომ ტრავმა შარშან, 18 ნოემბერს სანაკრებო შეკრებაზე მიიღო. ბოლო ოფიციალური შეხვედრა, რომელშიც თავდამსხმელმა ითამაშა, „არსენალმა" 15 ნოემბერს, „ასტონ ვილას" წინააღმდეგ გამართა და 2:0 დამარცხდა. სულ მიმდინარე სეზონში თეომ 18 შეხვედრაში იასპარეზა და 3 გოლი გაიტანა. გთავაზობთ ფეხბურთელის კომენტარს: *"როგორც კი ჩვენი ლიდერები მწყობრში ჩადგებიან, ჩვენ მინდორზე ვიფრენთ. თუკი ისევე განვაგრძობთ თამაშს, როგორც "ბარნლისთან", მაშინ ყველას დამარცხების შანსი გვექნება. რაც შეეხება ჩემს ჯამრთელობას, მხარი უკვე მწყობრში მაქვს. მართალია, შეჯახებებში ჯერ არ გამომიცდია, მაგრამ ამის დროც მოვა. ჩვენი ექიმი გარი ოდრისკოლი ფეხბურთში რაგბიდან მოვიდა. ის დარწმუნებულია, რომ ყველაფერი კარგად იქნება.*

*ხომ ხედავთ, ედუარდოს საგოლე ალღო არ დაუკარგავს. მისი გოლი იყო საუკეთესო, რაც კი წელს მინახავს. ვიდრე ტრავმირებული ვიყავი, მისგან ბევრი რამე ვისწავლე. ის ჩემთვის ოპტიმიზმის წყარო გახლდათ, რადგან მიუხედავად კოშმარული ტკივილებისა, ყოველდღე ღიმილით აგრძელებდა დასახული მიზნისკენ სწრაფვას".*

„არსენალის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა **რობინ ვან პერსიმ** განაცხადა, რომ „ემირეიტსის" დატოვებას არ აპირებს. პირიქით, მას უკვე გადაწყვეტილი აქვს კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება. ამ მიზნით, მისი აგენტი „მეთოფეთა" მენეჯერებთან მოლაპარაკებას უკვე აწარმოებს.

რობინმა გამოთქვა იმედი, რომ კლუბი წელსაც მაქსიმალურად შორს წავა ჩემპიონთა ლიგაში და მომავალი სეზონისთვისაც შეძლებს ლიგის საგზურის მოპოვებას. ფეხბურთელმა სპეციალური განცხადება გააკეთა იმ მიზეზით, რომ ბოლო დროს პრესა სულ უფრო ხშირად წერდა ჰოლანდიელის უფრო ამბიციურ კლუბში შესაძლო ტრანსფერზე. *„არსენალში" თამაშს მომავალ სეზონშიც ვაპირებ. მე ხომ მოქმედი კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს გაფორმებული,* - განუცხადა ვან პერსიმ "სქაი სპორტსს". - *ძნელია კონკრეტული თარიღ[illegible] დასახელება, როდის გაგრძელდება კონტრაქ[illegible] მაგრამ ამ მხრივ გარკვეული პროგრესი უკვე არ[illegible] დიახ, „არსენალთან" დაკავშირებული ამბიციური, მაგრამ რეალური გეგმები მაქვს. მინდა, „არსენა[illegible]ლი" ისე გაძლიერდეს, რომ ტიტული მოვიგოთ ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ, არამედ ყო[illegible] წელს თითო მაინც, თუ ორი და სამი არ იქნება. [illegible]მი აზრით, ჩვენ შეგვიძლია ასეთ დონეზე ასპა[illegible]ზობა. შეიძლება, ყოველივე, რასაც ვლაპარაკ[illegible] ძალზე ექსტრემალურია, მაგრამ ამ ყოველი[illegible] მიღწევა მინდა და მე ნამდვილად არ ვეკუთვ[illegible] ისეთ კატეგორიას, რომელიც ასე ადვილად ნებდ[illegible]ბა. ასეთ შემთხვევაში „არსენალში" ჩემი ადგილ[illegible] არ იქნებოდა. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა? არა, ეს ჩემს ამბიციებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ დღეს რეალობა ისეთია, რომ სწორედ ხსენებული ამოცანის გადაჭრისთვის ბრძოლა გვიწევს".*

თანაგუნდელს მხარი აუბა ტოგოელმა **ემანუელ ადებაიორმაც**. მისი განცხადებით, „არსენალის" დატოვებასა და კარიერის სხვაგან გაგრძელებას არ გეგმავს. ისევ და ისევ პრესას თუ ვენდობით, მისით „ბარსელონა" და „მილანი" არიან დაინტერესებულნი. *„ბარსა" და „მილანი"? არც ერთსა და არც მეორეს ჩემთან კონტაქტზე გამოსვლა არ უცდია. ორივე კლუბს პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როცა სათამაშოდ „არსენალში" დავრჩი. მაქვს ამბიცია, დავუმტკიცო ყველას, რომ შარშანდელი სეზონი არ იყო შემთხვევითობა. არსენ ვენგერმა მაღალ დონეზე ასპარეზობის შანსი მომცა და მას ვალი უნდა დავუბრუნო. იმედია, ტიტულებს სწორედ „არსენალთან" ერთად მოვიგებ. რაც მთავარია, გუნდში არანაირი პრობლემა არ აქვს,"* - განაცხადა ადებაიორმა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

### ინგლისის თასის კენჭისყრა

ინგლისის თასის მეოთხედფინალში „ევერტონმა" „მიდლსბროსთან" 2:1 მოიგო. უკანასკნელად აღნიშნული ტურნირის ფინალში მერსისაიდელები 14 წლის წინ, 1995 წელს იყვნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში „ევერტონმა" მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა (1:0). შეგახსენებთ, რომ „წითელი ეშმაკები" ნახევარფინალის გზაზე „ფულჰემს" გადაეყარნენ და 4:0 გაანადგურეს. კიდევ ერთი გუნდი, რომელიც თასის გათამაშებას შემორჩა - „ჩელსია". „არისტოკრატებმა" „ქოვენთრი" 2:0 დაამარცხეს. ბოლო ნახევარფინალისტის ვინაობა „არსენალი"-„ბარნლის" შეხვედრაში გაირკვა. „მეთოფეებმა" 3:0 იმარჯვეს.

გუშინ ნახევარფინალის კენჭისყრა გაიმართა. გაირკვა, რომ ფინალში გასასვლელად ერთმანეთს შეეჭიდებიან „არსენალი"-"ჩელსი", „მანჩესტერ იუნაიტედი"-"ევერტონი". თამაშები „უემბლიზე" 18-19 აპრილს გაიმართება.

**შალვა ბიბილაშვილი**







ჩამქრალი ვარსკვლავი

# გაზა გამოსწორებას აპირებს

ის, რომ **პოლ გასკოინი** უკვე წლებია, ალკოჰოლიზმს ებრძვის, საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს. ჯერ კიდევ ნოემბერში ის იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ უკვე ჰალუცინაციებიც კი აწუხებდა: შემოდგომაზე დილა უთენია სახლიდან გამოსული ლუდის ბარს მიადგა და რახან დაკეტილი დახვდა, კარების გაღება საკუთარი სახლის გასაღებით სცადა, თებერვალში კი ერთ-ერთ ბარში კატეგორიულად მოითხოვა მისი პლასტმასის თუთიყუშებისთვის ლუდი დაესხათ, რამდენიმე დღის შემდეგ ის ქუჩაში მაშინ დააფიქსირეს, როცა სწორედ თავის თუთიყუშებს ეჩხუბებოდა... ვგონებ, კომენტარი ზედმეტია. ყოველივე ამას გასკოინის არასრულწლოვანი შვილის კომენტარი მოჰყვა: მამაჩემი ხშირად ისე ცუდადაა, არ მგონია, მისი საშველი კიდევ არსებობდესო. როცა ადამიანი შვილისგან ასეთ შეფასებას მოისმენს, წესით, ცოტათი მაინც უნდა შერცხვეს საკუთარი უნებისყოფობის. როგორც ჩანს, გაზას ავადმყოფობის დასაძლევად შინაგანი ძალა არ აღმოაჩნდა, ამიტომ მან ექიმებს რადიკალური მეთოდიკის გამოყენება სთხოვა. კრიოთერაპიის (მკურნალობა ყინულით) მეთოდი არსებობს, მაგრამ ექიმები ხშირად მის გამოყენებას ვერ ბედავენ. ამ შემთხვევაში სახელგანთქმული კლინიკის „სპორტინგ ჩენსის" წამყვანმა სპეციალისტებმა ასეთი რამ შესაძლებლად მიიჩნიეს. აღნიშნული საავადმყოფოს სპონსორია სპეციალური ფონდი, რომელიც თავის დროზე **ტონი ადამსმა** დააარსა და რომლის მიზანიც ყოფილი სპორტსმენების მკურნალობაა.

კრიოთერაპიის მეთოდიკა საკმაოდ უცნაურია: გასკოინის სხეული უნდა მოთავსდეს -125 გრადუს ტემპერატურაზე, რომელიც სამ წუთში -13-მდე ხელოვნურად დაეცემა, ამ დროს აუცილებელია, რომ ადამიანმა იმოძრაოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გულის გაჩერება გარდაუვალია. პროცედურის დასრულების შემდეგ გაზას გადაიყვანენ თბილ სპორტულ დარბაზში. მას ველოტრენაჟორზე დასვამენ, რომლის წყალობით ვეტერანმა ფეხბურთელმა სხეულს ნორმალური ტემპერატურა მაქსიმალურად მალე უნდა დაუბრუნოს.

**შალვა ბიბილაშვილი**

შალკე

# მიულერი დაიფრინეს!

## კობიაშვილისა და ქენიას გუნდს ახალი მენეჯერი ეყოლება

ორშაბათ დილას „შალკეს“ ოფისში კლუბის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და გელზენკირხენულ გუნდში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე იმსჯელეს. როგორც მოსალოდნელი იყო, თათბირი გენერალური მენეჯერის, **ანდრიას მიულერის** პოსტიდან გათავისუფლებით დამთავრდა. შეხვედრის შემდეგ, გერმანულ პრესაში დილიდანვე გავრცელებული ეს ინფორმაცია, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისმა** ოფიციალურად დაადასტურა. მიულერის მოვალეობებს დროებით პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი**, სპორტული დირექტორი **ბერნჰარდ პეტერსი** და მთავარი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** შეითავსებენ. შნუზენბერგი ფინანსებს განკარგავს, პეტერსი საორგანიზაციო საკითხებს შეითავსებს, რუტენი კი სპორტულ მხარეს.



ანდრეას მიულერმა შალკეში 21 წელი იმუშავა

მიულერმა ეს პოსტი 2006 წლის მაისში ჩაიბარა და თანამდებობაზე **რუდი ასაუერი** შეცვალა. ანდრეასს გათავისუფლების საფრთხე 2008 წლის ნოემბრის შემდეგ ემუქრებოდა, რადგან „შალკეში“ კრიზისი სწორედ მაშინ დაიწყო. მენეჯერს განსაკუთრებით იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ გუნდს მის მიერ ნაყიდი ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა არაფერში გამოადგა (**შტრაიტი, გროსმიულერი, ზე რობერტო II, ენგელაარი**). კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ რუტენსაც, რომელიც გელზენკირხენში ასევე მიულერის მიყვანილია. თუმცა ეს უკანასკნელი თავის თანამდებობას ჯერჯერობით ინარჩუნებს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 15 თვის წინ, ტიონისმა მიულერს „შალკესთვის“ იდეალური მენეჯერი უწოდა, მაგრამ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. საინტერესოა, რამდენ ხანს გააჩერებენ „შალკეში“ რუტენს, რომელსაც ბოსების თვალში ნდობა დაკარგული აქვს. შეგახსენებთ, რომ „ხუმარები“ 23 ტურის შემდეგ მერვე ადგილზე არიან და უეფას თასის ზონას 5 ქულით ჩამორჩებიან. ისე კი, მათ წელს მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ჰქონდა მიზნად დასახული. პროგრამა მაქსიმუმი კი გერმანიის ჩემპიონობა იყო.

**გოტფრიდ ლენცი**

ინგლისური ამბები

# ეშმაკებმა 15 წლის ფეხბურთელი მოხიბლეს

## ლივერპულთან დაკავშირებული მოლაპარაკება განახლდა

„ანტვერპენის“ 15 წლის თავდამსხმელმა **ჩარნი ეკანგამენემ** „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. იუნიორი ფეხბურთელი მანჩესტერში სტაჟირებაზე ორჯერ გახლდათ და სწორედ ამ დროს მოახერხა მანკუნიანელთათვის თავის მოწონება. იქამდე ვიდრე ჩარნი 16 წლის არ გახდება, ის ბელგიაში დარჩება და კუნძულზე მხოლოდ ამის შემდეგ გაემგზავრება. *„ახალგაზრდა ფეხბურთელს აქვს ყველაფერი, რათა წარმატებას მიაღწიოს. ის აშკარად გამორჩეული ტალანტის მქონეა, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებულია და თითქმის არასდროს ნერვიულობს,“* - წერია „ანტვერპენის“ ოფიციალურ საიტზე.

ამავე დროს არგენტინული პრესა ავრცელებს ხმებს, რომ სერ **ალექს ფერგიუსონის** დავალებით გუნდის სკაუტები ყურადღებით აკვირდებიან „ატლეტიკო ბანფილდის“ 23 წლის ნახევარმცველ **ნიკოლას ბერტოლოს**. ფეხბურთელმა არგენტინის ჩემპიონატში 23 თამაშში 7 გოლი გაიტანა. ნოკოლასი პროფესიულ კარიერას „ბოკა ხუნიორსში“ იწყებდა, მაგრამ ძირითადში თამაშს ვერ ელირსა და ამიტომ კარიერა შედარებით დაბალი რანგის გუნდში განაგრძო. „იუნაიტედი“ მზადაა, ფეხბურთელში 1,5 მილიონი ევრო გადაიხადოს.

რამდენიმე დღის წინ უკვე გაცნობეთ, რომ ერთი მხრივ „ლივერპულის“ მფლობელებს **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიკსს**, მეორე მხრივ კი ქუვეითელ ინვესტორებს შორის მოლაპარაკებები თითქმის ჩიხში იყო შესული, რადგან ამერიკელი ბიზნესმენები კლუბის სანაცვლოდ არაადეკვატურ თანხას ითხოვდნენ. ამ ინფორმაციას სააგენტო „ბლუმბერგი“ ავრცელებდა. იგივე საინფორმაციო სააგენტო რამდენიმე დღის შემდეგ სულ სხვა ინფორმაციას გვაწვდის. კერძოდ, ქუვეითური კონსორციუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის **აბდულა ალ საგერის** განცხადებით, მხარეთა შორის მოლაპარაკება ისევ განახლდა: *„ჩვენ „ლივერპულის“ შეძენასა და კლუბის განვითარებაში ფულის ჩადებას სერიოზულად ვგეგმავთ. პირობას ვდებთ, რომ თუკი გარიგება შედგება, ლივერპულში, სტენლი პარკში ახალ, ზეთანამედროვე სტადიონს ავაშენებთ. ჰიკსი და მისი გუნდი შესანიშნავი ადამიანები არიან, დარწმუნებულნი ვართ, შეთანხმებამდე აუცილებლად მივალთ,“* - აცხადებს ის. გეტყვით, რომ ჰიკსმა და ჯილეტმა „ლივერპული“ 2007 წელს 174 მილიონ გირვანქად შეიძინეს და კლუბში რამდენიმე ათეული მილიონი გირვანქის ინვესტიცია ჩადეს.



**პოლ ინსი** დეკემბერში „ბლექბერნის“ მთავარი მწვრთნელობიდან გადააყენეს. მას შემდეგ ინგლისის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს რეალური წინადადება სამწვრთნელო კარიერის გაგრძელების შესახებ არ მიუღია. უახლოეს დღეებში კი შეიძლება ის „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ დანიშნონ. ლონდონური კლუბის აქციებს სპორტის სამყაროში ცნობილი ადამიანები - ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მესაკუთრე **ბერნი ექლსტოუნი** და ფორმულა 1-ის გუნდ „რენოს“ მფლობელი **ფლავიო ბრიატორე** განკარგავენ. მათ ინსის მენეჯერთან საუბარში უკვე დაადასტურეს, რომ პოლი მთავარი მწვრთნელობის უპირველესი კანდიდატია. ჯერჯერობით, გუნდს პორტუგალიელი **პაულუ სოუზა** უდგას სათავეში, თუმცა მისი სავარძელი ძლიერ მოირყა. გუნდმა ბოლო შვიდ თამაშში სულ რაღაც 4 ქულა მოიპოვა. ამბიციური მეპატრონეები ასეთ პერსპექტივას ვერ ეგუებიან. არსებობს ვარაუდი, რომ ისინი გუნდს ახალ თავკაცს ჩააბარებენ. ინსის შანსებს ზრდის გარემოება, რომ ის „ქუინზ პარკის“ პრეზიდენტის **ჯანი პალადინის** ახლო მეგობარია.

**შალვა ბიბილაშვილი**

ბრაზილია


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდოს გოლმა კინაღამ ტრაგედია დაატრიალა

## ფენომენმა კორინთიანსი წაგებისგან იხსნა

**რონალდომ** გასულ უქმეებზე „კორინთიანსის“ მაისურით მეორე შეხვედრა ჩაატარა. ერთ დროს მრისხანე ფორვარდმა „პალმეირასთან“ დერბიში მოედანზე დაახლოებით ნახევარი საათი გაატარა, თუმცა იმხელა საქმე გააკეთა, ზოგი სამოთხ შეხვედრაში ვერ ახერხებს ხოლმე. მძიმე ტრავმებით გატანჯულმა ფეხბურთელმა ბედისწერას ბრძოლა გამოუცხადა და კიდევ ერთხელ დაბრუნდა იმისთვის, რომ მილიონობით გულშემატკივარი გაეხარებინა. კიჭამ „კორინთიანსის“ ტორსიდას პირველი ბედნიერება უკვე აჩუქა. სან პაულუს დერბიში ევროპული გრანდების ყოფილმა ფორვარდმა ბოლო წუთებზე უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა და გუნდი წაგებისგან იხსნა. ამ წარმატებით თავად რონალდომაც პატარა ბავშვივით გაიხარა და ტრიბუნებისგან დამცავ ღობეს შეახტა. ეგზალტირებულმა გულშემატკივრებმა ვერ მოუთმინეს და ღობეს მეორე მხრიდან მიაწვნენ. ისინი თავიან გმირთან მიახლოებას ცდილობდნენ, მაგრამ მეტისმეტი მოუვიდათ და ღობე მოანგრიეს. მადლობა ღმერთს, ეს ყველაფერი მსხვერლის გარეშე დასრულდა. რონალდომ დერბისა და მომხდარი ინციდენტის შესახებ საგანგებო პრესკონფერენციაზე ისაუბრა:

*„აღარც კი მახსოვს, გოლმა ბოლოს ამდენად როდის გამახარა. ძალიან ბევრი ტანჯვა და მძიმე დღე გამოვიარე იმისთვის, რომ საყვარელ საქმეს დავბრუნებოდი და ბედნიერება მეგრძნო. დღეს ჩემი გუნდი მეგობრების დახმარებით წაგებისგან ვიხსენი. სან პაულუს დერბი განსაკუთრებული მოვლენაა და რა გასაკვირია, რომ განუზომელი სიხარული დამეუფლა. ღობის ინციდენტს რაც შეეხება, უნდა ვაღიარო, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია. ვალდებული ვიყავი, ემოციები მომეთოკა და გულშემატკივრები ჭკუიდან არ გადამეყვანა. მათ ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ალბათ, მეც ღობეს შევახტებოდი. მადლობა ღმერთს, რომ ტრაგედია არ დატრიალდა. ფეხბურთში ჭყლეტვა და მსხვერპლი იშვიათი ნამდვილად არ არის. ამ ინციდენტის მიუხედავად ძალიან კმაყოფილი გახლავართ. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ კიდევ უფრო ბევრს ვიმუშავებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ვეტერანი გავხდე. მთავარია, რომ ფეხბურთის თამაში ახლაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. თანაგუნდელები და მწვრთნელები ყოველმხრივ მეხმარებიან. ერთი სიტყვით, ყველა პირობა გამაჩნია იმისთვის, რომ ღირსეულად ვიასპარეზო“.*

**ილია ნიკოლაიშვილი**

სერია A

# ლეჩე: ბერეტა დე კანიომ შეცვალა

„რეჯინასთან“ უგოლო საშინაო ფრის შემდეგ „ლეჩემ“ მთავარი მწვრთნელი **მარიო ბერეტა** პოსტიდან დაითხოვა. ეს მოხდა მას მერე, რაც კლუბის ოფისში პრეზიდენტ **ჯოვანი სემერაროსთან** კრიზისის დაძლევის გზებზე იმსჯელეს. სწორედ ამ მსჯელობის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბერეტა საქმეს ველარ გამოასწორებს და რომ ამისთვის ახალი სისხლია საჭირო...

მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. მაშინვე გადაწყდა, რომ ბერეტას **ლუიჯი დე კანიო** შეცვლის. 51 წლის სპეციალისტი ბოლოს ინგლისის პირველდივიზიონურ „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ მუშაობდა, საიდანაც გასული წლის მაისში გაუშვეს.



ჭადრაკი — გრან პრი

# მაიას მესამე ყაიმი

სტამბოლის გრანპრიზე მესამე ტური გაიმართა და ქართველთა ჯილამ, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ** მესამეჯერ ითამაშა ყაიმით. ამჯერად მისი მეტოქე ფრანგი **მარი სებაგი** იყო. სებაგმა ბოლო დროს ძალიან აიმაღლა კლასი და ჩიბურდანიძეს გვარიანად გაასწრო რეიტინგში, ანუ მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა ელიტის წევრი გახდა. თეთრი ფერით ფრანგმა დაიწყო თამაში და მოგება ქართველის მხრიდან იოლი არ გახლდათ. დებიუტი ისე გათამაშდა, რომ გადამწყვეტი უპირატესობა ვერცერთმა მხარემ მოიპოვა, რაც, უპირველესად, მაიას ძლიერი თავდაცვითი რედუტების აგების გამოძახილი იყო. სულ მალე ლაზიერები გაიცვალა და ეტლისა და სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში მოგება შეუძლებელი ჩანდა. ჩამოართვეს კიდეც ხელი ერთმანეთს მეტოქეებმა. მცირე რეპლიკაც: მარი სებაგი ის ქალბატონია, რომელმაც აგვისტოს ომის გამო ქართველებს სოლიდარობა გამოუცხადა და მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც რუსეთში, ნალჩიკში ჩატარდა, არ ჩავიდა.

მესამე ტურში ვფიქრობდით, რომ პირველი ნომერი **ჰამპი კონერუ** შავებით იოლად გაუსწორდებოდა თურქ **ქემრე ილდიზს**, მაგრამ გასაკვირად თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და თითქოს კი დაეუფლა ინდოელი უპირატესობას და ხარისხითაც დაწინაურდა, მაგრამ ქემრემ შეძლო პარტიის დაცვა და ყაიმს გამორჩა. ასევე მოულოდნელი გამოდგა ეკვადორელი **მარტა ფიეროს** მიერ შვედი **პია კრამლინგის** დამარცხება. მართალია, თეთრი ფერი ლათინოსი თამაშობდა, მაგრამ პიას ისეთი მაღალი კლასი აქვს, რომ ფიორროსნაირი მეტოქეების არ უნდა ეშინოდეს. შიში იქით დავტოვოთ და კი განაიარალა შვედის დაცვა მარტამ. **იფან ჰოუს** მოგება ვერაფრით ჩაითვლება მოულოდნელობად და მითუფრო სენსაციად, მაგრამ როცა **ანტუანეტა სტეფანოვას** ამარცხებ, განსაკუთრებულ აღნიშვნას მაინც იმსახურებ. ჩინელმა თინეიჯერმა ნაცადი ბულგარელი დიდოსტატი ბავშვივით დაიბრიყვა. სამწუხაროდ, ჯერაც არაკონკურენტუნარიანია აზერბაიჯანელი **ზეინაბ მამედიაროვა**. მან მესამე ტურში ჩინელ **სიუ ჭაოსთან** იწვნია მარცხი და ქულათა გრაფაში ნული აქვს. თუ ასე გააგრძელებს ზეინაბი, საკუთარ რენომეს ხომ ავნებს და ტურნირის პრესტიჟსაც გვარიანად დააზარალებს. კიდევ ერთმა ჩინელმა - **იანკ შენმა** ქულა გაუყო სომეხ **ელინა დანიელიანს** და ეს შედეგი ძალთა თანაფარდობის რეალური მაჩვენებელია.

სამი ტურის შემდეგ ასეთი ვითარებაა: **1-4. ჰამპი კონერუ, მარტა ფიერო, იფან ჰოუ, სიუ ჭაო - 2,5; 5-7. მაია ჩიბურდანიძე, ელინა დანიელიანი, ანტუანეტა სტეფანოვა- 1,5; 8 -10. პია კრამლინგი, მარი სებაგი, იანკ შენი - 1. 11. ქემრე ილდიზი - 0,5; 12. ზეინაბ მამედიაროვა -0.**

მეოთხე ტურში ხვდებიან: **კონერუ - შენ იანკი; ჩიბურდანიძე - დანიელიანი; მამედიაროვა - სებაგი; სტეფანოვა - სიუ ჭაო; კრამლინგი - იფან ჰოუ; ილდიზი - ფიერო.**

**ზვიად შათირიშვილი**

სეოკი — ალმასკომის სხდომა



მიმდინარეობს ალმასკომის სხდომა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის სპორტული ჩაცმულობის სანიმუშო ეგზემპლარი გ. ნაცვლიშვილმა სეოკის დაფუძნების თაოსანს „ლელოს" რედაქციას უსახსოვრა.

# უკვე მეორედ, ახალ ოფისში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალ ოფისში, უკვე მეორედ, გუშინ შეიკრიბნენ ალმასკომის წევრები. ამჯერადაც აქტუალური საკითხები იყო დღის წესრიგში. ფაქტობრივად ეს იყო სხდომიდან სხდომამდე გაწეული მუშაობის ერთგვარი ანგარიში, რომლის ძირითად მიმართულებებზე ილაპარაკა სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა.** სეოკ-ს დაფუძნებიდან 20 წლისთავი წლეულს, შემოდგომაზე შეუსრულდება. რადიკალური ცვლილებები ამ ხნის განმავლობაში არ შესულა წესდებაში, არადა, დახვეწას, მობილურობას ნამდვილად საჭიროებდა. ცხადია, ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნების ჩარჩოებიდან გაუსვლელად. სეოკ-ის წესდების ახალი რედაქცია ალმასკომმა ერთხმად დაამტკიცა.

გაისად ვანკუვერში ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართება. საქართველოს სპორტულ დელეგაციას თამაშებზე, ალმასკომის გადაწყვეტილებით, ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ირაკლი ჯაფარიძე** უხელმძღვანელებს. ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე კი ხელმძღვანელად სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი **დავით გობეჯიშვილი** დამტკიცდა.

გულდასმით განიხილეს საკონკურსოდ წარმოდგენილი სეოკ-ის ახალი ემბლემის ნიმუშები. პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გოგლიძემ** ალმასკომს ინფორმაცია მიაწოდა ოლიმპიზმისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კონკურსის ჩატარების შესახებ და გამოთქვა იმედი, რომ სეოკ-ს მხარში დაუდგება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, რათა კონკურსმა მთელი საქართველო მოიცვას.

ამასთან აღინიშნა, რომ საკონკურსოდ მიიღება როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ ენებზე შესრულებული ნამუშევრები. იმსჯელეს აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიური დღის ჩატარებისა და სეოკ-ის საიუბილეო თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებზე.

სხდომის დასასრულ გ. ნაცვლიშვილმა ალმასკომის წევრებს წარუდგინა ზამთრის მომავალ ოლიმპიადაზე ჩვენი დელეგაციის ჩაცმულობის კომპლექტის ნიმუში, რომელიც მწარმოებელმა ფირმამ სეოკ-ის პრეზიდენტს გამოუგზავნა. გ. ნაცვლიშვილმა კი თავის მხრივ ეს კომპლექტი იქვე „ლელოს" რედაქციას გადასცა საჩუქრად.

**თენგიზ თომაშვილი**

კახა ბერიძის ფოტოები

ევროპის ჩემპიონატი

# ქართულ-რუსული დაპირისპირება

ევროპის ჩემპიონატი რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში კი იმართება, მაგრამ თუ ეს ფორუმი ძირითადად ქართულ-რუსული დუელის ნიშნით წარიმართბოდა, ნაკლებად მოველოდით. არადა, ასე კი არის: რუსები იმდეი არიან, რომ გინდა-არ გინდა, მათ უნდა გადაეყარო. ცოტა არც ჩვენ ვართ - თერთმეტი ქართველი ხუმრობა საქმე არ არის და მივიწევთ წინ, როგორც შეგვიძლია! მეორე ტური მიილია მხოლოდ და ჯერ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საქმე კარგად მიდის: მოიგეს **ნანა ძაგნიძემ, მაია ლომინეიშვილმა, სალომე მელიამ** და მაქსიმალური ქულათა რაოდენობით ლიდერთა გრძელ ჯაჭვში არიან ჩაბმულები. ქულა ჩაიწერეს აქტივში **ნინო ხურციძემ, ნაზი პაიკიძემ, ქეთი წაწალაშვილმა, მარიამ დანელიამ** და **მერი არაბიძემ; სოფიო გვეტაძემ** და **სოფიკო ხუხაშვილმა** კი ყაიმით დაასრულეს თავიანთი პარტიები. სამწუხაროდ, დამარცხდა **სოფიკო გურამიშვილი** და მისი მარცხი ერთადერთი გამოდგა მთელ ქართულ დელეგაციაში. იმედია, მესამე ტურშიც ასეთივე და კიდევ უკეთესი შედეგი გვექნება, რადგანაც თერთმეტი ქართველიდან რვას რუსი მეტოქე ჰყავს; ორის მოწინააღმდეგე პოლონელია, ხოლო ერთის - რუმინელი. სიმართლე ითქვას, საუკეთესო შემადგენლობით წლევანდელი ევროპის ქალთა ჩემპიონატი არ გამოირჩევა და მეტოქეებიც არ არიან გრანდთაგან საუკეთესონი, თუმცა ძლიერი დიდოსტატები კი გახლავან და ბრძოლა რთული გველის.

ყოველი ტური გვიან სალამოს მთავრდება და ჩვენც სრული და ვრცელი სურათის აღწერას ვერ ვახერხებთ,ამიტომ მცირედს უნდა დაგვჯერდეს მკითხველი. ევროპულ თასს ვაჟებიც ეჭიდებიან ჩერნოგორიის ქალაქ ბუდვაში და იქ ოთხი ქართველი იბრძვის. მეოთხე ტურში **მერაბ გაგუნაშვილი** თეთრებით გერმანელ დიდოსტატ **გეორგ მაიერს** (2608)ხვდებოდა და უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ენდშპილში უხეშად შეცდა და მოსაგები პარტია წააგო. სანაცვლოდ მოიგო **ბაადურ ჯობავამ** - შავებით დაჯაბნა ხორვატი მეტოქე. **თორნიკე სანიკიძემ** და **მიხეილ მჭედლიშვილმა** კვლავ ყაიმებით ითამაშეს. თუ მიშას ქულის გაყოფას კარგ ნადავლად ვერ ჩავთვლით - თეთრებით მასზე დაბალი რეიტინგის მქონე უნგრელ **ბანუშს** ვერ აჯობა, სანიკიძის ნახევარი ქულა ნაღდად აქტივში შესატანია, რადგანაც შავებით ძალიან მაღალრეიტინგიან უნგრელს, **ფერენც ბერკეშს**(2651) არ დაანება მოგება.

ქართველთაგან სამ-სამი ქულა აქვთ გაგუნაშვილს და ჯობავას, 2,5 კი - სანიკიძეს და მჭედლიშვილს. ოთხი ქულით ტურნირს ორი მოჭადრაკე ლიდერობს - რუსი **ერნესტო ინარკიევი** და გაგუნაშვილის დამმარცხებელი გეორგ მაიერი.

**ზვიად შათირიშვილი**

ევროპის ჩემპიონატი

# ჯოჯუამ საფრანგეთში გაილაღა

დასრულდა დიდი საჭადრაკო ტურნირი საფრანგეთის საკურორტო ქალაქ დიუნკერკში, სადაც ცხრა ქართველიც მონაწილეობდა. ტურნირის დასაწყისში ჩვენებურთა რიცხვი 10 იყო, მაგრამ საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა **თორნიკე სანიკიძემ** ასპარეზობა არ დაასრულა და 5 ტურის შემდეგ საფრანგეთი დატოვა. მის გაუჩინარებაზე ჩვენ ვწერდით, - არ ვიცოდით მიზეზი. ვფიქრობდით, რომ ჩერნოგორიაში, ევროპის ვაჟთა იდივიდუალურ ჩემპიონატზე გაემგზავრებოდა. მართლაც ასე მოხდა - სანიკიძე ჩერნოგორიაში ჩავიდა და ევროპის ჩემპიონატში ჩაება. თორნიკე კი ვიპოვეთ, მაგრამ საკითხავი იყო, თუკი ევროპულ ფორუმზე აპირებდა ასპარეზობას, საფრანგეთში რატომღა მიდიოდა, ან კიდევ, ტურნირის ნაადრევად დატოვებით რამეთი ხომ არ იზარალებდა? აღმოჩნდა, რომ თორნიკეს ტურნირის ორგანიზატორები თავიდანვე ჰყავდა გაფრთხილებული, რომ ევროპის ჩემპიონატს ვერაფრით დააკლდებოდა და ამიტომ ტურნირს ვერ ჩაამთავრებდა. ამის გამო ქართველი დიდოსტატი საერთოდ არ აპირებდა დიუნკერკში ჩასვლას. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ფრანგებმა მაინც სთხოვეს სანიკიძეს საფრანგეთში ჩასვლა და 5 ტურის თამაში მაინც. როგორც ჩანს, ორგანიზატორებს ულირდათ საქართველოს ჩემპიონის მიპატიჟება, რადგანაც მსოფლიოში ჯერაც ერთ-ერთ წამყვან საჭადრაკო ქვეყნად ვითვლებით და პრესტიჟს უთუოდ შემატებდა ტურნირს. აქედან გამომდინარე, თორნიკე არც არაფერს დაკარგავს - თვით რეიტინგულ მაჩვენებელშიც, რადგანაც 5 ტურის შემდეგ 4 ქულა ჰქონდა, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად ითვლება. წესისამებრ, მის სახელს და შედეგს ცხრილიდან არავინ ამოიღებდა და ასეც დარჩა - 611 მოჭადრაკეს შორის ოთხი ქულა 456 - ე ადგილისთვის გახდა საკმარისი. საჭადრაკო კანონებით, ამ ოთხ ქულას შესაბამის კოეფიციენტზე გადაიანგარიშებენ და შესაძლოა, სანიკიძეს რეიტინგში მცირედი ქულებრივი მატებაც კი ჰქონდეს.

რაც შეეხება იმათ, ვინც ბოლომდე დიუნკერკში დარჩა, საკმაოდ კარგი შედეგები აქვთ. **დავით ჯოჯუამ** ქართველთაგან საუკეთესო მაჩვენებლით დაასრულა ტურნირი - 6,5 ქულა მოაგროვა და მე –5 ადგილზე გავიდა. სხვათა შორის, დავითი ერთადერთია არადიდოსტატთაგან, ვინც ლიდერებში გაერია - იგი ერთი ქულით ჩამორჩა პირველადგილოსანს და ნახევარით - მეორე - მეოთხე ადგილებზე გასულთ. თავის მხრივ მან კოეფიციენტით 25 მონაწილეს აჯობა - ანუ მე-5-30 ადგილები გაიყო 25-მა მონაწილემ. მათ შორის არის **თამაზ გელაშვილიც**. თამაზსაც მაღალი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და მე-7 ადგილზე გავიდა.

როგორც გითხარით, ცუდად არც დანარჩენ ქართველებს უთამაშიათ, მაგრამ მათი საბოლოო ადგილები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მოსაწონი ნაკლებად აქვთ. არადა, 9-დან 6 ქულა, დამეთანხმებით, კარგი შედეგია. ასეთი მარაგით დაასრულეს ტურნირი **დავით არუთინიანმა** და **ბელა ხოტენაშვილმა**. თუკი დავითისგან შეიძლება მეტის მოთხოვნა, - რაც არ უნდა იყოს, მაღალრეიტინგიანია და დიდოსტატიც ბრძანდება, ბელასთან ასეთი პრეტენზია ვერ გვექნება და ძალიანაც გაგვახარა მიღწეულით: დიდოსტატთა კოჰორტაში 61-ე ადგილზე გავიდა, ქალბატონებში საუკეთესო აღმოჩნდა, რაც, ცხადია, ფრანგთაგან შესაბამისად დაფასდება. დავით არუთინიანი 41-ეა. შედეგით არ უნდა იყოს კმაყოფილი **მალხაზ სულაშვილი**, რომელმაც მხოლოდ 5,5 ქულა მოაგროვა და 81-ე ადგილზე გავიდა. 5-5 ქულას მოუყარეს თავი **ნინო ბაციაშვილმა, ინგა ჭარხალაშვილმა** და **ნინო მაისურაძემ**. ბაციაშვილმა 163-ე ადგილზე დაასრულა ტურნირი, ინგა 169 -ეა, მაისურაძე - 219 -ე.

ტურნირში კიდევ ერთი ქართველი დიდოსტატი თამაშობდა, მაგრამ ის წლებია, გერმანიის სახელით ასპარეზობს - **დავით ბარამიძეს** კარგად იცნობს „ლელოს" მკითხველი. ახალგაზრდა ქართველი შარშან, დრეზდენში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში გამოჩნდა და საკმაოდ თვალსაჩინო შედეგიც აჩვენა. დიუნკერკში დავითმა საკუთარი შესაძლებლობები სრულად ვერ წარმოაჩინა, მაგრამ არც ძალიან დაცდენია ფეხი და 6,5 ქულით 26-ეა. გამარჯვებული კი 7,5 ქულით უკრაინელი დიდოსტატი **იური ვოვკი** გახდა.

**ზვიად შათირიშვილი**

# თბილისი საქართველოს მასპინძლობს

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი 14 წლამდე, გოგონათა და ვაჟთა შორის. იმ ფონზე, რა მასშტაბის საჭადრაკო ფორუმებიც იმართება ევროპაში, ჩვენებური თინეიჯერების დაპირისპირება ეგებ დიდად საინტერესო არც კი იყოს, მაგრამ თავისი მუშტარი ამ შეჯიბრებასაც ჰყავს და ინტერესიც გვარიანია. სპეციალისტებს კიდევ ერთხელ ეძლევათ მომავალზე დაკვირვების საშუალება. პირველადგილოსნები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრებიან ფედერაციის ხარჯით, მეორე პრიზიორი კი ევროპის ჩემპიონატს ესტუმრება. გოგონათა და ვაჟთა ტურნირები ერთ ვადაში, მაგრამ ცალ-ცალკე ტარდება. თუმცა არიან ისეთი თამამი გოგონებიც, რომლებიც ბიჭებთან გაჯიბრებას ცდილობენ. წლევანდელ ტურნირში ასეთი ოთხია: **ქეთევან ხომერიკი, ქეთევან აბრამიშვილი, მარიამ ჩალაძე** და **ნინო გუმბერიძე**. ჯერჯერობით, 4 ტურის შემდეგ, არც ერთი მათგანი ლიდერებში არ არის. საუკეთესო შედეგი აქვს ქეთევან აბრამიშვილს - 2 ქულით ცხრილის შუაშია... ჯერაც უქულოდაა მარიამ ჩალაძე.

4 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად და მაქსიმალური ქულათა რაოდენობით **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **გიორგი შონია** და **გიგლა ბენიძე**; სამი ქულა კი ათ მონაწილეს აქვს, მათ შორისაა რეიტინგით პირველი **ირაკლი ბერაძე**. ირაკლიმ ორჯერ ითამაშა ყაიმით. ამიტომ ჩამორჩა ლიდერებს. სულ ვაჟთა ტურნირში 52-მა მონაწილემ მოიყარა თავი, გოგონათა შორის კი 30 მოჭადრაკე შეიკრიბა. გოგონებში პირველი რეიტინგის მფლობელი **ნანი უნაფქოშვილია**, მეორეა **ანა კუჭავა**, მესამე **- დეა გოგიშვილი.**

ერთპიროვნული ლიდერი გოგონებსაც ჰყავს და მასაც მაქსიმალური, 4 ქულა მოუგროვებია. ასეთი **ნატო იმნაძეა**, რომელიც მეხუთეში შავებით ხვდება დეა გოგიშვილს. დეა ერთადერთია, ვინც ნატოს ნახევარი ქულით ჩამორჩება, სამქულიანი კი 5 მონაწილეა.

მეხუთე ტური ასეთ ტურნირებში ყოველთვის გარდამტეხად ითვლება. ვაჟთა შორის ყველაზე საინტერესო წყვილებია: **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი(4) - გიორგი შონია(3,5); რობერტ ტორონჯაძე(3) - გიგლა ბენიძე(3,5); ირაკლი ბერაძე(3) - ოთარ მანგიაშვილი(3); შალვა ნადირაშვილი(3) - გუგა ბურდული(3); ლაშა კაჭარავა(3) - რატი ცომაია(3); ლუკა ლიჩელი(3) - ალექსანდრე ებრალიძე(3); მირიან გენაძე(3) - გიორგი ლომიძე(2,5).**

გოგონებში დიდ ინტერესს იწვევს შემდეგი წყვილების დაპირისპირება: **დეა გოგიშვილი(3,5) - ნატო იმნაძე(4); ანა მარდალეიშვილი(3) - ანა კუჭავა(3); ლიზი ტრაპაიძე(3) - მარიამ ჭოლაძე(3); ანა შამათავა(3) - მარიამ წულაია(2,5); ნანი უნაფქოშვილი92,5) - ნინო ხომერიკი(2,5); თეკლა მაჭარაშვილი(2,5) - ლიკა კობეშავიძე(2,5).**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### კალათბურთი

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# ფუენლაბრადა ფინიქსივითაა

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ნიკა ცქიტიშვილი** ვირუსისგან განიკურნა, "ფუენლაბრადას" სასტარტო" შემადგენლობაში დაბრუნდა და ერთი რეკორდიც დაამყარა. მისი კლუბი **ვლადიმერ ბოისას** ყოფილ გუნდ "მენორკას" ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში წააგო.

შეხვედრა თანაბარი გამოდგა და გამარჯვებულის ბედი უკანასკნელ წუთებზე გადაწყდა. სირენამდე წამები რჩებოდა, როცა ბურთი ფუენლაბრადელმა **ბრედ ოლესონმა** მეტოქის ნახევარზე გადაიტანა და სამქულიანი სტყორცნა. მისი ნასროლი მიზანში რომ მოხვედრილიყო, ანგარიში გათანაბრდებოდა და თამაში ოვერტაიმში გაგრძელდებოდა. რადგან ასე არ მოხდა, ტაბლომ "მენორკას" გამარჯვება დააფიქსირა – 78:75.

მასპინძელთა გამთამაშებლის, **პუხ ჯეტერის** შეჩერება ვერც ერთმა მადრიდელმა მოახერხა. ცქიტოს თანაგუნდელებს მხოლოდ პუხის დაჭერა როდი ექცათ წინაღობად, მათ ფარქვეშაც დიდი სხვაობით დათმეს – "მენორკამ" ბურთი 44-ჯერ მოხსნა, "ფუენლაბრადამ" – 31-ჯერ. მოხსნების სიმცირის გამო სტუმართა მწვრთნელ **ლუის გუილის** ერთადერთი ცენტრის, **რამოსის** (3 მოხსნა) მიმართ პრეტენზია აუცილებლად ექნებოდა, სამაგიეროდ ამ მხრივ ნიკა ცქიტიშვილს ვერაფერს უსაყვედურებდა. ცქიტომ ხომ ესპანური რეკორდი დაამყარა – 9 მოხსნა ჩაიწერა, რომელთაგან 8 დაცვითი იყო. ნიკამ შეტევაშიც იყოჩაღა: 22 წუთში 5 სამქულიანი და 4 ორიანიდან 2-2 ტყორცნა გამოიყენა და 10 ქულამდე ავიდა. მისი მონაგარი კიდევ ერთი პასითა და 5 ფოლით შეივსო.

მატჩის შემდეგ ნიკას დავუკავშირდით, და "ფუენლაბრადას" შესახებ მოკლედ ვისაუბრეთ.

**- "მენორკასთან" შენი თამაშის შეფასება მინდა გთხოვო.**

- ურიგოდ არ გავრჯილვარ. დაცვაში თამაშით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ. "მენორკასთან" ფარქვეშ ცოტა გაგვიჭირდა, ბურთს ვერ ვხსნიდით. ამის ფონზე ათამდე მოხსნა გავაკეთე და მწვრთნელიც იშვიათად მცვლიდა, მაგრამ 5 ჯარიმა მივილე და მატჩი ბოლომდე მაინც ვერ ჩავამთავრე.

**- 5 ფოლი, ისევე როგორც 9 მოხსნა ესპანეთში გადასვლის შემდეგ პირველად გქონდა...**

- 9 მოხსნა მართლაც რეკორდია. მოედანზე ბოლომდე რომ დავრჩენილიყავი ორმაგ დუბლსაც მივითვლიდი, მაგრამ ამის საშუალება მსაჯებმა არ მომცეს. არბიტრები "მენორკას" ცოტა წაეხმარნენ კიდეც – პირველი ტაიმის შემდეგ თითქმის ყველა ჩემს თანაგუნდელს 3 ჯარიმა ჰქონდა.

**- მაინც რის ხარჯზე დაგამარცხათ "მენორკამ"?**

- როგორც ვთქვი, მეტოქემ ფარქვეშ გვაჯობა. წაგების ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბალეარელთათვის ეს მატჩი ბევრს ნიშნავდა. წაგების შემთხვევაში მეორე ლიგაში გავარდნა თითქმის გარანტირებული ჰქონდათ. ამიტომ ყველა ღონე იხმარეს გასამარჯვებლად.

**- "ფუენლაბრადას" მონაწილეობით სხვადასხვა მატჩების ეპიზოდების ხილვის შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გუნდი სწრაფ კალათბურთს თამაშობს და ცენტრი სულაც არ სჭირდება...**

- ასეა. მაიკ დანტონის დროს "ფინიქსში" რომ ვიყავი სწორედ ასეთ კალათბურთს ვთამაშობდით. "ფუენლაბრადას" მწვრთნელის მითითებით მოედნის მეტოქის ნახევარზე ძალიან სწრაფად გადავდივართ და სამქულიანებით ვბომბავთ. სხვათა შორის, შორეული ტყორცნების რაოდენობის მიხედვით "ფუენლაბრადა" სეზონის რეკორდსმენია.

**- პლეი ოფში მოხვედრაზე რა აზრისა ხარ?**

- ახლა მერვე ადგილზე ვართ და ვეცდებით, ეს პოზიცია შევინარჩუნოთ. მომდევნო ეტაპზე სწორედ 8 გუნდი გადის.

აქვე ვთქვათ, რომ მადრიდელებს 11 მოგების წილ 12 მარცხი უწერიათ. მათზე ერთი პოზიციით მაღლაა **თორნიკე შენგელიას** "ვალენსია" (13 გამარჯვება, 11 წაგება), რომელმაც ბოლო ტურში გასვლაზე გრანადა 71:69 დაამარცხა. ვალენსიელთა მწვრთნელმა, **ნევენ სპაჰიამ** თორნიკე მატჩის განაცხადშიც შეიყვანა და მოედანზეც, მაგრამ ამას მხოლოდ სიმბოლური სახე ჰქონდა – 17 წლის შენგელიამ მოედანზე 18 წამი გაატარა.



აუტსაიდერ "მენორკას" მიბაძა **ტაირონ ელისის** "კახასოლმა" და დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. სევილიელებმა შინ "ბილბაოს" სძლიეს – 80:66.

ტაირონი კი ნიკა ცქიტიშვილის მაგალითს მიჰყვა – მანაც 10 ქულა ჩააგდო, რასაც 4 შედეგიანი გადაცემა და 2 მოხსნა მიამატა.

სადღეისოდ "კახასოლს" 5 მოგება, 18 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლო (მე-17) ადგილზეა. მას ორი მოგებით უსწრებს გასავარდნი ორეულს მოშორებული "მურსია". ასე რომ, დარჩენილ ტურებში ელისის თანაგუნდელები თამაშს თუ გამოასწორებენ, გაისად ქვედა ლიგაში ყურყუტი არ მოუწევთ.

ესპანეთის ქვედა ეშელონში, სახელწოდებით "ვერცხლის ლიგა" მეორე მატჩი ჩაატარა **მიხეილ ბერიშვილმა.** მისმა "ხუვენტუდმა" გასვლითი მატჩი "ურენსესთან" ჩაატარა და ერთი ქულის სხვაობით გაიმარჯვა – 62:61.

მიშა მოედანზე მე-18 ნომრით გამოჩნდა და 4 წუთი ითამაშა. დროის ამ მცირე მონაკვეთში მან ერთი ორქულიანი ააცილა და ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. მისი მონაგარი 1 ქულითა და 2 მოხსნით შემოისაზღვრა.

23 ტურის შემდეგ "ხუვენტუდს" 9 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზეა (ლიგაში სულ 16 კლუბი თამაშობს).

**ვაჟა სიმონიშვილი**

ადრიატიკის ლიგა

# ბოისამ წითელი ვარსკვლავი დაამხო

ვიდრე ადრიატიკის თასზე **ვლადიმერ ბოისას** თამაშზე გეტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას იგი ევროთასზე "ზადარს" "ტურქ ტელეკომთან" ვერ დაეხმარა. როგორც ირკვევა, საქმე გვაქვს განაცხადში შეყვანასთან დაკავშირებულ პრობლემებთან. *"სამწუხაროა, მაგრამ ევროთასის განაცხადში შეყვანა ერთი დღით დავაგვიანეთ. შეიძლება ამ ტურნირში "ზადარს" ველარ დავეხმარო"*, - დანანებით აღნიშნა ბოისამ.



ვლადიმერ ბოისა (ბურთით)

დარჩა თუ არა მისი განაცხადში შეყვანის თუნდაც მცირე შანსი, ამას უახლოეს დღეებში გავიგებთ. მანამდე "ზადარი"-"ცრვენა ზვეზდას" მატჩი მიმოვიხილოთ. თანაბრად ჩატარებული პირველი პერიოდის შემდეგ (19:19) ხორვატებმა თამაში გააუმჯობესეს და მეორე-მესამე პერიოდები საერთო ანგარიშით 35:26 მოიგეს. მასპინძლებს გადამწყვეტ რაუნდში 9-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ და საბოლოოდ 71:61 იმარჯვეს.

ვლადიმერ ბოისას მწვრთნელი ბოლომდე ენდო, 24 წუთი ათამაშა. დროის ამ მონაკვეთში ქართველმა ფორვარდმა 6-6 ქულა-მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა.

"ზადარი" მედგრად იბრძვის ფინალურ ოთხეულში მოსახვედრად. მას 16 მოგება, 8 წაგება აქვს და მეხუთე ადგილზეა. ხორვატებს ერთი მოგებით უსწრებს სერბული "ჰემოფარმი". რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილია 2 ტური და მეტოქის გადასასწრებად "ზადარს" დიდი ოფლისღვრა მოუწევს. მომდევნო ტურში ბოისას თანაგუნდელები ვოვას ყოფილ კლუბ "ოლიმპიას" შეხვდებიან. მატჩი სლოვენიაში, "ტივოლი არენაზე" გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ესტონეთის ჩემპიონატი

# ცინცაძეს სნაიპერობა სანიკიძემ აართვა

ესტონეთის პირველობაზე ერთმანეთს ორი ადგილობრივი გიგანტი დაუპირისპირდა – "ტარტუ როკმა" "კალევს" უმასპინძლა და შიდა ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია. "კალევმა" 83:80 გაიმარჯვა.

სტუმრებს საწყის სამ პერიოდში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება გაუჭირდათ, "როკმა" ბოლო რაუნდი 20:13 მოიგო, მაგრამ საფინალო სირენამ "კალევის" სამქულიანი გამარჯვება დააფიქსირა.

წინა მატჩის მსგავსად **გიორგი ცინცაძემ** ამჯერადაც 17 ქულა ჩააგდო, თუმცა შეხვედრის სნაიპერი ამჯერად ვერ გახდა. ბუს (ცინცაძის მეტსახელი) ბომბარდირობა მისმა მეგობარმა **ვიქტორ სანიკიძემ** აართვა – 21 ქულა ჩააგდო. 32 წუთში ვიქტორმა მონაგარი 9 მოხსნითა და 2 პასით შეალამაზა.

ცინცაძემ 36 წუთში 17 ქულის გარდა 3 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა გაიფორმა.

"კალევთან" წაგების მიუხედავად "როკი" ცხრილში პირველია – 16 მოგება, 1 მარცხი. "კალევს" 14 გამარჯვება და 4 წაგება უწერია.

**ვაჟა სიმონიშვილი**




უკრაინის ჩემპიონატი

# უცვლელი და შეუცვლელი მარკოიშვილი

"კიევიდან" ლეგიონერების წასვლის შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილი** შეუცვლელ კალათბურთელად იქცა. ეს ფრაზა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება გაიგოთ - უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში მანუჩარმა შეუცვლელად ითამაშა. 40 წუთში ქართველმა უკანახაზელმა 19 ქულა (10-დან 4 ორქულიანი, 8-დან 2 სამიანი), 8 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. მასზე ერთით მეტი 20 ქულა დააგროვა მასპინძელთა ცენტრმა **ვიაჩესლავ კრავცოვმა.** ამ დუეტის წყალობით "კიევს" გუნდის კაპიტნის, **არტურ დროზდოვის** არყოფნა არ დასტყობია, მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა "სუმიქიმპრომის" დამარცხება – 72:67.

23 ტურის შემდეგ დედაქალაქელებს 19 მოგება აქვთ და უკრაინის პირველობის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან. მათ "აზოვმაში" უსწრებს. ამ ორ გუნდს შორის ორი დაპირისპირება უკვე შედგა. ასე რომ, თუ აზოვისპირელებს ფეხი სხვა გუნდთან არ დაუცდათ რეგულარულ პირველობას პირველ ადგილზე დაასრულებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### კარატე

ეროვნული ჩემპიონატი

# რჩეულები ევროპისთვის მოემზადებიან

დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კარატეში, რომელშიც მონაწილეობდა კონტაქტური კარატეს საშეჯიბრო წესებით მოასპარეზე სპორტის საბრძოლო სახეობათა 8 ფედერაციისა და კლუბების 100-მდე სპორტსმენი.

შეჯიბრება კუმიტეში (ორთაბრძოლები), ვაჟებში 70კგ.; 80კგ.; 90კგ და +90კგ. და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, ხოლო გოგონებში 55კგ. და +55კგ. გაიმართა. შეჯიბრება ჩატარდა აგრეთვე კატაში.

წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი, გივი კარტოზიას სახელობის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა და შარშანდელთან შედარებით მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითი იყო. თავი მოიყარეს: ბათუმის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, სამტრედიის, ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის, ბორჯომის, გორის, დუშეთის, მარტყოფის, გარდაბანის, თელავისა და თბილისის უძლიერესმა მებრძოლებმა.

გამარჯვებული სპორტსმენებით დაკომპლექტდება გაერთიანებული ეროვნული ნაკრები, რომელიც 3-4 აპრილს, კიევში, სპორტის დეპარტამენტის დაფინანსებით, საქართველოს ღირსებას დაიცავს 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე, შინკიოკუშინკაი კარატეს ვერსიით.

**გამარჯვებულები კუმიტეში:**

**ვაჟები. 70კგ.**

მიხეილ ნიკლაური (კიოკუშინკანი, თბილისი)
ლაშა ხაჭაპურიძე (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)
ირაკლი როგავა (აშიხარა, ზუგდიდი)
ერეკლე პირველი (კიოკუშინკანი, თბილისი)

**80 კგ.**

გოჩა სამხარაძე (კიოკუშინკანი, გარდაბანი)
გიორგი ნავროზაშვილი (შინკიოკუშინკაი, მარტყოფი)
ლევან თუშიშვილი (კიოკუშინ-ტეზუკა, თელავი)
ბაკურ საჯაია (კიოკუშინკანი, თბილისი)

**90კგ.**

ლევან მჭედლიშვილი (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)
ლევან პარწიკანიშვილი (კიოკუშინკანი, თელავი)
გიორგი გვენეტაძე (კიოკუშინკაი, ჩოხატაური)
სპარტაკ ჩიხლაძე (კიოკუშინკანი, გორი)

**+90კგ. აბსოლუტური**

ედუარდ ჯანოაშვილი (შინკიოკუშინკაი, სპორტის აკადემია)
ემზარ ნიქაცაძე (კიოკუშინკანი, თბილისი)
ნიკა ქუთელია (კიოკუშინკაი, ქობულეთი)
გივი კარკალაია (კიოკუშინკანი, სპორტის აკადემია)

**გოგონები. 55კგ.**

თამარ ბიბილეიშვილი (კიოკუშინკაის კავშირი, სამტრედია)
მაია მიხაილოვსკაია (შინკიოკუშინკაი, ბათუმი)
ნინო საბიაშვილი (კიოკუშინკაის კავშირი, დუშეთი)
ვიქტორია ტელიოხინა (კიოკუშინკანი, ქობულეთი)

**+55კგ.**

მაკა ქებურია (კიოკუშინკაი, თბილილსი)
ნინო ჩიქობავა (კიოკუშინკანი, თბილისი)
ნანა ქარდავა (ბონსაი, თბილისი)
სალომე ცანავა (ბონსაი, თბილისი)

**კატა. ვაჟები:**

გოჩა სამხარაძე (კიოკუშინკანი, გარდაბანი)
გიორგი გვენეტაძე (კიოკუშინკაი, ჩოხატაური)
მიხელ ნიკლაური (კიოკუშინკანი, თბილისი)

**გოგონები:**

მაია მიხაილოვსკაია (შინკიოკუშინკაი, ბათუმი)
თამარ ბიბილეიშვილი (კიოკუშინკაის კავშირი, სამტრედია)
თეონა ფსუტური (კიოკუშინკაის კავშირი, თბილისი)

**ირაკლი დოლაბერიძე**
შინკიოკუშინკაი კარატეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

### სამთო-თხილამურობა

# საზიარო პირველი და ახალგაზრდული შემართება

გუშინ გამცნეთ **იასონ აბრამაშვილის** მორიგი წარმატება სამთო-სათხილამურო ტრასებზე. დავაზუსტეთ - იასონმა ავსტრიულ მელაუში „სითიზენის" კატეგორიის ტურნირი მოიგო სლალომში. მან ნორვეგიელ მოთხილამურე **ემილ ბლატმანთან** ერთად გაიმარჯვა, რადგან ორივე სპორტსმენს ერთნაირი დრო, 1:43,38 წთ, დაუგროვდა. **ალექსი ბენიანიძემ** კი 30-ე (და არა 28-ე) შედეგი აჩვენა. ტრასის დასრულება ვერ შეძლეს **კოტე ვახტანგიშვილმა** და **ვახტანგ თედიაშვილმა**. ქალთა სლალომში მელაუში [illegible]-ე ადგილი დაიკავა **ნინო ნიკლაურმა.**

კორტინა დამპეცოში (იტალია) ახალგაზრდულ ტურნირში იასპარეზა **ჯაბა გელაშვილმა.** ქართველმა მოთხილამურემ, რომელიც ახლახან 16 წლის გახდა, სლალომში მე-13 ადგილი დაიკავა. ამერიკაში კურორტ შუგარლოფში FIS-ის კატეგორიის შეჯიბრებაში გამოვიდა **დიმიტრი გედევანიშვილი.** ჩვენებურმა სწრაფდაშვებაში 44-ე ადგილი, სუპერგიგანტში - 53-ე, გიგანტურ სლალომში - 34-ე, ხოლო სლალომში - 35-ე ადგილები დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო



მარცხნიდან: ვარლამ ლიპარტელიანი, გურამ მოდებაძე და ზაზა კედელაშვილი

# შევარდენი ოქროყანაშიც ინავარდებს

ბიჭები ჟივილ-ხივილით დაეშვნენ კიბეზე. ხეების ჩეროში თავი რომ დაიგულეს, დიდი წრე შეკრეს. ასე კი არა, ასე უნდაო, - აუხსნა ერთმა ყმაწვილმა მეორეს ქართული ჭიდაობის ახალშესწავლილი ერთ-ერთი ფანდი, - გურამ მასწავლებელმაც სწორედ ასე გვიჩვენაო. სახეგაბადრული ოსტატი კი ღია ფანჯრიდან გადმოჰყურებდა შეგირდებს.

- კარგი, გეყოფათ, ახლა შინ წადით და გაკვეთილები ისწავლეთ. მაგ ფანდზე კი ზეგ ვარჯიშზე ვილაპარაკოთ, - გადმოსძახა **გურამ მოდებაძემ** ბიჭებს და დარბაზის შესასვლელისკენ ჩემ შესახვედრად გამოემართა.

**- ენერგიული ყმაწვილები გყოლია,** - ვუთხარი მისალმებისთანავე.

- მათი მოლლა არ არის, ისე უხარიათ ვარჯიში. დიდი საქმე გააკეთეს სკოლის დირექტორმა **ლალი ჯავახიძემ** და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** ოქროყანის სკოლაში ჭიდაობის სექციის გახსნით - უკვე 30-ზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს. ეროვნული საუნჯის ალორძინების სკოლებიდან დაწყება გონივრული მიგნებაა. აქ ყალიბდება ბავშვის გონება, ამიტომ სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვა ქართულ ჭიდაობასთან ზიარებითაც უნდა მოხდეს.

ოქროყანელები და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლებიც დაინტერესდნენ ჩვენი ინიციატივით. ბავშვებისთვის ალბათ მეორე ჯგუფსაც გავხსნით. ქართულ ჭიდაობასაც ვასწავლით და ძიუდოსაც. უამრავ ახალგაზრდას ქუჩას მოვწყვეტთ, ცხოვრების ჯანსალი წესი მათთვის ყოველდღიური ნორმა გახდება. ჭიდაობა უფროსკლასელებსაც სურთ, მაგრამ ჩვენ აქცენტი პატარებზე ავილეთ...

ის იყო, დარბაზში შევედით, რომ ტატამზე კიმონოიანი ბიჭები დაგვხვდნენ.

- ფაქტობრივად, აქ სპორტკლუბ „შევარდენის" ფილიალი გვექნება - განაგრძო საუბარი გურამმა, - კვირაში სამჯერ ახალგაზრდული და ჭაბუკთა გუნდების წევრები უკვე სავარჯიშოდ ოქროყანაშიც ამოდიან. ასეთ ჰაერზე, განსაკუთრებით ზაფხულში, წვრთნა ერთი სიამოვნებაა. ჩახუთულ „პლეხანოვთან" შედარებით აქ ნამდვილი კურორტია.

**- მერე, სკოლის მოსწავლეებს მეცადინეობაში ხელი არ ეშლებათ?**

- პატარები სამ საათზე ინყებენ ვარჯიშს, უფროსები - სალამოს ხუთ საათზე, ამ დროს კი სკოლაში გაკვეთილები დამთავრებულია.

**- დარბაზში შენს ორ ტიტულოვან მოსწავლესაც ვხედავ. ისინი რა, საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის არ ემზადებიან?**

- როგორ არა, უბრალოდ, ვარლამ ლიპარტელიანს საკმაოდ დატვირთული სეზონი ჰქონდა და ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მისცეს - საფრანგეთის შემდეგ უცხოური ტურნირებიდან გაათავისუფლეს და ინდივიდუალურად ემზადება. მას შემდეგ, რაც ვარლამმა თბილისის მსოფლიოს თასი მოიგო და პარიზის დიდი სლემის ტურნირზეც კარგად გამოვიდა, სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა ყურადლების ცენტრში მოექცა - მის ჭიდაობას აკვირდებიან, სწავლობენ, ამიტომ საზღვარგარეთ გამოსვლას, თვალისგან მოფარებულად ვარჯიში ვამჯობინეთ.

ზაზა კედელაშვილმა ეს-ეს არის კოჭის ტრავმა მოირჩინა და სრული დატვირთვით წვრთნას შეუდგა. ორივეს ხომ უკვე ნაკრებში ადგილი დაბევებული აქვს...

ცხადია, ბედნიერ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი - გურამ მოდებაძის ორივე შეგირდს გავესაუბრე.

**ვარლამ ლიპარტელიანი:** - პარიზის ტურნირის შემდეგ ცოტა ხნით ანანურში დავისვენე, თუმცა ბუნების წიალში მსუბუქად მაინც ვვარჯიშობდი. მთელი დატვირთვით 11 მარტიდან დავიწყებ მზადებას. რაც შეეხება ოქროყანაში გახსნილ ახალ საჭიდაო კერას, ნამდვილად აღფრთოვანებული ვარ. აქ მართლაც ჩემპიონები - შევარდენივით ბიჭები გაიზრდებიან.

**ზაზა კედელაშვილი:** - ვარლამის მოსაზრებას ვუერთდები - ოქროყანაში საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. მადლობის ღირსი არიან მისი ინიციატორები. აქ ისეთი ბუნებრივი პირობებია, საქართველოს ნაკრების წევრებიც კი ამოვალთ სავარჯიშოდ. თავს უკეთ ვგრძნობ. კონტინენტის ჩემპიონატამდე, რომელსაც 24-26 აპრილს თბილისი უმასპინძლებს, ჯერ საკმაო დროა და ყველაფერს ვილონებ, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდე მას, რათა ევროპული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ მეოთხედ ავიდე და ქომაგები გავახარო.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

რაგბი — ერთა თასი

# ბორჯღალოსანთა რიგებში ორი ცვლილებაა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მორიგი შეხვედრისთვის მზადებას შეუდგა. ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქე რუმინეთის ნაკრები იქნება. შეხვედრა შაბათს, 14 მარტს 16 საათზე დაიწყება და რაგბის ქომაგებისთვის ეროვნულ სტადიონზე შესვლა უფასო იქნება.

რუმინელებთან საპაექროდ ბორჯღალოსანთა **თავკაცმა ტიმ ლეინმა** ტრადიციულად 24 მორაგბეს უხმო. ესპანეთში გამართული შეხვედრისგან განსხვავებით, შემადგენლობაში ორი ცვლილებაა. შერკინების პირველხაზელის **აქვსენტი გიორგაძის** (კასტრი) ნაცვლად რუმინელების წინააღმდეგ **ანტონ ფეიქრიშვილი** ითამაშებს. გარემარბ **ირაკლი ჩხიკვაძეს** (აია) კი, თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ მალხაზ ურჯუკაშვილი (ორიაკი) შეცვლის.

ცვლილებებია რუმინელთა შემადგენლობაშიც. წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ „მუხის ფოთლებს" ყველაზე გამოცდილი მორაგბე, ცხრა ნომერი **პეტრე მიტუ** (მონტობანი) დააკლდება. ამრიგად, ვალახების ძირითადი ცხრა ნომერი, სავარაუდოდ, **ვალენტინ კალაფეტეანუ** (დინამო) იქნება. ვერ ითამაშებს გარემარბი **კატალინ ფერკუც** (სტიაუა), მის ნაცვლად ათ ნომერ **რაზვან სტანკას** (დინამო) უხმეს.

**საქართველო**

პირველი ხაზი: გოდერძი შველიძე (მონტობანი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ანტონ ფეიქრიშვილი (აჟენი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული)

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (ექსი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), კახაბერ უჩავა (ფარული).

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (ტულონი), რატი ურუშაძე (ენისეი), გიორგი ჩხაიძე (მეტრო რასინგი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (მორლაა).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), მერაბ კვირიკაშვილი (მასი).

№12-13: ირაკლი გიორგაძე (დაქსი), დავით კაჭარავა (ენისეი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (აჟენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), მალხაზ ურჯუკაშვილი (ორიაკი), გიორგი შკინინი (ხულიგანა).

№15: ოთარ ბარკალაია (ანდორა).

**რუმინეთი**

პირველი ხაზი: ნიკოლაე ნერე (სტიაუა), იონ პაულიკა (ბასი), მიჰაიტა ლაზარი (იაში), ფლორინ ტასკა, კატალინ ბეკა (ორივე დინამო),

მეორე ხაზი: ვალენტინ პოპირლანი (დინამო), ალინ კოსტე (ნარბონი), კოზმინ რატიუ (დინამო).

მესამე ხაზი: სტელიან ბურეა (დინამო), ფლორინ კოროდეანუ (სენ მარსეინი), დანიელ კარპო (ფარული), ალექსანდრუ ტუდორი (დინამო), მიხაი მაკოვეი (ბაია მარე), კოსტიკა მერსოიუ (დინამო), დანიელ ლანუსი (დინამო).

№9: ვალენტინ კალაფეტეანუ (დინამო), ფლორინ სურუგიუ (ოლომპია).

№10: იონიც დიმოფტე (სტიაუა), ანდრეი ფილიპი (დინამო), რაზვან სტანკა (დინამო).

№12-13: ადრიან ბარბულიკეანუ (დინამო), კატალინ დასკალუ (სტიაუა).

№11-14: მადალინ ლემნარუ (არადი), სტეფან კიუნტუ (დინამო), კატალინ ნიკოლაე (ფარული).

№15: ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იონუც ბოტეზატუ (ბაია მარე).

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# ხუთი ტიტულისთვის იბრძვის, ორი დარჩენისთვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ პირველ დივიზიონში, მე-19 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის ქვედა საფეხურებს ოდნავ დასცილდნენ ქართველ მორაგბეთა კლუბები „კასტრი" და „ტულონი". თუმცა სახიფათო ზონაში ამჯერად ერთი „ქართული კლუბი" მაინც აღმოჩნდა. „დაქსი", რომელსაც რამდენიმე ტურის წინ არავითარი საფრთხე ემუქრებოდა, ახლა ბოლოსწინა ადგილზეა.

**გია ლაბაძისა და დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" შინ ბასკურ „ბაიონს" დაუპირისპირდა და მატჩი რაგბისთვის სრულიად უჩვეულო ანგარიშით-3:3 დასრულდა. ეს ანგარიში თამაშის მე-18 წუთზე დაფიქსირდა და მერე აღარ შეცვლილა. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. ლაბაძე თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო.

უაღრესად საჭირო გამარჯვება მიითვალა საშინაო მატჩში **გოდერძი შველიძის** „მონტობანთან" **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა"-31:17. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 28-ე წუთზე შეცვალეს. შველიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. საკუთარ მოედანზე „მონ დე მარსანს" იოლად გაუსწორდა **მამუკა გორგოძის** „მონპელიე"-33:6. გორგოძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" კი სტუმრად დაამარცხა **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი"-17:15. ხინჩაგიშვილი 32-ე წუთზე შეცვალეს. გიორგაძე განაცხადში არ იყო. ამ გამარჯვებით „ბრივი" საგრძნობლად დაუახლოვდა მეოთხე ადგილზე მყოფ **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს, რომელმაც მე-19 ტურში სტუმრად წააგო „ბიარიცთან"-14:18. ახლა ამ გუნდებს შორის სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა. რაც ბრიველებს საშუალებას აძლევს, პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლონ.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XIX ტური: **პერპინიანი-ტულუზი 32:8, სტად ფრანსე-ბურგუენი 53:3, კასტრი-მონტობანი 31:19, მონპელიე-მონ დე მარსანი 33:6, დაქსი-ბრივი 15:17, ბიარიცი-კლერმონი 18:14, ტულონი-ბაიონი 3:3.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულუზი - 66 ქულა, 2. სტად ფრანსე - 65, 3. პერპინიანი - 65, 4. კლერმონი - 56, 5. ბრივი - 51, 6. ბაიონი - 50, 7. ბიარიცი - 44, 8. მონტობანი - 42, 9. მონპელიე - 41, 10. კასტრი - 33, 11. ტულონი - 32, 12. ბურგუენი - 30, 13. დაქსი - 27, 14. მონ დე მარსანი -23.**

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე რვა ტურით ადრე ძალიან რთულ მდგომარეობაშია **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე". ჩვენებურის ეს გუნდი ამჟამად ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება და ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიეს" 14 ქულით ჩამორჩება.

რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს კიდევ ერთი ქართველის **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგს". პარიზელები გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობენ და უახლოეს მდევარ „ალბის" 14 ქულით უსწრებენ. 22-ე ტურში „მეტრო რასინგმა" შინ დაამარცხა „პო"-28:10. ჩხაიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, ვინაიდან საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების შემადგენლობაში იმყოფებოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა **ანტონ ფეიქრიშვილისა და ირაკლი მაჩხანელის** „აჟენმა" შინ დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი"-20:6. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელი განაცხადში არ იყო. კუთარაშვილი 55-ე წუთზე შეცვალეს. 35-ე წუთზე კი მატჩის არბიტრმა ათი წუთით მოედნიდან გააძევა.

წაგებების ექვსმატჩიანი სერიის შემდეგ პირველად გაიმარჯვა საშინაო მატჩში აუტსაიდერ „ბურგ ან ბრესთან" **მალხაზ ურჯუკაშვილის, ლევან დათუნაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „ორიაკმა"-23:17. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" შინ დაამარცხა **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე"-35:6 და ისევ ინარჩუნებს პლეი ოფში მოხვედრის შანსს. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს. მალაღურაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და ერთი საჯარიმო გაიტანა (სამი ქულა).

II დივიზიონი. XXII ტური. **ალბი-ბორდო 20:17, ოში-კოლომიე 17:12, აჟენი-ნარბონი 20:6, ორიაკი-ბურგ ან ბრესი 23:17, ტარბი-გრენობლი 10:3, ლიონი-ლა როშელი 27:12, მეტრო რასინგი-პო 28:10.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 80 ქულა, 2. ალბი - 66, 3. აჟენი - 63, 4. ოიონაქსი - 63, 5. პო - 60, 6. ლა როშელი - 59, 7. ლიონი - 52, 8. ტარბი - 52, 9. ორიაკი - 50, 10. გრენობლი - 50, 11. ბორდო - 50, 12. ოში - 46, 13. ნარბონი - 42, 14. კოლომიე - 41, 15. ბეზიე - 27, 16. ბურგ ან ბრესი - 22.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

## ოქსანა კალაშნიკოვა: მერვე ტიტული, მეცხრეც?

ეგვიპტური გიზის საჩოგბურთო ტურნირის (10 ათასი $) სიახლეები შეფერხებებით მოდის ჩვენთან. ასე რომ, ჯერ ვერ გეტყვით, მოიგო თუ არა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (387) კარიერის მეორე ტიტული ერთეულთა თანრიგში, თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ მან კარიერაში მე-7 ტიტული მოიპოვა წყვილთა თანრიგში, რომელიც იმავდროულად პირველი ქართულია 2009 წლის საჩოგბურთო სეზონში. ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალში მე-6 ნომრად განთესილი კალაშნიკოვა ჰოლანდიელ **მარსელა კოეკს** (514) სამ სეტში გაუმკლავდა - 6:3, 3:6, 6:1. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ტურნირის პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა **ევა ფერნანდეს-ბრუხესმა** (277) 6:4, 6:4 მოუგო რუს გალინა ფოკინას. ფინალამდე 22 წლის ფერნანდეს-ბრუხესი და 18 წლის ოქსანა კალაშნიკოვა ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. წყვილთა ბადის ფინალში ოქსანასა და მაროკოელი **ფატიმა ელ ალამის** (524) პირველ ნომრად განთესილმა დუეტმა მე-3 ნომრად განთესილი ჰოლანდიური გუნდი (**მარლოტ მედენსი** (347), **ბიბიან სხუფსი** (418)) დაამარცხა - 6:4, 6:2.

გიზაში უკვე დაიწყო მეორე საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $), რომლის საკვალიფიკაციო ბადის მეორე წრეში დამარცხდა 18 წლის **ანა ჯიქია**, მან 6:3, 3:6, 2:6 წააგო სლოვაკ **ჟუჟანა ლუკნაროვასთან.** ტურნირის ძირითად ბადეში ოქსანა კალაშნიკოვა ითამაშებს.

## კვლავ ნელი პროგრესი

გუშინ მხოლოდ ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა, რადგან ვაჟებში „დევისის თასის" მატჩების დრო იყო, რომელიც რეიტინგში არ აისახება. WTA-ს მსოფლიო კლასიფიკაციაში კვლავ 9 ქართველია. 19 წლის **ანა ტატიშვილი** 392 ქულით მსოფლიოს 154-ე ჩოგანია (+3). მას 2 საფეხურილა აშორებს კარიერის მიღწევას. სამი ადგილითვე დაწინაურდა 26 წლის **მაკა ჩახნაშვილი**, ვინც 270 ქულით 212-ე პოზიციაზეა. 2 ადგილით დაწინაურდა 20 წლის **სოფიო შაფათავა** - 220 ქულა, 243-ე პოზიცია. შაფათავა კარიერის პიკზეა. ასეთსავე მიღწევას ძალზე დაუახლოვდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, 18 წლის ჩოგბურთელი 112 ქულით მსოფლიოს 385-ე (+2) ჩოგანია. სხვები: 601 (-) **ეკა გორგოძე** - 46 ქულა; 661 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** - 38; 690 (+2) **მანანა შაფაქიძე** - 34; 737 (+1) **სალომე დევიძე** - 28; 905 (+5) **სოფიო მელიქიშვილი** - 16. კარიერის მაჩვენებელი შეინარჩუნა 17 წლის გორგოძემ.

## მალტის ნაცვლად ანტალიაში

საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრები 22-25 აპრილს „ფედერაციის თასზე" ევროპა-აფრიკის II ზონაში იასპარეზებს. ეს ტურნირი, წესით, მალტაში „შლემას" კორტებზე უნდა გამართულიყო, თუმცა მალტელებმა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას მასპინძლობაზე უარი შემოუთვალეს. ასე რომ, შეიცვალა ტურნირის გამართვის ადგილი - მალტის ნაცვლად ზონალურ პირველობას თურქეთის ქალაქ ანტალიას „ატალეას" კორტები უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ტურნირში სულ 7 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას: საქართველო, ლიტვა, პორტუგალია, თურქეთი, ლატვია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა. გუნდები ორ პულად გაიყოფა (4 და 3-გუნდიანი), პირველ-მეორე ადგილზე გასულები ბრძოლას პირველი ზონის საგზურისთვის (სულ ორი საგზურია) აგრძელებენ, მესამე ადგილზე გასულებში დამარცხებული გუნდი და მეოთხეადგილოსანი კი მეორე ზონას დაემშვიდობება. ცვლილება ჩვენებურებისთვის ერთი მხრივ კარგია, ნაკრებს შორს არ მოუწევს წასვლა, თუმცა თურქეთის ნაკრები უკვე სახიფათო ხდება, რადგან ის მასპინძლის როლში მოგვევლინება, მალტა კი ყველა მონაწილისთვის ნეიტრალური ასპარეზი იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რაც არ უნდა სწრაფად გარბოდეს დრო და საკალათბურთო მოედანზე ახალ-ახალი გმირები ჩნდებოდნენ, როცა პარკეტზე მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისის ორი უდიადესი ცენტრი უპირისპირდება ერთმანეთს, ამ ორთაბრძოლას მეორეხარისხოვანს ვერ ვუწოდებთ. **ტიმ დანკანი** და „სან ანტონიო" **შაკილ ო'ნილისა** და „ფინიქსის" წინააღმდეგ - ბევრისთვის ეს ნამდვილი კლასიკაა!

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კლასიკა სპურსმა მოიგო

როცა მეორე მეოთხედში „სპურსმა" გაქცევა მოაწყო და მეტოქეს 13 ქულით (58:45) დაშორდა, ბევრს მოეჩვენა, რომ ეს შეხვედრის დასასრული იყო. მაგრამ სტუმრები, რომელთათვისაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას პლეიოფში მოხვედრა-არმოხვედრის საკითხი, მარცხს იოლად არ შეურიგდნენ. პირველ რიგში, მათ მესამე მეოთხედის დასაწყისში დაცვა დაალაგეს და მაქსიმალურად იყენებდნენ ზონური დაცვის ყველა ნებადართულ ელემენტს. შედეგად, ზოგიერთ ეპიზოდში დანკანზე სამმაგი მეურვეობის მოწმენი ვხდებოდით. ათამაშდა შაკიც. მართალია, მისი შეტევები განსაკუთრებით ეფექტური და დამანგრეველი არ ყოფილა (თავისი ოპონენტების ჩამოშორების შემდეგ, ო'ნილი ფარში კი არ ტენიდა ბურთს, არამედ აკურატულად დებდა ბურთს კალათში), მაგრამ შაკმა მთავარი ამოცანა შეასრულა: თუ მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში მხოლოდ ექვს ქულას მოუყარა თავი, მესამე მეოთხედის მცირეხნიან მონაკვეთში 8 ქულა დააგროვა. მეტსაც შეძლებდა, მაგრამ **ტონი პარკერმა** დაიჭირა ფინტზე, მეოთხე პერსონალური მიალებინა და სათადარიგოთა სკამზე დასვა.

და მაინც, „სანზი" ნელ-ნელა ეწეოდა მეტოქეს. ბოლო მეოთხედის მესამე წუთზე **ბარბოზას** სამქულიანმა ანგარიში გაათანაბრა - 79:79. დაიწყო ქულა-ქულაში თამაში. დანკანი ისვენებდა, შაკილი ფარის ქვემოდან ვერ აგდებდა და საჯარიმოებს აცილებდა. მის წილ ქულებს ცოტა ხანი **გრანტ ჰილი** აგროვებდა, დანკანისას - პარკერი. ერთი მონაკვეთი ფრანგს მართლაც შთამბეჭდავი გამოუვიდა: გარღვევა+სამქულიანი+ჩაჭრა+საშუალო ტყორცნა და 92:82 საფინალო სირენამდე 4.5 წუთით ადრე. უნდა აღინიშნოს, რომ ტონის ვიზავი **სტივ ნეშმა**, პირიქით, მარტივ სიტუაციაში ორჯერ დაკარგა ბურთი. მაგრამ ეს ჯერ არ იყო დასასრული...

2.50 დამთავრებამდე. ნეში არანორმალურ სამქულიანს აგდებს. **ბარნსი** საკუთარ ფარზე ხსნის ბურთს და ორ საჯარიმოს იყენებს. 2 წუთითა და 30 წამით ადრე - 92:89. და ისევ პარკერი – 94:89.

ნეში – საჯარიმოები - 94:91. დანკანი შეტევაში უმნიშვნელოვანეს ბურთს ხსნის და **ჯორჯ ჰილი** ზუსტია - 96:91.

ნეშის გარღვევა - 96:93. **ფინლი** სტივს ატყუებს და 98:93 56 წამით ადრე.

ნეში მოუმზადებელ სამქულიანს ესვრის და აცილებს.

პარკერი ბურთის ბოლომდე გათამაშებას ცდილობს, შემდეგ პირდაპირ შაკისკენ მიიწევს და ბურთს კალათში უშვებს. 27 წამით ადრე - 100:93.

„ფინიქსმა", რა თქმა უნდა, ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ წასაგებად იყო განწირული. 103:98.

### დღის გმირი: ტონი პარკერი

ამ სტატუსს ბევრი იმსახურებს. მაგალითად, **დუაიტ ჰოვარდი** თავისი მორიგი ორმაგი დუბლით (18 ქულა+15 მოხსნა), რამაც „ორლანდოს" ჩემპიონ „ბოსტონზე" გაამარჯვებინა (მაგრამ „სელტიქსი" ხომ აგერ უკვე 11 თამაშია **კევინ გარნეტის** გარეშეა დარჩენილი); **კრის ბოში**, რომელმაც კარიერის რეკორდი დაამყარა: სეზონში მე-9 მატჩი ჩაატარა, რომლის დროსაც მინიმუმ 30 ქულა და 10 მოხსნა შესძინა თავის გუნდს (მაგრამ „ტორონტომ" წააგო)...

და მაინც, საუკეთესო ტონი პარკერია: 30 ქულა, საიდანაც 12 ბოლო მეოთხედის გადამწყვეტ მონაკვეთში დააგროვა და „სან ანტონიოს" პრინციპულ მეტოქესთან გაამარჯვებინა.

### დღის რიცხვი: 10

ზუსტად 10 წელი გავიდა იმ მომენტიდან, როცა „ჯაზმენებმა" უკანასკნელად მოიგეს რეგულარულში ზედიზედ 11 შეხვედრა. არადა, დღეს „იუტას" რიგებში არ ირიცხებიან ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ **კარლ მელოუნი** და **ჯონ სტოქტონი**.

### დღის ფრაზა

*„თვითმფრინავით გაუთავებელი მგზავრობა და საათის სარტყლების ცვლა – ეს საშინელებაა! მატჩის წინ გასახდელში ვიჯექი და... ჩამეძინა. თამაშამდე 15 წუთით ადრე ძლივს გამაღვიძეს..."* – ასეთი რამ განაცხადა **დერონ უილიამსმა** რეგულარული ჩემპიონატის გადატვირთულ გრაფიკზე. მიუხედავად ამისა, „მძინარე" დერონმა დაამტკიცა, რომ თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია. „იუტას" გამთამაშებელმა 25 ქულითა და 9 პასით დაასრულა შეხვედრა.

**ბოსტონი–ორლანდო 79:86**

15:22, 18:29, 23:18, 23:17

ბ: რ. ალენი (32+9 მოხსნა), პირსი (16+8 მოხსნა), პოუ (12+7 მოხსნა), პერკინსი (10+8 მოხსნა).

ო: დ. ჰოვარდი (18+15 მოხსნა+5 დაფარება), თურქოგლუ (16), ლუისი (15), ელსტონი (10+8 პასი).

**ტორონტო–იუტა 101:109**

24:29, 24:20, 39:32, 14:28

ტ: ბოში (30+10 მოხსნა), ბარნიანი (20+8 მოხსნა), ე. პარკერი (16+7 პასი), კალდერონი (10+11 პასი).

ი: დ. უილიამსი (25+9 პასი), ოქური (19+1 მოხსნა+3 ჩაჭრა), კორვერი (20+8 მოხსნა), მილსეპი (18+11 მოხსნა), კირილენკო (18).

**სან ანტონიო–ფინიქსი 103:98**

30:30, 28:15, 20:29, 25:24

ს-ა: ტ. პარკერი (30+9 პასი), რ. მეისონი (18), დანკანი (17+15 მოხსნა), ფინლი (11), უდოკა (11).

ფ: ნეში (23+11 პასი), ბარბოზა (20), ჯ. რიჩარდსონი (15+4 ჩაჭრა), შ. ო'ნილი (14), ბარნსი (13), ჰილი (11+8 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი–ნიუ იორკი 106:101**

27:30, 26:27, 26:20, 27:24

ნ-ჯ: დ. ჰარისი (35+10 პასი), ვ. კარტერი (25+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბ. ლოპესი (16), ბ. სიმონსი (10).

ნ-ი: დ. ლი (19+14 მოხსნა+7 პასი+5 ჩაჭრა), რობინსონი (17), გალინარი (15), ელ ჰარინგტონი (14), ჰიუზი (11), ჩენდლერი (10+8 მოხსნა).

**ჰიუსტონი–მემფისი 93:83**

28:19, 27:18, 20:20, 18:26

ჰ: იაო მინი (24+17 მოხსნა+3 დაფარება), სკოლა (18+14 მოხსნა), არტესტი (13+7 მოხსნა), ვაფერი (10).

მ: გეი (21), მ. გასოლი (18), კონლი (15+7 პასი), მაიო (10), არტური (6+12 მოხსნა).

**ოკლაჰომა–ფილადელფია 89:74**

18:24, 30:12, 18:16, 23:22

ო: კრსტიჩი (20+8 მოხსნა), მ. რ[illegible]ი (14+7 მოხსნა), კოლისონი (12+11 მოხსნა), უესტბრუკი (11+7 მოხსნა), ე. უოტსონი (11), უაივერი (10).

ფ: ა. მილერი (20), ტ. იანგი (20+3 ჩაჭრა).

**საკრამენტო–დენვერი 114:106**

35:25, 26:24, 24:26, 29:31

ს: მარტინი (26+7 მოხსნა+8 პასი), ნოჩიონი (23), ჰოვსი (20+8 მოხსნა), გარსია (19), ბ. ჯექსონი (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

დ: ენტონი (32+7 მოხსნა), ბილაპსი (22+8 პასი), სმიტი (19), ნენე (14+9 მოხსნა), ბელკმენი (9+10 მოხსნა).

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# ქვანძის გახსნა გადაიდო

ქალმა მოთხილამურეებმა ბოლოსწინა ეტაპზე გერმანიის კურორტ ოფტერშვანგში გაარკვიეს ურთიერთობა. კვირას გამართულ სლალომში შეიძლებოდა გარკვეულიყო მსოფლიოს თასის ბროლის გლობუსის მფლობელი. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ საერთო ჩათვლის ლიდერი **ლინდსი ვონი** უახლოეს კონკურენტზე, გერმანელ **მარია რიშზე** უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდა.

ამერიკელი ძალიან ახლოს იყო ამ მიზნის შესრულებასთან. ვონი პირველი ცდის შემდეგ ლიდერი იყო და ეჭვი ალარავის ეპარებოდა მის საბოლოო წარმატებაში. მაგრამ ერთ-ერთი კარის გავლისას ვონმა ტრასაზე ჩასობილ ჯოხს თხილამურით გადაუარა და დისკვალიფიკაცია მიიღო.

ვონის წაფორხილებით კარგად ისარგებლა ფრანგმა **სანდრინ ობერმა**, რომელმაც კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი. ასევე მოულოდნელი იყო მეორე ადგილზე შვედი **ფრიდა ჰანსდოტერის** ხილვა, რომელსაც კარიერაში ასეთი შედეგი არასოდეს უჩვენებია.

თუმცა კვირას ერთი ტიტულის მფლობელი მაინც გამოვლინდა. სლალომში ბროლის მცირე გლობუსი მოიპოვა მარია რიშმა. ამ დისციპლინაში წელს გამართულ რვა ეტაპზე გერმანელმა ოთხჯერ პირველი ადგილი დაიკავა. 1976 წლის შემდეგ რიში გახდა პირველი გერმანელი, ვინც სლალომში მსოფლიოს თასი მოიპოვა. უკანასკნელად ასეთ წარმატებას **როზი მიტერმაიერმა** მიაღწია.

მოთხილამურეები მომავალ კვირას შვედეთის კურორტ არეში შეიკრიბებიან, სადაც მსოფლიოს თასის დასკვნითი ეტაპი გაიმართება. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ვონი ზედიზედ მეორედ მოიპოვებს მსოფლიოს თასს. შვედეთში ოთხ დისციპლინაში გათამაშდება პირველობა, რაც იმას ნიშნავს, რომ რიშს მაქსიმუმ ოთხასი ქულის მოპოვება შეუძლია, ამჟამად კი საერთო ჩათვლაში 369 ქულას აგებს ვონთან. სასწაული უნდა მოხდეს, რომ ამერიკელმა პრაქტიკულად განაღდებული ჩემპიონობა დათმოს.

**ოფტერშვანგი (გერმანია)**

**გიგანტური სლალომი. ქალები**

1. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 2:36.48 (1:19.56+1:16.92); 2. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 2:36.60 (1:20.05+1:16.55); 3. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 2:37.00 (1:20.09+1:16.91); 4. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 2:37.26 (1:19.18+1:18.08); 5. **დენიზ კარბონი** (იტა) - 2:37.76 (1:20.66+1:17.10); 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 2:38.07 (1:20.86+1:17.21).

**სლალომი. ქალები**

1. **სანდრინ ობერი** (საფ) - 1:46.28 (53.54+52.74); 2. **ფრიდა ჰანსდოტერი** (შვედ) - 1:46.71 (53.87+52.84); 3. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 1:47.10 (54.67+52.43); 4, **სარკა ზაროზსკა** (ჩეხ) - 1:47.20 (54.27+52.93); 5. **მარია რიში** (გერ) - 1:47.58 (54.02+53.56); 6. **სუზან რიში** (გერ) - 1:47.64 (54.41+53.23).

საერთო ჩათვლა: 1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1588 ქულა; 2. **მარია რიში** (გერ) - 1219; 3. **ანია პერსონი** (შვედ) - 990; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 985; 5. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 802; 6. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 720.

**კვიტფიელი (ნორვეგია)**

**სწრაფდაშვება. კაცები**

1. **მანუელ ოსბორნ-პარადი** (კან) - 1:47.09; 2. **მიხაელ ვალხოფერი** (ავსტრია) - 1:47.40; 3. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1:47.46; 4. **ანდრეი იერმანი** (სლოვენ) - 1:47.57; 5. **რობი დიქსონი** (კან) - 1:47.60; 6. **ვერნერ ჰილი** (იტა) - 1:47.70.

**სწრაფდაშვება. კაცები**

1. **კლაუს კროელი** (ავსტრია) - 1:32.12; 2. **მიხაელ ვალხოფერი** (ავსტრია) - 1:32.39; 3. **მანუელ ოსბორნ-პარადი** (კან) - 1:32.58; 4. **ჰანს ოლსონი** (შვედ) - 1:32.67; 5. **ვერნერ ჰილი** (იტა) - 1:32.69; 6. **პეტერ ფილი** (იტა) - 1:32.75.

საერთო ჩათვლა: 1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 837; 2. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 837; 3. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 829; 4. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 777; 5. **დიდიე კუში** (შვეიც) - 763; 6. **კარლო იანკა** (შვეიც) - 659.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

# გარნეტი ერთი კვირით გადაიდო

კიდევ ერთი კვირით გადაიდო „ბოსტონ სელტიქსის" ერთ-ერთი ლიდერის **კევინ გარნეტის** დაბრუნება. ვეტერანი ფორვარდი მარჯვენა მუხლის ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის.

გუნდის მთავარი მწვრთნელის **დოკ რივერსის** განცხადებით, გარნეტი სარბენ ბილიკზე ვარჯიშებს შეუდგა და პირველად აღარ იგრძნო ტკივილი მუხლში, რომელიც 19 თებერვალს, „იუტა ჯაზთან" მატჩში დაიზიანა.

NBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა გარნეტის გარეშე ჩატარებულ შვიდ მატჩში სამი მარცხი იწვნია.

■ ■ ■

„ინდიანა პეისერსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ფორვარდმა **მაიკ დანლივიმ** მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა და სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს.

28 წლის კალათბურთელმა პრაქტიკულად ჩააგდო წლევანდელი სეზონი. დანლივიმ მხოლოდ 18 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 15.1 ქულა, 3.8 მოხსნა და 2.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

ასევე სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს „ვაშინგტონ უიზარდსის" ფორვარდი **დეშოუნ სტივენსონი**. ეს დედაქალაქელთა სასტარტო ხუთეულის მესამე წევრია, რომელიც ხანგრძლივი დროით გამოაკლდა გუნდს. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში „უიზარდსს" მცველი **გილბერტ არენასი** და ცენტრი **ბრენდან ჰეივუდი** აკლია, ხოლო გუნდის კიდევ ერთი ლიდერი **კერონ ბატლერი** ახლახან დაუბრუნდა მოედანს.

სტივენსონმა (ამ სეზონში საშუალოდ 6.6 ქულა და 3.1 შედეგიანი პასი) ხერხემლის ოპერაცია გაიკეთა და აღდგენითი კურსი 3-4 თვეს გაგრძელდება.



მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი

# თითქმის უვარსკვლავო ჩემპიონატი



სამი დღის განმავლობაში ტურინში დარბაზებისთვის ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ბევრმა საერთაშორისო ვარსკვლავმა ტურნირში მონაწილეობა საჭიროდ არ ჩათვალა, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც იტალიის ამ ქალაქში თავიანთი მედლების კოლექციის შევსება გადაწყვიტეს. თუმცა ზოგიერთმა მათგანმა ამის გაკეთება ვერ მოახერხა. მაგალითად, 34 წლის მრავალჭიდელმა **რომან შერბლემ** (ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, დარბაზებში ევროპის სამგზის ჩემპიონი). ჩეხმა ტურინი ბრინჯაოს მედლით დატოვა, გამარჯვება კი ესტონელმა **მიკ პაჰაპილმა** მოიპოვა, რომელმაც შვიდჭიდის ყველა სახეობაში პირადი რეკორდი გააუმჯობესა!

იმედები გაამართლა ბირთვის კვრაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტომაშ მაევსკიმ**. მან აქაც შეძლო თავისი მოგებათა სერიის გაგრძელება და დამაჯერებლად აილო ოქროს მედალი.

საყოველთაო ყურადღება იყო მიპყრობილი აბურდული კარიერის მქონე **დუეინ ჩემბერსისადმი**. ბრიტანელმა როგორც იქნა მიაღწია თავისას. თავის დროზე ნარკოტიკების მიღებისთვის დისკვალიფიცირებული და შემდეგ პროფესიულ რაგბიში წასული მძლეოსანი დიდ ტურნირებზე პირველი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გახდა - მან 60 მეტრ დისტანციაზე აჯობა ყველას. უკვე ნახევარფინალში დუეინმა ევროპის რეკორდი გააუმჯობესა (6.42 წამი), ფინალში ოდნავ ნელა გაირბინა, მაგრამ კონკურენცია მაინც ვერავინ გაუწია.

კაცებს შორის ბოლო დისციპლინა სიგრძეზე ხტომა იყო. სწორედ აქ ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირის სტატუსი მოიპოვა 22 წლის გერმანელმა **სებასტიან ბაიერმა**. პირველივე ცდაზე მან შესანიშნავი შედეგი აჩვენა - 8 მეტრი და 29 სანტიმეტრი, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. მეექვსე ცდაზე კი უკვე ჩემპიონის რანგში გერმანელი 8.71 მეტრზე გაფრინდა და 8 სანტიმეტრი დააკლდა ლეგენდარული **კარლ ლუისის** რეკორდამდე (დარბაზებისთვის), რომელიც 25 წლის წინ არის დამყარებული!

ქალების ტურნირის მთავარი ვარსკვლავი ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი **ბლანკა ვლასიჩი** იყო. ხორვატი დიდი ხნის განმავლობაში ტურნირს ტურნირზე იგებდა, მაგრამ სწორედ პეკინის ოლიმპიადაზე „დაუცდა ფეხი" და პირველობა ბელგიელ **ტია ელებოს** დაუთმო. ბლანკა არც ამ ჩემპიონატისთვის აღმოჩნდა მზად და მოკრძალებულ 196-სანტიმეტრ სიმაღლეზე სამივე ცდა გააფუჭა. ვლასიჩმა მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

სიმაღლეზე ხტომის სექტორში პირველობა გერმანელმა **არიანა ფრიდრიხმა** მოიპოვა. მისი შედეგი იყო - 2 მეტრი და 1 სანტიმეტრი. ტრიუმფატორს ოქროს მედალი სწორედ ელებომ გადასცა. ბელგიელი მალე დედა გახდება, ასე რომ, უახლოეს პერიოდში მას საერთაშორისო ტურნირებზე ვერ ვიხილავთ.

ამით „სპორტის დედოფალი" მცირე არდადეგებს აილებს, მაგრამ დაახლოებით თვე-ნახევარში ზაფხულის სეზონი დაიწყება, რომლის მწვერვალიც გახდება ბერლინში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი (15-23 აგვისტო).

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 10 | 4 | 4 | 18 |
| 2. გერმანია | 3 | 3 | 4 | 10 |
| 3. საფრანგეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| 3. იტალია | 2 | 2 | 2 | 6 |
| 5. ბრიტანეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 6. ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 8. პოლონეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 9. შვედეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 10. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 12. ესპანეთი | 0 | 4 | 1 | 5 |
| 13. უკრაინა | 0 | 3 | 0 | 3 |
| 14. ჰოლანდია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 15. ჩეხეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 16. სლოვენია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 17. კვიპროსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 17. ნორვეგია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. ირლანდია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 19. რუმინეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 21. ბელარუსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 21. სლოვაკეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

**ყველა ჩემპიონი**

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| 60 მ | დუეინ ჩემბერსი (ბრიტ) | 6.46 |
| 400 მ | იოჰან ვისმანი (შვედ) | 45.89 |
| 800 მ | იური ბორზაკოვსკი (რუს) | 1:48.55 |
| 1500 მ | რუი სილვა (პორ) | 3:44.38 |
| 3000 მ | მო ფარა (ბრიტ) | 7:40.17 |
| 60 მ.ბ | ლადჯი დუკურე (საფ) | 7.55 |
| 4x400 მ | იტალია | 3:06.68 |
| სიმაღლე | ივან უხოვი (რუს) | 2.32 |
| ჭოკი | რენო ლავილენი (საფ) | 5.81 |
| სიგრძე | სებასტიან ბაიერი (გერ) | 8.71 |
| სამხტომი | ფაბრიციო დონატო (იტა) | 17.59 |
| ბირთვი | ტომაშ მაიევსკი (პოლ) | 21.02 |
| შვიდჭიდი | მიკ პაჰაპილი (ესტ) | 6362 |
| **ქალები** | | |
| 60 მ | ევგენია პოლიაკოვა (რუს) | 7.18 |
| 400 მ | ანტონინა კრივოშაპკა (რუს) | 51.18 |
| 800 მ | მარია სავინოვა (რუს) | 1:58.11 |
| 1500 მ | ანა ალმინოვა (რუს) | 4:07.76 |
| 3000 მ | ალმითუ ბეკელე (თურ) | 8:46.50 |
| 60 მ.ბ | ელინ ბერინგსი (ბელ) | 7.92 |
| 4x400 მ | რუსეთი | 3:29.12 |
| სიმაღლე | არიან ფრიდრიხი (გერ) | 2.01 |
| ჭოკი | იულია გოლუბჩიკოვა (რუს) | 4.75 |
| სიგრძე | ქსენია ბალტა (ესტ) | 6.87 |
| სამხტომი | ანასტასია ტარანოვა (რუს) | 14.68 |
| ბირთვი | პეტრა ლამერტი (გერ) | 19.66 |
| ხუთჭიდი | ანა ბოგდანოვა (რუს) | 4761 |

კრივი

# კალზაგე: არ დავბრუნდები!



ბრიტანელმამოკრივემ **ჯო კალზაგემ** გამოაცხადა, რომ არ აპირებს პროფესიულ კრივში დაბრუნებას იმის გამო, რომ ნახევრადმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონ **ბერნარდ ჰოპკინსს** რევანშის აღების საშუალება მისცეს. კალზაგემ ამა წლის თებერვალში იდეალური შედეგით - 46-დან 46 გამარჯვებით დაასრულა კარიერა. მისი ერთ-ერთი ბოლო ბრძოლა შარშან სწორედ ჰოპკინსის წინააღმდეგ გაიმართა და სამი მსაჯიდან ორმა უპირატესობა ჯოს მიანიჭა.

უელსელი მოკრივე აცხადებს, რომ არ აპირებს ჰოპკინსის მენეჯერ **რიჩარდ შაფერთან** მოლაპარაკებების წარმოებას. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სურს კალზაგეს სამშობლოში - უელსში მოაწყოს ამ მოკრივეთა მატჩ-რევანში.

*„არ ვიცი, ახსოვს თუ არა ეს ვინმეს, მაგრამ მე დავასრულე კარიერა. ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი ვარ და არ ვაპირებ ბერნარდთან მეორე ბრძოლის ორგანიზებას. ამის არანაირი სურვილი არ გამაჩნია, - აცხადებს კალზაგე. - მოტივაცია - აი, რა არის ჩემთვის მთავარი. ჩემი ყველაზე ცუდი ბრძოლები სუსტ მეტოქეებთან მაქვს ჩატარებული, ისეთ ბიჭებთან, რომელთა შესახებ არაფერი გაქვთ გაგებული და მათთან ჩხუბი არაფერში გჭირდებათ. მაშინ არასწორად ვიქცეოდი, რადგან მოტივაციის გარეშე ვჩხუბობდი. ახლა იმავეს გამეორებას აღარ ვაპირებ. მე უკვე ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: არ იოცნებოთ ჯო კალზაგეს დაბრუნებაზე".*

ცურვა

# პელეგრინის ახალი რეკორდი

მსოფლიოს რეკორდით დაიწყო წლევანდელი სეზონი ცნობილმა იტალიელმა მოცურავემ **ფედერიკა პელეგრინიმ**. იტალიის ქალაქ რიჩონეში ქვეყნის ჩემპიონატი მიმდინარეობს და იქ პელეგრინიმ თავის საყვარელ დისტანციაზე - 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოიგო ოქროს მედალი და თან მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

ახალი რეკორდი წუთსა და 54.47 წამს უდრის. 20 წლის იტალიელმა საკუთარი შედეგი გააუმჯობესა, რომელიც 1:54.82-ს უდრიდა და ის 13 აგვისტოს, პეკინის ოლიმპიადის დროს იყო დამყარებული.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| აველინო-მანტოვა | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| დუისბურგი-ნიურნბერგი | 2:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-ლანსი | 2:2 |
| **პორტუგალია** | |
| სეტუბალი-ნასიონალი | 2:0 |
| **დანია** | |
| ორჰუსი-ვეილე | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვილი-ლოზანა | 2:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვერია-კავალა | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გაზიანთეფი ბბ-მანისა | 1:2 |
| **[illegible]** | |
| სლავია-ზანიკი | 1:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლიტექსი-სლავია | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:3 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| სეიპა-ლუკო | 5:2 |
| ტაპარა-ესეტი | 7:2 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-პარდუბიცე | 3:4 |
| ვიტკოვიცე-სლავია | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| ლუგანო-დავოსი | 2:2 |
| ცუგი-ბერნი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლინჩოპინგი | 3:5 |
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 0:4 |
| ლულეო-ფრიოლუნდა | 1:5 |
| ტიმრა-ჰვ71 | 4:4 |

TV პროგრამა

**10 მარტი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-რეალი (LIVE).
02:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. იუვენტუსი-ჩელსი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი.
09:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ტოტენჰემი.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. იუვენტუსი-ჩელსი.
03:50 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-სპორტინგი.
05:55 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პანათინაიკოსი-ვილიარეალი.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კვალიფიკაცია. კუოპიო. ფინეთი.
12:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. რეალი-ლივერპული.
15:30 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - არიას რობენი.
15:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ლიონი-ბარსელონა.
17:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:45 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. III ეტაპი (LIVE).
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი (LIVE).
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი.
00:00 კრივი. WBO-ის ვერსია. სუპერმძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-ე. ჰოლიფილდი (აშშ). შვეიცარია.
02:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
02:30 რალი. IRC-ის სერია. ბრაზილია. მიმოხილვა.
03:00 ტესტ-დრაივი. ჟენევის ავტოსალონის სიახლეები.
04:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
12:00 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. რუსეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. V ტური. ვალენსია (ესპანეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
15:30 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
15:45 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ბილიარდი.
18:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. V ტური. ხიმკი (რუსეთი)-მარუსი (საბერძნეთი).
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
20:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. VI ტური. ჰემოფარმი (სერბეთი)-ვალენსია (ესპანეთი) (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
23:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. VI ტური. ბილბაო (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი (LIVE).
01:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. VI ტური. ჰემოფარმი (სერბეთი)-ვალენსია (ესპანეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
05:00 ახალი ამბები.

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი-მონრეალი 1:3**

**1:0, 0:2, 0:1**

**გოლები:** 1:0 ლ. ერიქსონი-32 (რობიდასი-21, რიბეირო-45), 1:1 ა. კოსტიცინი-23 (ს. კოივუ-25, ტანგეი-17), 1:2 კოვალიოვი-16 (ჰამრლიკი-23, დ'აგოსტინი-8), 1:3 ჰიგინსი-9 (ო'ბირნი).

**რეინჯერსი-ბოსტონი 4:3**

**0:0, 3:1, 1:2**

**გოლები:** 1:0 ანტროპოვი-22 (დრიური-27, რედენი-19), 1:1 კობესიუ-16 (ხარა-24), 2:1 გომესი-15 (ანტროპოვი-27, მორისი-8), 3:1 კელეჰანი-15 (ეისერი-8, კორპიკოსკი-8), 3:2 ხარა-16 (ა. უორდი-7, აქსელსონი-20), 3:3 რაიდერი-23 (სავარი-52, პ. ბერჟერონი-24), 4:3 ჟერდიოვი-19 (მ. სტაალი-9).

**აილენდერსი-ფინიქსი 3:2**

**0:1, 3:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 აპშოლი-9 (ლომბარდი-22, პრეხა-7), 1:1 ტამბელინი-5 (ჰილბერტი-14, მარტინეკი-3), 2:1 ბეილი-3 (იგულდენი-3, კომო-12), 3:1 ოკსოპო-14 (მაკამონდი-8, ჟერვე-10), 3:2 დოუნი-24 (ლომბარდი-23, ბოედკერი-15).

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 3:4 (ო)**

**1:1, 0:2, 2:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 კროსბი-25 (გერინი-22, კუნიტცი-22), 1:1 სიომინი-28 (ბექსტრიომი-53), 1:2 გონჩარი-3 (ლეტანგი-15, გერინი-23), 1:3 გერინი-17 (კროსბი-57, ლეტანგი-16), 2:3 ოვეჩკინი-47 (მ. გრინი-34, ლეიჩი-22), 3:3 ლეიჩი-16 (მტეკელი-10, მ. გრინი-35).

**ბულიტები გაიტანეს:** კროსბი (პიტსბურგი).

**ატლანტა-კალგარი 5:2**

**2:1, 1:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 ლიტლი-27 (ექსელბი-5, კოვალჩუკი-40), 1:1 კონროი-9 (გლენკროსი-24, ვან დერ გულიკი-2), 2:1 ენსტრიომი-3 (პევერლი-21, კ. არმსტრონგი-11), 3:1 ტორბრნი-7 (ბულტონი-9, სლეიტერი-10), 3:2 იგინლა-30 (ბოიდი-8, ლუნდმარკი-5), 4:2 კოვალჩუკი-36 (ჰეინსი-28), 5:2 ლიტლი-28 (ვიაჩ. კოზლოვი-37, ტ. უაიტი-41).

**ჩიკაგო-კოლორადო 1:5**

**0:2, 1:2: 0:1**

**გოლები:** 0:1 გიტი-4 (სალეი-16, ტიარნკვისტი-2), 0:2 კ. სტიუარტი-10 (არნასონი-15, ფუტი-6), 1:2 ტეუვზი-28 (ბარკერი-28, ბ. კემპბელი-37), 1:3 ჰეიდუკი-25 (რ. სმიტი-32), 1:4 სვატოსი-14 (არნასონი-16, ვოლსკი-23), 1:5 რ. სმიტი-24 (სვატოსი-17, არნასონი-17).

**ანაჰაიმი-მინესოტა 2:3**

**0:1, 1:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 ვეილო-9 (შულტცი-7, კლატერბეკი-4), 1:1 მარჩანტი-4, 1:2 ვეილო-10 (ნოლანი-14, კ. იონსონი-18), 1:3 ბრუნეტი-15 (შეპარდდი-12, ბუმარი-27), 2:3 ს. ნიდერმაიერი-10 (პერი-35, გეტცლაფი-51).



# დამარცხებული მუშკეტერები

**გასულ უქმეებზე საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება დევისის თასის მერვედფინალური ეტაპისკენ იყო მიპყრობილი. სპეციალისტების მიერ გამოთქმული პროგნოზები თითქმის გამართლდა, თუმცა ერთი ფავორიტი მაინც გამოეთიშა ბრძოლას.**

### ესპანეთი–სერბეთი 4:1

რა თქმა უნდა, ეს მატჩი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მსოფლიოს პირველი და მესამე ჩოგნები - ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. ამ მატჩმა დაადასტურა, რომ რაფაელ ნადალი ნახევარ გუნდზე მეტს უდრის, ჯოკოვიჩი კი გაცილებით ნაკლებს. თიხნარზე ნადალის იდეალურ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, ესპანეთს ორი ქულა გარანტირებული ჰქონდა, გასარკვევი ის იყო, როგორ იბრძოლებდნენ სერბები დარჩენილი სამი ქულისთვის.

სტუმრებმა ამ სამიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღეს. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ ჯოკოვიჩს თიხნარზე არასოდეს დაუმარცხებია **დავიდ ფერერი**. „ჯოკერმა“ უამრავი უპატიებელი შეცდომა დაუშვა და თითქმის უბრძოლველად დათმო სერბეთისთვის ასე საჭირო ქულა. ასე რომ, სტუმრებს მხოლოდ სასწაულის იმედი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ნადალი საჩუქრის გაკეთებას არ აპირებდა. სერბეთს ერთადერთი ქულა წყვილთა თამაშმა მოუტანა.

სხვათა შორის, ესპანეთი შინ თიხნარზე 1999 წლის შემდეგ არ აგებს, ნადალმა კი დევისის თასზე მოგებული მატჩების სერია 12-მდე გაზარდა. ახლა ესპანელებს შინ გერმანიასთან შეხვედრა ელით და ალბათ, ეს სერიები არც მეოთხედფინალში შეწყდება.

### გერმანია–ავსტრია 3:2

ეს იყო ორი საშუალო დონის გუნდის შეხვედრა. გამარჯვების შანსი ორივეს ჰქონდა. პირველი დღის შემდეგ ანგარიში იყო - 1:1. შაბათს, გერმანელებმა წყვილების მატჩი მოიგეს და პრაქტიკულად აქ გადაწყვიტეს სამდღიანი დუელის ბედი. თანაც, ინტუიციამ არ უღალატა მასპინძელთა კაპიტან **პატრიკ კიუნენს**. მან დროულად შენიშნა, რომ **რაინერ შუტლერი** (პარასკევს **კუბეკთან** წააგო) არ იყო კარგ ფორმაში და ის **ნიკოლას კიფერით** შეცვალა. ვეტერანმა არ დაალალატა მწვრთნელი და მესამე გამსვლელი ქულა მოუტანა თავის გუნდს.

გერმანია და ესპანეთი შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს მეოთხედფინალში და ბრემენული დაპირისპირება პირენეელთა გამარჯვებით დასრულდა.

### შვედეთი–ისრაელი 2:3

მალმიოში ჩატარებულ მატჩში პოლიტიკა უფრო მეტი იყო, ვიდრე სპორტი. ღაზის სექტორში ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ მიმართულმა აქციამ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიამდეც მიაღწია და დემონსტრანტები არენაზე შეჭრას ისე აქტიურად ლამობდნენ (მატჩი ცარიელი ტრიბუნების ქვეშ მიმდინარეობდა), რომ პოლიციას 90 კაცის დაპატიმრება მოუხდა.

სანამ მალმიოს არენის ეზოში ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული, ისრაელის ნაკრების ჩოგბურთელები კორტზე უსწორდებოდნენ შვედებს. სტუმართა ლიდერობა **დუდი სელამ** იტვირთა, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით მოუგო **ანდრეას ვინსიგერასა** და **ტომას იოჰანსონს**, კიდევ ერთი ქულა ისრაელს **ჰარელ ლევიმ** მოუტანა. კიდევ იყო წყვილთა შეხვედრა, რომელშიც რამთან ერთად 31 წლის 100-კილოგრამიანი **ამირ ჰადატი** თამაშობდა. ეს ჩოგბურთელი კორტზე განსაკუთრებული შემთხვევების დროს ჩნდება და ამჯერად ნაკრებში ტრავმირებულ **ჯონათან ერლიხს** ცვლიდა

ცნობისთვის, ისრაელის ნაკრების ისტორიაში მეორედ მოხდა, როცა გუნდი დევისის თასის მეოთხედფინალში გავიდა. შემდეგ მატჩს ისრაელის ნაკრები შინ რუსეთის წინააღმდეგ გამართავს.

### რუმინეთი–რუსეთი 1:4

ამ მატჩზე ბევრი არაფერია მოსაყოლი. რუმინეთის ნაკრებში არ აღმოჩნდა ისეთი მოთამაშე, რომელიც შეძლებდა ლიდერის ფუნქციის აღებას. არადა, წყვილთა მატჩის მოგების შემდეგ, მასპინძლებს რაღაც იმედები ჩაესახათ, მაგრამ კვირას **ვიქტორ ჰანესკუმ** პრაქტიკულად მოგებული მატჩი წააგო **დმიტრი ტურსუნოვთან** და რუმინელების წვალებაც აქ დასრულდა.

### ხორვატია–ჩილე 5:0

**ფერნანდო გონსალესის** ტრავმის შემდეგ, ჩილეს ნაკრების შანსები პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო. ტოპ-ოცდაათეულის მოთამაშეებთან – **მარინ ჩილიჩთან** და **მარიო ანჩიჩთან** სათამაშოდ ხორვატიაში მსოფლიოს კლასიფიკაციის 81-ე და 94-ე ნომრები - **ნიკოლას მასუ** და **პოლ კაპდევილე** ჩავიდნენ.

სწორედ ამ ოთხეულს შორის გამართული მატჩების შემდეგ გაირკვა მეოთხედფინალისტის ვინაობა. ერთეულთა ორი და წყვილების ერთი შეხვედრის შემდეგ ანგარიში 3:0 გახდა და კვირის თამაშებმა აზრი დაკარგა.

ხორვატიამ მსოფლიოს ჯგუფში პირველად მოიგო მატჩი მშრალი ანგარიშით და ივლისში ძალიან საინტერესო დაპირისპირება ელის შინ ამერიკასთან.

### აშშ–შვეიცარია 4:1

ამ მატჩმა ინტრიგა მაშინ დაკარგა, როცა დევისის თასზე თამაში იუარა **როჯერ ფედერერმა**. ამერიკა ერთმნიშვნელოვნად ფავორიტი გახდა. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, თავიდანვე დანებდებოდა შვეიცარია თუ ცოტას გააწვალებდა მეტოქეს. სასტარტო მატჩში **ვავრინკამ** იმდენი მოახერხა, რომ **ჯეიმს ბლეიკი** ოთხ სეტში დაამარცხა და ამერიკელებს დაანახვა, რომ ევროპელებთან ხუმრობა არ შეიძლებოდა.

მატჩის გმირი **ენდი როდიკი** გახდა, რომელმაც ნაკრებს ორი ქულა მოუტანა. მან თავიდან **მარკო ჩიუდინელი** (რომელიც, ბუნებრივია, ვერ იქცა ფედერერის ადეკვატურ შემცვლელად) გაანადგურა, შემდეგ იგივე ვავრინკასთან გააკეთა. და, რა თქმა უნდა, **ბრაიანების** წყვილი, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ვავრინკა და ალეგრი იგივე არ არის, რაც ვავრინკა და ფედერერი.

ამერიკა ზედიზედ მეოთხედ გავიდა მეოთხედფინალში.

### არგენტინა–ჰოლანდია 5:0

შესუსტებულმა და იძულებით განახლებულმა არგენტინამ სამაგალითო გაკვეთილი ჩაუტარა გამოუცდელ ჰოლანდიას. ამ მატჩის მთავარი მოვლენა **ხუან იგნასიო ჩელას** დაბრუნება იყო. გამოცდილმა არგენტინელმა ერთეულთა ორივე მატჩი მოიგო, მაგრამ ეს მას მეოთხედფინალში თამაშის გარანტიას მაინც არ მისცემს. ამ ეტაპზე არგენტინას ჩეხეთში ჩასვლა მოუწევს, და იქ **ჰუტა-გალუნგებისა** და **დე ბეკერების** ნაცვლად, **შტეპანეკი** და **ბერდიხი** დახვდებიან. ასე რომ, სამხრეთამერიკელები **ნალბანდიანისა** და **დელ პოტროს** გარეშე ფონს ვერ გავლენ.

### ჩეხეთი–საფრანგეთი 3:2

საფრანგეთის ნაკრების ამჟამინდელ შემადგენლობას “ახალი მუშკეტერები” დაარქვეს და პარალელები გაავლეს **რენე ლაკოსტის, ანრი კოშეს, ჟან ბოროტრასა** და **ჟაკ ბრიუნიონის** ლეგენდარულ ოთხეულთან. მართლაც, ფრანგების რიგებში არიან რეიტინგის ტოპ-25-ის ჩოგბურთელები: **სიმონი, მონფილსი, ცონგა** და **გასკე**. ამ გუნდს კი დაუპირისპირდა ჩეხეთის ნაკრები შტეპანეკისა და ბერდიხის შემადგენლობით. საერთო ჯამში, ეს ორი და **იან ჰერნიხია** მთელი ჩეხეთის ნაკრები.

მატჩის გმირი შტეპანეკი გახდა, რომელმაც ორი შეხვედრა მოიგო, ანტიგმირი კი სიმონი. დევისის თასზე გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს, სიმონი კი მხოლოდ შარშან შევიდა მამაკაცთა ჩოგბურთის ელიტაში და ეს ფაქტობრივად დევისის თასზე მისი დებიუტი იყო. ალბათ, ჩეხეთთან მარცხზე პასუხისმგებლობა “მუშკეტერების” კაპიტან **გი ფორჟეს** უნდა დაეკისროს, რომელმაც გარისკა და სიმონზე გააკეთა ფსონი, მაგრამ ამან არ იმუშავა.

# ანას ახალი ფოტოსესია

**ანა კურნიკოვა** დიდი ხანია ოფიციალურ ტურნირებში აღარ თამაშობს, მაგრამ მას კვლავაც აქტიურად იღებენ ჟურნალებისთვის და იწვევენ სპორტული საქონლის სარეკლამო კამპანიებში.

დღეისთვის რუსი ჩოგბურთელი K-Swiss-ის სახე გახლავთ, რომლისთვისაც შავ-თეთრ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

კურნიკოვა K-Swiss-ის სპორტული ფეხსაცმლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის რეკლამას ეწევა. გადაღებები ნიუ იორკში ნოემბერში მიმდინარეობდა, მაგრამ სურათებმა დღის სინათლე მხოლოდ ახლა იხილა.

ანას სიტყვებით, ფოტოგრაფ **ზაკ გოლდთან** მუშაობამ უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. „ახალ ფოტოგრაფთან ვმუშაობდი, რომელიც შესანიშნავი ბიჭი აღმოჩნდა, - ამბობს ანა. - მიყვარს თვითმყოფადი ადამიანები. მხოლოდ მათი სამუშაო მაგრძნობინებს, რომ მართლაც ლამაზი ქალი ვარ. ფოტოსესია საკმაოდ სწრაფად წარიმართა და არც ისე დამღლელი აღმოჩნდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე“.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**







